პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დღის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—31.

ხელმოსაწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 10 ივლისი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 158 (2201)

## დღიური

— ბერლინში გაიხსნა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების გამოფენა.
— ამერიკელი სენატორი ტომასი საბჭოთა კავშირის შესახებ.
— ანტვერპენის ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა დამთავრდა.
— აგვისტოში კენიგსბერგში გაიხსნება პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია.
— სამხრეთ-სლავიის რადიკალური პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ პარტიიდან გამორიცხა რაჩიჩი.
— ვენაში გაემგზავრა თურქეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ტევფიკ რუშდი-ბეი.

# კომუნისტური ინტერნაციონალის ყრილობისათვის

მეხუთე კონგრესიდან განვლილ ოთხი წლის შემდეგ (1924 —ივნისი—1928) შეიკრიბება ამ დღეებში მოსკოვში კომუნისტური ინტერნაციონალი. ერთ თვეში (5—11 აგვისტოს) შეიკრიბება ბრიუსელში მეორე ინტერნაციონალის კონგრესიც. რამდენად ძლიერია, ვიტყვით მეტს, რამდენად პანიკურია ყურადღება, რომლითაც მოელის საერთაშორისო ბურჟუაზია მარქსისტულ- ლენინისტური ინტერნაციონალის მომავალ მუშაობას, იმდენად დამშვიდებული და კმაყოფილია იგივე ბურჟუაზია რეფორმისტული ინტერნაციონალის კონგრესის მოლოდინში. იყო კი დრო, როდესაც მუშათა კლასის მტრები არა თუ მეორე ინტერნაციონალის კონგრესს, არამედ ზოგიერთი მისი სექციების ყრილობებსაც (მაგ. გერმანიაში) მოელოდენ საკმაოდ აფორიაქებული გრძნობებით, ყოველ შემთხვევაში არა ისეთი სულისკვეთებით, როგორც დღეს. და ბურჟუაზიის ასეთ განწყობილებას ადგილი ჰქონდა ამ ინტერნაციონალის და მისი სექციების არსებობის თვით ისეთ პერიოდშიც, როდესაც აშკარა შეიქნა რეფორმისტული გავლენა მათ ხელმძღვანელ სფეროებში. მაგრამ რადგან, იმავე დროს, საკმაოდ ძლიერი იყო მემარცხენე ფრთა, ეგრედწოდებული „რადიკალური" მიმდინარეობა და გარდა ამისა თვით „ცენტრიც", რომელსაც გარეგნულათ მაინც ხელთ ეპყრა საქმე მმართველობის როგორც ამ ინტერნაციონალში, ისე ზოგ მნიშვნელოვან მის სექციებში, „ურახუნებდა" კიდევ ერთი შეხედვით მარქსისტულ „სიტყვიერებას", ავლებდა მოხერხებულად ზღვარს აშკარა რეფორმისტულ მემარჯვენე და თავისი, „ცენტრისტული", პრაქტიკის შორის,— ყოველივე ამის გამო ასეთ ინტერნაციონალს კიდევ შეეძლო ესა თუ ის უსიამოვნება მიეყენებია ბურჟუაზიისთვის. როგორც ვთქვით სულ სხვა მდგომარეობაა დღეს. გაქრა ბურჟუაზიის ძველი მოკრძალება, ერთნაირი ინსტიქტიური შიში მეორე ინტერნაციონალის. ის დღეს აღარ მოელის მეორე ინტერნაციონალის კონგრესებზე თვით ბებელისებურ მჭექავ ხმას, მის მაგარ სიტყვებს, თუ გინდ მარტო მაგარ სიტყვებსაც, რომლებითაც მან მიმართა თავის ამხანაგებს დრეზდენის ისტორიულ პარტყრილობაზე 1903 წელს და განაცხადა: მე ვარ ბურჟუაზიული საზოგადოების, ბურჟუაზიული სახელმწიფო წყობილების მოსისხლე მტერი (Todfeind); მინდა ჩავკლა ის სათავეშივე, თვით მის საარსებო წყაროებშივე და მოვსპო სრულიად. და თუ პროლეტარული რევოლიუციის მართლა მოსისხლე მტრები ამ ერთი თვის შემდეგ აღნიშნავენ თავიანთ გაზეთებში ბრიუსელის კონგრესის სხდომების ანგარიშებს და გაგზავნიან ამ კონგრესზე თავიანთ კორესპონდენტებს— ეს არა მტრის ბანაკის დასაზვერავად ან მისი შტაბის საიდუმლოებათა გასაგებათ, არამედ იმ მიზნით, რომ ფართოდ მოჰფინონ მსოფლიოს მუშათა რევოლიუციისადმი ღალატის, პროლეტარიატისადმი გამცემლობის ახალი ფაქტები, რომლებითაც აღიბეჭდება მეორე ინტერნაციონალის ეს მორიგი კონგრესი ბელგიის დედაქალაქში.

სულ სხვაა ამ ბურჟუაზიის დამოკიდებულება მესამე ინტერნაციონალისადმი. საკმაოა მათი „დამოკიდებულების" დასახასიათებლად მარტო ერთი ფაქტის მოყვანაც კი. ეს ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი სახელმწიფო თვით ეგრედწოდებულ დემოკრატიულ სახელმწიფოთა „კონცერტიდან" არ დართავდა კომინტერნის კონგრესის შეკრების ნებასაც კი თავის ტერიტორიაზე. მარტო ეს გარემოებაც თვალმომჭრელ შუქს ჰფენს ბურჟუაზიის დამოკიდებულებას ერთი მხრით კომინტერნის, ხოლო მეორე მხრივ ეგრედწოდებულ „მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალისადმი". ასეთი დამოკიდებულება გასაგებია. ერთად ერთი მემკვიდრე მეორე ინტერნაციონალის გმირული ხანის, უკეთესად რომ ვსთქვათ, ერთად ერთი მემკვიდრე მისი მარქსისტული რევოლიუციონური ტრადიციების, ე. წ. „რადიკალების" საუკეთესო ტრადიციების, არის დღეს კომუნისტური ინტერნაციონალი, მატარებელი მარქსიზმის-ლენინიზმის, რომლის ჩირაღდნით აშუქებს ის ჩვენი დროის პროლეტარული ბრძოლის პრაქტიკას, ანაყოფიერებს ამ პრაქტიკას. ასეთი თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისითვე მიუდგება კონგრესი იმ საკითხების გარჩევასა და გადაჭრას, რომლებიც სდგას მის დღის წესრიგში.

კონგრესმა უნდა გაუკეთოს ჯამი თავისი ოთხი წლის ნამუშევარს და შეაფასოს მიმდინარე ისტორიული პერიოდი. მან უნდა განიხილოს საკითხი ომის საფრთხისა და დასახოს პრაქტიკული ზომები მის წინააღმდეგ საბრძოლველად. გარდა ამისა კოლონიალური საკითხი დაიკავებს საკმაოდ დიდ ადგილს მის მუშაობაში და, რაც უმთავრესია, ეს იქნება გარჩევა კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამისა, რომელიც თანამიმდევრობით იდგა მეოთხე, მეხუთე და სდგას მეექვსე კონგრესზეც. დაბოლოს მდგომარეობა საბჭოთა კავშირში და კომინტერნის ხელმძღვანელ პარტიაში, საკავშირო კომპარტიაში, იქნება დღის წესრიგის უკანასკნელი საკითხი.

საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებისა და კომინტერნის ამოცანების გარკვევის სფეროში ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ ფაქტს კაპიტალიზმის ნაწილობრივ სტაბილიზაციისას, რომელიც მთელი რიგი ფაქტორების გამო არ შეიძლება იყოს მტკიცე. ეს ფაქტორებია, კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულების სფეროში, წინააღმდეგობათა გამწვავება მათ შორის და მთელ რიგ ომის კერის გაჩენა; კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების მოძრაობა პირველყოვლისა მეტროპილიური კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა პერმანენტულ ხასიათს იღებს და არ სცხრება, არც შეიძლება დაცხრეს; სტაბილიზაციის მერყეობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მუშათა კლასის გამემარცხენების თანდათანი განვითარება, როგორც შედეგი კაპიტალის თავშეუკავებელი შეტევისა და პროფესიონალური და პარტიულ-პოლიტიკური ბიუროკრატიის აშკარა ღალატისა. ეს მოძრაობა თანდათან ყალიბდება დამოუკიდებელ ორგანიზაციულ ფორმებში, მაგრამ რამდენადაც საჭიროთ არის ცნობილი, რომ ის შეთავსდეს ჯერ კიდევ ერთიან ორგანიზაციაში, მემარცხენეთა მოძრაობა შიგნიდან ცდილობს მოახდინოს საჭირო გავლენა. სტაბილიზაციის მერყეობის უდიდესი ფაქტორი არის აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე. ყოველივე თქმულიდან გამომდინარეობს: კვლავ ბრძოლის გაძლიერება, გაღრმავება და გაფართოება მასების დასაპყრობად; მათი ამხედრება ერთ და იმავე დროს ბურჟუაზიის და მისი „მესამე პარტიის" ე. ი. სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ (კლასი კლასის წინააღმდეგ); ბრძოლა ომის საფრთხესთან, ამ ბრძოლის კონკრეტულ ზომებზე მითითება, კოლონიალური მოძრაობის ანალიზი უკანასკნელი წლების გამოცდილებათა მიხედვით: ამ მოძრაობის ძალთა განწყობილება (პროლეტარიატის და გლეხობისა უმთავრესად) და მისი პერსპექტივები, საკითხი აგრარული რევოლიუციისა კოლონიებში, საბჭოთა სტადიის შესახებ კოლონიალურ რევოლიუციებში, კოლონიალური მოძრაობის დახმარება და ამ მიზნით აქტიური საერთაშორისო სოლიდარობის გამოწვევა.

საკითხი პროგრამის მიღების შესახებ იქნება კონგრესის უმთავრესი საკითხი. კომუნისტურ ინტერნაციონალს დღიდან თავის დაარსებისა ჰქონდა როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული ხასიათის სახელმძღვანელო დებულებები. მაგრამ ისინი არ ყოფილან შეჯამებული პროგრამულად. კომინტერნის უკანასკნელი კონგრესები იხილავდნენ ამ საკითხს. მეხუთე კონგრესმა ის გადასდო მეექვსესთვის, რომელზეც სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი უნდა იქნეს განხილული და მიღებული.

სოციალ - დემოკრატიის საბოლოო გაკოტრების, მის მიერ რევოლიუციის და მარქსიზმის ლიკვიდაციის პირობებში, როდესაც მეოთხმოცდაათიან წლების ბერნშტეინიანიზმი, ამჟამად უკვე მისი ყოფილი „მოწინააღმდეგის" კ. კაუცკის პირით, ზეიმობს თავის გამარჯვებას მეორე ინტერნაციონალში და მის მთავარ პირობებში, როდესაც თითქოს მიწასთან გასწორებული ხდება, კაუცკის აზრით, როგორც ძირითადი სოციალოგიური, ისე ფილოსოფიური დებულებანი მარქსიზმის, როდესაც მეორე ინტერნაციონალის მთელმა პარტიებმა დასტოვეს ოფიციალურადაც, პროგრამულადაც გზა მუშათა რევოლიუციის და უღალატეს სოციალიზმს—ასეთ პირობებში მიღება კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამისა, რომელიც ორტოდოქსალური მარქსიზმის, ლენინიზმის პრინციპებში ასახავს პროლეტარული რევოლიუციების ეპოქის, სოციალიზმის მშენებლობის ეპოქის პრაქტიკას, არის უდიდესი ისტორიული აქტი.

დაბოლოს კონგრესი შეეხება საკითხს მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში და საკავშირო კომპარტიაში. კომუნისტური ინტერნაციონალის პლენუმს არ ჰქონია დღემდე შემთხვევა თავისი ავტორიტეტული გადაწყვეტილება გამოეტანა მთელ რიგ თეორეტიული და პრაქტიკული საკითხების გამო, რომლებიც წამოაყენა სოციალისტურმა მშენებლობამ საბჭოთა კავშირში და რომლების შესახებ უთანხმოების ნიადაგზე თავი წამოჰყო გაერთიანებულმა ოპოზიციამ. საკავშირო კომპარტიის მეთოთხმეტე და მეხუთმეტე ყრილობის მიერ გადაჭრილი საკითხები ამ **გაერთიანებული ოპოზიციის** შესახებ მხოლოდ მეექვსე კონგრესზე დაისმება მას შემდეგ, რაც ისინი გარჩეულ იქნენ აღმასკომის პლენუმების მიერ. აქ კონგრესს საქმე ექნება მთელ რიგ ახალ ფაქტებთან ოპოზიციის ცხოვრებიდან. ეს ფაქტებია ოპოზიციის განადგურება ყველგან, მათი აშკარა კონტრ - რევოლიუციონური როლი და დაბოლოს მათი ნამსხვრევების გადასვლა მენშევიკების მხარეზე (გერმანია).

ეჭვი არ არის, რომ კომუნიზმის საერთაშორისო პარტია გამოიტანს ამ ფაქტების შესახებ ისეთსავე მჭრელ და საბოლოო განაჩენს, როგორიც უკვე გამოიტანა მისმა სექციამ საბჭოთა კავშირში.

ასეთია მოკლეთ საკითხები, რომლებსაც განიხილავს მეექვსე კონგრესი. მისი გადაწყვეტილებები იქნება ახალი ეტაპი მსოფლიო რევოლიუციის აღმავალ გზაზე და მისი გამარჯვების საწინდარი.

# გერმანიის პრესა შახტის საქმეზე გამოტანილ განაჩენის შესახებ

## პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება უშედეგოთ თავდება

## ნანკინის მთავრობა იტალიისა და დანიისაგან მოითხოვს ახალი ხელშეკრულებების დადებას

## გაიხსნა იმპერიალიზმთან მებრძოლ ლიგის ინგლისურ სექციის კონფერენცია

## გერმანიის პრესა შახტის საქმეზე გამოტანილ განაჩენის შესახებ

ბერლინი, 8 ივლისი. „რეინიშ-ვესტფალიშე ცეიტუნგ"-ი ეხება რა შახტის საქმეზე გამოტანილ განაჩენს, ვრცლად იხილავს საგარეო პოლიტიკის საკითხებს. გაზეთი მკაცრად აკრიტიკებს გერმანიის ელჩის გრაფ ბროკდორფ-რანცაუს მოღვაწეობას საბჭოთა კავშირში, ილაშქრებს რაპალოს პოლიტიკის წინააღმდეგ და მხარს უჭერს ინგლისის ორიენტაციას.

„დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგ"-ის მოსკოველი კორესპონდენტი სწერს:

„შახტის პროცესმა დაამტკიცა: რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობის მეტად მნიშვნელოვან დარგების მრავალ ინჟინერს კავშირი ჰქონდა მაღაროების ყოფილ მეპატრონეებთან რომლებიც უცხოეთში გაიქცენ, რომ ამ ინჟინრებმა მიიღეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები, და, ბოლოს, რომ მათ დავალებული ჰქონდათ შეძლებისდაგვარად ხელი შეეშალათ საბჭოთა მთავრობის მიერ მაღაროების ექსპლოატაციისათვის და შეეგროვებიათ პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ცნობები საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ პოლონეთის სამხედრო და, შეიძლება, პოლიტიკური დაწესებულებებიც სარგებლობენ ამ კომერციული ურთიერთობით. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებულები ფულის მეტ ნაწილს პოლონეთიდან ღებულობდნენ. პოლონეთის ცნობილმა პირმა, რომლის სახელიც სამწუხაროდ არაა დასახელებული სასამართლოს დახურული სხდომის ოფიციალურ ანგარიშში, არამედ მოხსენებულია მხოლოდ მოსკოვში გავრცელებულ ხმებში 1926 წ. შემოდგომაზე ინფორმაციის მისაღებად შემოიარა ქვანახშირის რაიონი. **ჩვენ თავიდანვე იმ აზრისა ვართ, რომ საბჭოთა მოსამსახურეების ასეთი მოქმედება სერიოზულ პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისათვის და სახელმწიფოს უდავო უფლებად მიგვაჩნია ასეთი ბოროტმოქმედებისათვის მთავარი ბრალდებულები დასაჯოს ყოველგვარი საშუალებით, სიკვდილითაც კი**".

შემდეგ კორესპონდენტი ასახელებს მთელ რიგ ბრალდებულებს, რომლებმაც, მისი აზრით, დაიმსახურეს მკაცრი სასჯელი. მაგრამ კორესპონდენტის აზრით, ეგრედ წოდებულ მოსკოვის ცენტრისა და მისი წარმომადგენლების მონაწილეობა დანამდვილებით არაა დამტკიცებული.

შემდეგ კორესპონდენტი სწერს:

„**პროცესის მთავარ ბალანსს წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლებისათვის დამამშვიდებელი გარემოება, რომ ძველი რუსეთის იდეებს უკვე აღარა აქვთ გასავალი.**

წინანდელ პოლიტიკურ პროცესისაგან განსხვავებით, **შახტის პროცესზე არ ყოფილა არც ერთი ბრალდებული, რომელსაც ეამაყნა ანტიბოლშევიკური მსოფლმხედველობით, მიეღო სიკვდილი, როგორც პოლიტიკურ წამებულს.** მხოლოდ სამმა ბრალდებულმა— ინტელიგენტმა გარკვევით გამოააშკარავა თავისი სულიერი ფიზიონომია. ესაა—**რაბინოვიჩი**—შემოქმედებითი აქტივობის ინდივიდუალური სულის წარმომადგენელი, **კუზმა**—მტკიცე რწმენის კათოლიკე, ძლიერი ნებისყოფის მქონე შრომის ფანატიკოსი და **გორლეცკი**—სლიავიანოფილი, რომელიც რუსეთის ძლიერ ნაციონალურ სახელმწიფოზე ოცნებობს. დანარჩენი 47 ბრალდებული, რომლებმაც ბოროტმოქმედება ჩაიდინეს მატერიალური მოსაზრებით და არა რწმენით, თავიანთი თავი გამოიყვანეს, როგორც პოლიტიკურმა ემიგრანტებმა, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში აყენებდენ ზიანს საბჭოთა ხელისუფლებას. **ფარული კონტრ-რევოლიუციონერებისაგან ქვეყნის შიგნით საბჭოთა მთავრობას არავითარი საფრთხე არ ელის**" (ადს).

### „ფორვერტს"-ის ანტისაბჭოთა კამპანია

ბერლინი, 8 ივლისი. „ფორვერტს"-ი განაგრძობს თავის კამპანიას კომუნისტების მიერ ამნისტიის შესახებ წამოყენებულ მოთხოვნილებების წინააღმდეგ და შახტის საქმეზე მსჯავრდადებულთ უწოდებს ბოლშევიკური ეკონომიური სისტემის უძლურებისათვის შეწირულ მსხვერპლს. გაზეთი მეტად მკაცრ ფორმაში ურთდება საბჭოთა კავშირში მცხოვრებ გერმანელ მოქალაქეთა უშიშროების გარანტიის მოთხოვნილებებს.

ამასთანავე გაზეთი იუწყება, რომ მოსკოვში დაიწყო მოლაპარაკება ასეთი ინციდენტების განმეორების წინააღმდეგ ამომწურავი გარანტიების მისაღებად. გაზეთის სიტყვით, ბერლინში აუცილებლად მიაჩნიათ ზოგიერთი პუნქტების შეცვლა გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებაში ამ მიმართულებით (ადს).

ბერლინი, 8 ივლისი. „ფორვერტს"-ი შახტის პროცესთან დაკავშირებით წინანდებურად განაგრძობს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო კამპანიას. გაზეთი მკაცრად ილაშქრებს განაჩენის დასაბუთების შემცველი ნაწილის წინააღმდეგ (ადს).

# მკვდარ წერტილზე

## პოლონეთ-ლიტვის უთანხმოება

კოვნო, 8 ივლისი. ლიტვის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, შესდგა პოლონეთ-ლიტვის უშიშროების კომისიის პლენარული სხდომა.

პოლონეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის უარს ამბობს ლიტვის მიერ წარმოდგენილ შეთანხმების პროექტის განხილვაზე და მოითხოვა, რომ ლიტველებმა მოლაპარაკების საფუძვლად მიიღონ პოლონური პროექტი ან ახალი პროექტი წარმოადგინონ. მოლაპარაკება მკვდარ წერტილზე იმყოფება. კომისიამ დაადგინა შექმნილი მდგომარეობის შესახებ აცნობოს პოლონეთ-ლიტვის კონფერენციას, რომელიც კენიგსბერგში შესდგება აგვისტოში.

ვარშავა, 8 ივლისი. პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარე გოლუვკომ ლიტვის დელეგაციის თავმჯდომარე ბალოდისს აცნობა, რომ პოლონეთი მიუღებლად თვლის ლიტვის პროექტს თავდაუსხმელობის შესახებ და წინადადებას აძლევს ლიტვას განიხილოს პოლონეთის პროექტი ან წარმოადგინოს ახალი პროექტი, რომელიც ერთა ლიგის რეზოლიუციას შეეფერება.

# „საბჭ. კავშირის ცნობა მხოლოდ დროის საკითხია"

## ამერიკელი სენატორი ტომასი საბჭოთა კავშირის შესახებ

ვაშინგტონი, 8 ივლისი. სენატორმა ტომასმა (ოკლაგამის შტატის წარმომადგენელი შეერთებული შტატების სენატში, დემოკრატიული პარტიის წევრი) განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს მიმდინარე ზაფხულში ინახულოს საბჭოთა კავშირი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ტომასმა საჭიროდ სცნო სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატებს შორის და ის აზრი გამოსთქვა, რომ „საბჭოთა კავშირის ცნობა შეერთებული შტატების მიერ მხოლოდ დროის საკითხია".

# მდგომარეობა ჩინეთში

### უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმება

შანხაი, 8 ივლისი. გაზეთების ცნობით ნანკინის საგარეო საქმეთა სამინისტროს შანხაის წარმომადგენლობამ, იტალია- ჩინეთის და დანია- ჩინეთის ხელშეკრულებათა ვადის გასვლასთან დაკავშირებით, იტალიის და დანიის კონსულებს გადასცა ნოტა. ნოტა მიმართავს იტალიისა და დანიის მთავრობებს წინადადებით, დასდონ ახალი ხელშეკრულებანი „აბსოლიუტური თანასწორობის საფუძველზე".

### იაპონიის პრესის კამპანია

ტოკიო, 8 ივლისი. ზოგიერთი გაზეთები ავრცელებენ ხმებს, თითქო იანიუ-ტის ჯგუფი სცდილობს კავშირის დამყარებას სამხრეთელებთან იაპონიის წინააღმდეგ. მანჯურიის ამბების ჩასაფუჩებლად პრესა ავრცელებს ფანტასტიურ ხმებს, თითქო ნანკინის მთავრობა „ემზადება ტიბეტის და მონღოლეთის ანექსიისთვის, რის გამოც შესაძლებელია კონფლიქტი ინგლისთან და საბჭოთა კავშირთან"-ო.

### ჩან-კაი-ში მოითხოვს დედაქალაქის გადატანას

პეკინი, 8 ივლისი. პოლიტიკური საბჭოს პეკინის განყოფილების საზეიმო სხდომაზე გამოსული ჩან-კაი-ში, შეეხო რა „დიპლომატების მიერ პეკინში შექმნილ ჯოჯოხეთურ ატმოსფეროს", მოითხოვა დედაქალაქის ნანკინში გადატანა. მაგრამ ამავე დროს ჩან-კაი-შიმ განაცხადა, რომ დიპლომატიური და ადმინისტრატიული ხასიათის მოსაზრებანი მოითხოვენ ისეთი ორგანიზაციის შექმნას პეკინში, როგორიც არის ნანკინის მთავრობის პოლიტიკური საბჭოს პეკინის განყოფილება. (ადს)

### ფინ-იუ-სიანი და ნანკინი

პეკინი, 8 ივლისი. „ჩაინა სტანდარტი" (იაპონიის ორგანო) კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ფინ-იუ-სიანს კეთილი განწყობილება აქვს ნანკინთან, რასაც ადასტურებს მისი მისვლა პეკინში და პეკინისა და ტიანძინის რაიონებიდან მისი ჯარების გაყვანა.

### მილიტარიზმის წინააღმდეგ

შანხაი, 8 ივლისი. შანხაის ვაჭართა ფედერაციამ ცირკულიარული დეპეშით მიმართა ჩინეთის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ფედერაცია მოუწოდებს ორგანიზაციებს, მოაწყონ მოძრაობა ჯარის დაშლის მოსათხოვად. დეპეშაში ნათქვამია: „მრავალი წლის განმავლობაში ჩინეთის ხალხი კვნესოდა მილიტარიზმის უღელ ქვეშ. საერთო აზრი ისეთია, რომ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთად-ერთ საშუალებას წარმოადგენს ჯარის დაშლა. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ საქმე მარტო ლაპარაკით თავდება.

### ნაწნავების და ფეხის დასაპატარავებელი ხის ფეხსაცმელის ტარების აკრძალვა

პეკინი, 8 ივლისი. გამოქვეყნებულია განკარგულება, რომლის ძალითაც ჩინელებს ეკრძალებათ ნაწნავების ტარება, ხოლო ქალებს —ჩაცმა ფეხების დასაპატარავებელი ხის ფეხსაცმელისა, რომელიც ფეხს ამახინჯებს. ვინც ამ განკარგულებას დაარღვევს, სასტიკი სასჯელი მოელის.

### დარბაზობა ენ-სი-შანთან

პეკინი, 8 ივლისი. ენ-სი-შანმა გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ჩან-კაი-ში, ფინ-იუ-სიანი, ლი-ცზუნ-ჟენი და სხვანი.

ჩან-კაი-შიმ თავის სიტყვაში სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ „რევოლიუცია გამარჯვებით დამთავრდა".

ფინ-იუ-სიანმა განაცხადა, რომ ზეიმი ჯერ ნაადრევია, ვინაიდან რევოლიუცია დამთავრებული არაა, უთანასწორო ხელშეკრულებანი ჯერ კიდევ არსებობს, მილიტარისტები მოსპობილნი არ არიან და ხალხი წინანდებურად იტანჯება. ჩვენ ცრემლები უნდა ვღვაროთ და არა ვიხიარულოთო".

ამ დღეებში გამოქვეყნდა ფინ-იუ-სიანის ცირკულიარული დეპეშა, რომელშიაც იგი მოითხოვს უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას (ადს).

### „ახალი მილიტარისტები ძველებზე უკეთესი არ არიან"

პეკინი, 8 ივლისი. პეკინის ქუჩებში გაჩნდა პლაკატები წარწერებით: „ახალი მილიტარისტები ძველებზე უკეთესნი არ არიან".

პრესის სიტყვით, გაზეთის „ცუნ-მან-ჟიბაო"-ს დაკეტვა და მრავალი ჩინელი ჟურნალისტის დაპატიმრება დაკავშირებულია პეკინის ექსტრემისტების მოძრაობის" გაძლიერებასთან, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პლაკატების გამოკვრაში კედლებზე (ადს).

# გლეხთა ინტერნაციონალის მოწოდება

მოსკოვი, 9 ივლისი. გლეხთა ინტერნაციონალმა მთელი მსოფლიოს მშრომელებს და გლეხებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„მილიტარისტებისა და მემამულეების ძარცვა- გლეჯისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ აჯანყებულ ჩინეთის მუშებსა და გლეხებთან ანგარიშის მხეცური გასწორება შეუსუსტებლად გრძელდება. გლეხურ ორგანიზაციებს არბევენ. მრავალმა ათასმა მებრძოლმა თავისი სიცოცხლე შესწირა ჩინეთის მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. გლეხების საერთაშორისო საბჭო მოგმართავს თქვენ მოწოდებით— დაეხმაროთ ჩინეთის დევნილ მუშებსა და გლეხებს. საჭიროა სასწრაფო მატერიალური დახმარება. მოაწყვეთ მიტინგები და დემონსტრაციები და ფურცლებისა და სპეციალურად გამოშვებულ გაზეთების საშუალებით გლეხობის ფართო მასები გააცანით გლეხებისა და მუშების ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის. მოაწყვეთ ფულის შეგროვება. გლეხთა საერთაშორისო საბჭომ გადასწყვიტა შეუერთდეს ჩინეთის მუშებისა და გლეხების დახმარების საერთაშორისო ორკვირეულს, რომელსაც პროფინტერნი აწყობს. გლეხთა საერთაშორისო საბჭო ყველა მის მომხრე ორგანიზაციის წინადადებას აძლევს ეხლავე გააჩაღოს ფართო კამპანია გლეხობის ფართო მასების ჩასაბმელად დახმარების ორკვირეულში, რომელიც 17 ივლისიდან დაიწყება. (ადს)

# თავდაცვის კვირეული

8 ივლისიდან 15 ივლისამდე მოსკოვში, ხოლო შემდეგ მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარდება თავდაცვის კვირეული.

პროლეტარიატის დიქტატურას შეუძლებელია არ ჰყავდეს საკუთარი არმია რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად. წითელი არმია, რომელიც სამოქალაქო ომის წლებში ჩამოყალიბდა, რომელმაც ამ ბრძოლის ცეცხლში გამოაწრთო თავისი ძირითადი კადრები, ხოლო მშვიდობიანობის წლებში გამოიყენა საჭირო რეორგანიზაციისათვის და თავისი ტეხნიკური ძალების გასაძლიერებლად, იყო და რჩება პროლეტარული დიქტატურის თავდაცვის უშუალო იარაღად. ეს არმია იმით განსხვავდება იმპერიალისტური ქვეყნების არმიებისაგან, რომ არ უპირისპირდება მშრომელ მასებს, როგორც მისდამი მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალების იარაღი. წითელი არმია მუშების და მშრომელ გლეხთა მასების სისხლი და ხორცია. ის ემსახურება იმავე მიზნებს, რომლებსაც ემსახურება ჩვენი მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობა —ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების მიზნებს.

ჩვენი წითელი არმია, რომლის უმრავლესობა მშრომელ გლეხებისაგან შესდგება, წარმოადგენს მუშათა და გლეხთა კავშირის იდეების გავრცელების ძლიერს საშუალებას და სოფლის მშრომელ მასებზე პროლეტარული გავლენის განმტკიცების გზას. წითელი არმია, თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, უდიდეს კულტურულ-პოლიტიკურ როლს თამაშობს ჩვენს ქვეყანაში. ის შეადგენს მთელი ჩვენი მუშურ- გლეხური საზოგადოებრივობის ორგანიულ ნაწილს: რაც უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი არმიის კულტურულ -პოლიტიკურ მუშაობას, მით უფრო დიდ პლიუსს ვღებულობთ ქალაქის პროლეტარიატისა და ღარიბ და საშუალო გლეხობის ურთიერთობის საერთო ბალანსში. ამავე დროს, რაც უფრო კულტურული და შეგნებული ხდება მთელი ჩვენი მშრომელი ქვეყანა, მით უფრო იზრდება წითელი არმიის ბრძოლის უნარი. ბრძოლის უნარის მხრივ ჩვენი არმია ახლავე მაღლა სდგას ბურჟუაზიული სახელმწიფოების ბევრ არმიაზე.

თავდაცვის კვირეულის დროს ჩვენ უნდა გავაცნოთ მშრომელებს წითელი არმიის ორგანიზაციის პრინციპები, ტეხნიკური ძალები და ამოცანები. ამასთან ერთად ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მშრომელს დაზგაზე და გუთნით მუშაობასთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცებაში, რისთვისაც უნდა გამოეხმაუროს მასიური გასამხედროების საქმეს (მონაწილეობა თავდაცვა- ავიაქიმიის საზოგადოების მუშაობაში, სამხედრო სასროლო წრეებში, თავდაცვისათვის საჭირო სახსრების შეგროვება და სხვ.). ჩვენ უკვე 3 მილიონი წევრი გვყავს თავდაცვა-ავიაქიმის სეზოგადოებაში, მაგრამ ჩვენში ხომ 150 მილიონი მცხოვრებია. ჩვენ უკვე ნახევარი მილიონი წევრი გვყავს სხვადასხვა სამხედრო წრეებში, მაგრამ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში ხომ 3 მილიონი წევრი შედის. ამრიგად, ჩვენს წინაშე კიდევ სდგას ფართო ამოცანები, როგორც შემდგომი რიცხვობრივი ზრდის, ისე მასიური გასამხედროების მუშაობის გაძლიერების საქმეში.

საბჭოთა მთავრობას იმიტომ შეუძლია ასე ფართოდ დააყენოს მშრომელ მასებისათვის სამხედრო ხელოვნების სწავლების საქმე, რომ ის პროლეტარული დიქტატურის მთავრობა, მშრომელ მასების მთავრობა. თოფი მუშისა და გლეხის ხელში— საბჭოთა მთავრობის ძალისა და სიმტკიცის საუკეთესო საწინდარია. მთელი მშრომელი მასის სამხედრო ცოდნა საუკეთესო საფუძველია თავდაცვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტები თავს დაგვესხმიან.

როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის შესახებ, ჩვენ არ გვავიწყება, რომ თავდაცვის უნარის საფუძველს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძალა, რომელიც მოიპოვა მან უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამიტომ თავდაცვის კვირეულის დროს ჩვენ არა თუ არ შევასუსტებთ ყურადღებას მეურნეობისადმი, არამედ კიდევაც გავაძლიერებთ მას და მთელს ჩვენს სამეურნეო მუშაობას იმ თვალსაზრისით გადავსინჯავთ, რომ ეს მუშაობა დავუკავშიროთ თავდაცვის უნარის გაძლიერების ამოცანებს.

თავდაცვის კვირეულის სოფლად გატარების დროს მიმდინარე წელს ჩვენ, სხვათა შორის, ამოცანად უნდა დავისახოთ ბრძოლა იმ პროვოკაციულ ხმებთან, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება უბრუნდება სამხედრო კომუნიზმის სამეურნეო პოლიტიკას, სასურსათო გაწერას და სხვ. ამ ხმებს, რომლებსაც კულაკები ავრცელებენ, არაფერი არა აქვთ საერთო ჩვენს პოლიტიკასთან. პარტია განაგრძობს „ახალ ეკონომიურ პოლიტიკას", ხოლო იმ საგანგებო ღონისძიებებს, რომლებიც საჭირო იყო განსაკუთრებულ პირობებში, პარტია არავითარ შემთხვევაში არ გადააქცევს პოლიტიკის მუდმივ სისტემად.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ „პრავდა"-ში, რომ მიმდინარე წელს თავდაცვის კვირეული რამოდენიმედ განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობს, ვიდრე შარშან, როდესაც ჩვენს წინაშე წამოჭრილი იყო სამხედრო თავდასხმის უშუალო საფრთხე. ამიტომ უნდა გაიფანტოს ყოველგვარი უნიადაგო ხმები იმის შესახებ, თითქოს „დღეს თუ არა, ხვალ მაინც" ომია მოსალოდნელი. ამასთან ერთად ჩვენ უნდა მოვუთხროთ მშრომელ მასებს იმ მოსამზადებელი სამხედრო —დიპლომატიური მანევრების შესახებ, რომლებსაც დაუღალავად აწარმოებენ ჩვენი მტრები ჩვენს წინააღმდეგ, და რომლებსაც ომის მომზადების სუნი უდის (რუმინელი და პოლონელი გენერლების ერთმანეთთან სტუმრობა, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ზალესკის გამოსვლა, ინგლისის ინტრიგები პოლონეთის და ლიტვის ზურგს უკან და სხვ.)

საერთაშორისო იმპერიალიზმს იმიტომ არ შეუძლია თანდათანობით არ აიხადოს შემოტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა კავშირის სამეურნეო და პოლიტიკური წარმატება და ზრდა ძილს უფრთხობს საერთაშორისო მტაცებლებს, რამდენადაც ეს წარმატება და ზრდა საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს კაპიტალისტური ქვეყნების მუშებისა და მშრომელი მასების დასარაზმავად პროლეტარიატის დიქტატურის იდეის და კაპიტალიზმთან რევოლიუციონური ბრძოლის იდეის გარშემო. საერთაშორისო კაპიტალი ვერ ბედავს დაუყოვნებელ სამხედრო შემოტევას ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ გვიქმნის ყოველგვარ ეკონომიურ და საგარეო- პოლიტიკურ დაბრკოლებებს მსოფლიო ასპარეზზე და სცდილობს გააღრმავოს ჩვენი შინაური სიძნელეებიც (დამზიანებელი მუშაობა და სხვ.).

საბჭოთა კავშირის მშრომელნი თვალყურს ადევნებენ თავისი მტრების მახინაციებს და თვითეული ასეთი მახინაცია აძლიერებს ჩვენს რიგებში იმის მისწრაფებას, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ შევკავშირდეთ წითელი არმიის გაძლიერების და მშრომელი მოსახლეობის გასამხედროების საქმეში. რაც უფრო ძლიერნი ვიქნებით, მით უფრო დიდი ხნით გადაიდება ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრება.

საბჭოთა კავშირი არა ერთხელ ააშკარავებდა მთელ მსოფლიოს წინაშე, რომ მას ურყევად სურს მშვიდობიანობა, ის არა ერთხელ იძლეოდა წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. საბჭოთა კავშირს არავითარი შეტევითი მიზნები არა აქვს, ვინაიდან მუშებისა და გლეხებისათვის უცხოა იმპერიალისტური ზრახვები. მაგრამ მანამდე, სანამ იზრდება იმპერიალისტების შეიარაღება, ჩვენც უნდა ვამაგროთ ჩვენი სამხედრო ძალები, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმე და დავიცვათ ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობა შესაძლებელ თავდასხმებისაგან.

„პრავდა", 9 ივლისი.

# „არავითარი თანამშრომლობა მაკდონალდის პარტიასთან"

ლონდონი. ინდოელი ნაციონალისტების ლიდერმა მოტილალ ნერუმ დეპეშით აცნობა ჩამან-ლალას, რომ ის სავსებით იწონებს ინდოეთის დელეგაციის ტაქტიკას ინგლისის მუშათა საიმპერიო კონფერენციაზე.

**ინგლისის მუშათა პარტიასთან, რომელიც მხარს უჭერს იმპერიალისტურ და დიქტატორულ პოლიტიკას,**—აცხადებს მოტილალ ნერუ, **არ შეიძლება არავითარი თანამშრომლობა**".

მიტინგზე, რომელიც ვესტმინსტერში შესდგა, მიიღეს დადგენილება—მოეწყოს ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ფილიალი. მოწყობილია ფილიალის აღმასკომი, რომელშიც შევიდნენ კომუნისტი საკლატვალა და დეტტი.

### სამარცხვინო ბოძზე აკრავენ მაკდონალდის პარტიას

ლონდონი, 8 ივლისი. შესდგა იმპერიალიზმთან და კოლონიალური ხალხების ჩაგვრასთან მებრძოლი ლიგის ინგლისური სექციის კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 343 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ 170 მუშათა ორგანიზაციას 100.000 წევრით. თავმჯდომარეობდა ავეჯის მუშათა პროფკავშირის გენერალური მდივანი **ალექსანდრ გოსსიპი**.

კონფერენციის დღის წესრიგში ორი საკითხი იყო დასმული: 1) ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკა და მისი ეკონომიური შედეგები ინგლისის კოლონიალური მუშებისათვის, 2) მსოფლიო იმპერიალიზმი და ომი.

მომხსენებლებათ გამოვიდნენ მემაღაროეთა ფედერაციის მდივანი **კუკი**, მემარცხენეთა მოძრაობის ლიდერი **ჰარრი პოლლიტი**, პარლამენტის წევრი **საკლატვალა**, და სხ.

ინდოეთის ნაციონალური კონფერენციის (ინდოეთის პარტიების გაერთიანება) ყოფ. თავმჯდომარემ —**სრინივისა აიენგარმა**, რომელიც კონფერენციას დაესწრო, შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს ინგლისის მუშათა პარტიას საიმონის კომისიაში მონაწილეობისათვის.

რეზოლიუცია მიღებული იქნა ერთხმად ორის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ასეთივე რეზოლიუცია იქნა შეტანილი ინგლისის მუშათა საიმპერიო კონფერენციაზე, რომელიც მუშათა პარტიას თაოსნობით არის მოწვეული. ვინაიდან კონფერენციამ უარი სთქვა რეზოლიუციის განხილვაზე, ინდოეთის დელეგაციამ დასტოვა კონფერენცია.

# ამხ. ანიკეევი იაპონია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

მოსკოვი, 9 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იაპონიაში ამხ. **ანიკეევი**, რომელმაც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში დაახასიათა იაპონია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობა.

„ამ ორი-სამი წლის განმავლობაში,—ამბობს ამხ. ანიკეევი,—ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს როგორც სავაჭრო, ისე საკონცესიო ურთიერთობის დარგში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ვაჭრობა იაპონიასთან ორჯერ გაიზარდა".

შეეხო რა საკონცესიო ურთიერთობას იაპონიასთან, ამხ. ანიკეევმა აღნიშნა, რომ იაპონიის კონცესიონერების მუშაობა ნავთის, ქვანახშირის და ტყის კონცესიებში ვითარდება. წელს ამოღებული იქნება 150.000 ტონა ნავთი. ამ რაოდენობიდან საზღვარგარეთ გაიტანებენ 100.000 ტონას. ქვანახშირი ამოღებული იქნება 150—250 ათასი ტონა.

შემდეგ ამხ. ანიკეევმა აღნიშნა, რომ იაპონიის თევზის მრეწველები მიესალმენ მეთევზეობის კონვენციის დამტკიცებას, ვინაიდან კონვენციის დადებამ ბოლო მოუღო გაურკვეველ მდგომარეობას იაპონიის თევზის მრეწველობისა და ჩვენი მეთევზეობის ორგანიზაციების ურთიერთობაში.

„მე კმაყოფილებით აღვნიშნავ,—სთქვა დასასრულ ამხ. ანიკეევმა,—რომ ხელშეკრულების ნიადაგზე როგორც ვაჭრობის, ისე საკონცესიო დარგში წამოჭრილი ყველა საკითხი სწრაფად და ორთავე მხარესათვის დამაკმაყოფილებლად სწყდება. სავაჭრო წარმომადგენლობას იაპონიაში ამჟამად საქმიანი ურთიერთობა აქვს იაპონიის ყველა დიდ ფირმასთან" (ადს).

# ტანაკას განცხადება

ტოკიო, 8 ივლისი. გაზეთების ცნობით, პრემიერმა ტანაკამ კაბინეტის სხდომაზე აღნიშნა, რომ კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ იაპონიის პროტესტის საპასუხოდ საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ კომინტერნთან საერთო არაფერი აქვთო.

საგარეო საქმეთა სამინისტროში სიმბუნ რენგოს სააგენტოს თანამშრომელს უთხრეს, რომ გაზეთების ეს ცნობა სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. ნამდვილად ტანაკამ კაბინეტის სხდომაზე მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ იაპონია-საბჭოთა ურთიერთობას ხშირად აფერხებენ გაზეთების დაუსაბუთებელი ცნობები და განაცხადა, რომ ის შეეცდება შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებას. (ადს).

# დახმარება როშ ლია-მოლიერის კატასტროფის მსხვერპლთ

პარიზი, 8 ივლისი. კომპარტიის ორგანომ —„ლიუმანიტე"-მ და შრომის რეფორმისტული კონფედერაციის ორგანომ—„პეპლ"-მა დაიწყეს შემოწირულებათა შეგროვება როშ ლია-მოლიერის მაღაროებში მომხდარი კატასტროფის დროს დაღუპულ მემაღაროეთა ოჯახების დასახმარებლად. შეგროვებულია 28.000 ფრანკზე მეტი.

პარიზი, 8 ივლისი. დეპუტატთა პალატის სხდომაზე სამმა დეპუტატმა შეიტანა შეკითხვა როშ ლია-მოლიერის მაღაროში მომხდარი კატასტროფის შესახებ. საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა ტარდიემ აღუთქვა დეპუტატებს, რომ დამნაშავენი დასჯილი იქნებიან და ითხოვა კამათის გადადება გამოძიების დასრულებამდე.

# საბჭოთა ისტორიულ მეცნიერების გამოფენა ბერლინში

ბერლინი, 8 ივლისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„პრუსიის აკადემიის საზეიმო სხდომით გაიხსნა გამოფენა—„ისტორიული მეცნიერება საბჭოთა რუსეთში 1917 წლიდან 1927 წლამდე".

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აღმოსავლეთ-ევროპის შემსწავლელ გერმანულ საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა **გეტჩმა**. გეტჩი განსაკუთრებით თბილად მიესალმა დამსწრე რუს ისტორიკოსებს და საბჭოთა კავშირის ელჩს გერმანიაში—**კრესტინსკის**. შემდეგ გეტჩმა წაიკითხა გერმანიის ელჩის **ბროკდორფ რანცაუს** დეპეშა მოსკოვიდან, რომელშიაც ელჩი გამოსთქვამს მწუხარებას, რომ გადაუდებელ საქმეების გამო ვერ ესწრება გამოფენის გახსნას. გეტჩმა გამოაქვეყნა აგრეთვე უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე **კამენევას** მისასალმებელი დეპეშა. სრულიად გერმანიისა და პრუსიის მთავრობების სახელით —მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა პრუსიის განათლების მინისტრმა **ბეკკერმა**.

ამის შემდეგ სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ელჩი გერმანიაში **კრესტინსკი**, რომელმაც დაახასიათა გერმანია-საბჭოთა სამეცნიერო ურთიერთობის განვითარება ომის შემდეგ. რუსეთის ისტორიკოსების სახელით გამოვიდა რ.ს.ფ.ს.რ. განათლების სახ. კომისარის მოადგილე პროფ. **პოკროვსკი**, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა, რომ საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს ომის წარმოშობის ისტორიის დოკუმენტების გამოცემა. ეს მუშაობა დამთავრდება 1932 წ.". (ადს).

# მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### გაფიცვების ტალღა საფრანგეთში ძლიერდება

მოსკოვი, 9 ივლისი. „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი **გაბრიელ პერი** იტყობინება:

პორტ-რუანის დოკერები განაგრძობენ გაფიცვას. პორტი ამის გამო სრულიად ჩაკვდა. ქალაქ გავრისა და დიუნკირხენის დოკერები გაფიცულთადმი პროლეტარულ სოლიდარობის ნიშნად უარს აცხადებს იმ გემების გადმოტვირთვაზე, რომელნიც მოდიან პორტ-რუანიდან.

გაფიცვების ტალღა შეეხო საფეიქრო მრეწველობასაც. ქ. ალლუენში იფეთქა ფეიქართა გაფიცვამ. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. მუშათა მთლიანი ფრონტი ტარდება ქვევიდან. რეფორმისტი ხელმძღვანელები, როგორც ყოველთვის, აქაც ან აშკარა მოღალატურ, ან „ნეიტრალურ" პოზიციას იჭერენ.

ქ. მოსტაგანემში (ალჟირი) გაიფიცნენ აგრეთვე დოკერები, ასეთივე მდგომარეობაა საფრანგეთის ერთ-ერთ რაიონ ბრეტანის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებში.

ამის შემდეგ გაბრიელ პერი თავის ცნობაში ეხება პარლამენტის სხდომას და იტყობინება, რომ კომუნისტურ ფრაქციამ შეიტანა პარლამენტში შეკითხვა როშის მაღაროებში მომხდარ კატასტროფის გამო. თავის შეკითხვაში კომუნისტური პარტია უბედურების ერთად-ერთ და მთავარ დამნაშავეთ სცნობს მაღაროების მეპატრონეთა კომპანიას.

### შახტის პროცესის გამოძახილი გერმანიაში

მოსკოვი, 9 ივლისი. „იზვესტია"-ს საკუთარი ბერლინელი კორესპონდენტი **კაიტი** თავის დეპეშაში იძლევა გერმანიის პრესის მიმოხილვას შახტის პროცესის გამო და აღნიშნავს:

ძირითადი ტონი, რომელიც აიღო გერმან. გაზეთებმა შახტის პროცესთან დაკავშირებით, ეს არის საკითხი გერმანია-საბჭოთა კავშირის მომავალ ურთიერთობის შესახებ.

„კელნიშე ცაიტუნგი", აღნიშნავს რა გერმანელ ბრალდებულთა გამართლების ფაქტს, თავის წერილებში ატარებს შემარიგებელ ხაზს.

მთელი რიგი გაზეთები აგრეთვე გამოსთქვამენ სურვილს იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება მალე იქნას აღდგენილი გერმანია-საბჭოთა კავშირის სამეურნეო მოლაპარაკება.

„ბერლინერ ტაგებლატი"-ს საღამოს გამოცემა წინააღმდეგ თვალსაზრისზე სდგას. ის მოითხოვს ექსტერიტორიალობას გერმანიის მოქალაქეთათვის საბჭოთა კავშირში და ახალ გარანტიების გამოთხოვას საბჭოთა ხელისუფლებისაგან გერმანელ სპეციალისტებისათვის.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტს"-ი და ცენტრის ორგანო „გერმანია"— ბოროტებით აღსავსე წერილებს ათავსებენ შახტის პროცესზე გამოტანილ განაჩენის გამო.

### გადაფრენა მსოფლიოს გარშემო

მოსკოვი, 9 ივლისი. 8 ივლისს მოსკოვში მოფრინდა ამერიკელი ჟურნალისტი მირსი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს 23 დღის განმავლობაში მოახდინოს გადაფრენა მსოფლიოს გარშემო. ამრიგად ამერიკული თვითმფრინავი, თუ ეს განზრახვა მან შეასრულა, რეკორდს აიღებს ამ მხრივ.

სტუმრებს მოსკოვის აეროდრომზე შეეგებნენ თავდაცვა-ავიაქიმის, პრესის და ფრინავთა წარმომადგენელნი.

### იაპონიის თეატრი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 9 ივლისი. უკვე საბოლოოდ გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან მოსკოვში დაიწყება იაპონიის თეატრ კაბუკის გასტროლები. მოსკოვის პრესა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა იაპონიის თეატრის ჩამოსვლას საბჭოთა კავშირში.

კუბიკის თეატრი პირველად გასტროლებს გამართავს მოსკოვში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

### ამერიკელების ჩამოსვლა

მოსკოვი, 9 ივლისი. ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკელთა ექსკურსია, რიცხვით ასი კაცა, ექსკურსიაში შედიან ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწეები. ექსკურსანტები მოსკოვიდან გაემგზავრებიან ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში.

# უკანასკნელი ცნობები

## კომენტარიები შახტის პროცესის გამო

**ბერლინი**, 9 ივლისი. პრესის კომენტარიებში შახტის პროცესის შედეგების შესახებ ირკვევა ორი მიმდინარეობა. გაზეთების ნაწილი, მეტადრე სოციალ - დემოკრატიული გაზეთები — პარტიის ცენტრის ორგანოები — და აგრეთვე მძიმე მრეწველობის ზოგიერთი ორგანოები ძალიან მკაცრად ლაპარაკობენ საბჭოთა იუსტიციის წინააღმდეგ. ამ მიმდინარეობის სათავეში სდგას „ფორვერტსი", რომელიც სისტემატიურ კამპანიას ავითარებს მას ბანს აძლევს რენეგატი პაულ ლევი თავისი ყოველკვირეული ორგანოთი. წინააღმდეგ ამისა, ბევრი გავლენიანი გაზეთი, მეტადრე ისეთები, რომლებიც კარგად ერკვევიან საგარეო პოლიტიკის საკითხებში, იჩენენ პროცესის ერთგვარ გეგმას და შედარებით ობიექტიურად აფასებენ პროცესზე გამოაშკარავებულ ბოროტმოქმედებას.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგთან" ერთად „კიოლნიშე ცეიტუნგიც", და „ფრანკფურტერ ცეიტუნგიც" დამტკიცებულად სთვლიან პროცესზე გამოაშკარავებული კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების უმეტეს ნაწილს. ამავე დროს პრესაში ეტყობა უფრო და უფრო ძლიერი ტენდენცია, რომ ავიცილებულ იქნას საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთობის გზაზე გადაღობილი დაბრკოლებანი. თუმცა პრესა კვლავ ლაპარაკობს საბჭოთა კავშირში მომუშავე გერმანელი მოქალაქეებისათვის გარანტიის საჭიროების შესახებ, მაგრამ პრესაში მაინც გაბატონებულია მისწრაფება, რომ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკება გაყინული წერტილიდან დაიძრას. (ადს)

## თანაგრძნობა მსჯავრდადებულებს

**ვარშავა**, 9 ივლისი. „გლოს პრავდი" კომენტარიებს უკეთებს შახტის პროცესზე გამოტანილ განაჩენს, ცდილობს სახელი გაუტეხოს სამოსამართლო გამოძიებას და თანაგრძნობას უცხადებს მსჯავრდადებულებს. „ვარშავიანკა" ეხება განაჩენს და შემთხვევით სარგებლობს, რომ იქადაგოს მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის ორგანიზაცია. (ადს).

## კონფერენცია გლაზგოში

**ლონდონი**, 9 ივლისი. გლაზგოში გაიმართა მეკსტონისა და კუკის მიერ გამართული პირველი კონფერენცია. დაესწრო 5.000 მუშა. მოულოდნელი იყო გენერალური საბჭოს წევრის ჯორჯ ჰიქსის დასწრება კრებაზე. კუკმა მოხსენებაში განაცხადა, რომ მისსა და მეკსტონის მიერ დაწყებულ კამპანიას მიზნად აქვს, რომ პროფკავშირების შემდეგმა კონგრესმა დაგმოს მონდის ჯგუფთან გენერალური საბჭოს მოლაპარაკე „მრეწველობაში მშვიდობიანობის" დამყარების შესახებ. კუკმა სთქვა: „მონდიზმი—ფაშიზმის პირველი სტადიაა; მაშ ჩამკალით სათავეშივე ფაშიზმი". ჰიქსმა განაცხადა, რომ იგი უერთდება კუკისა და მეკსტონის მოწოდებას. მან გაიხსენა თავისი გამოსვლა პროფკავშირების ედინბურგის კონგრესზე, რომელმაც გადასწყვიტა მოლაპარაკების დაწყება მრეწველებთან, და განაცხადა:

„მე ვხელმძღვანელობდი მარქსიზმის პრინციპებით და ვცდილობდი, რომ მუშებისა და მრეწველების მოლაპარაკება გადამეტანა კლასობრივ ნიადაგზედ". მაგრამ, ჰიქსის აზრით გენერალურმა საბჭომ მოლაპარაკების პროცესში შემცდარი პოზიცია დაიჭირა და ის, ჰიქსი, ნანობს, რომ ერთ დროს მოლაპარაკების მომხრე იყო. მეკსტონი შეეხო მუშათა მოძრაობის ლიდერებს და ტომასს უწოდა „სამრეწველო რეფორმიზმის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა", ხოლო მაკდონალდს „მისი პოლიტიკური ასლი". მეკსტონმა განაცხადა: „მაკდონალდის ჟურნალისტური ვარჯიშობა რყვნის მუშათა კლასს". ამ ადგილას ორატორს სიტყვა შეაწყვეტინეს: „შორს მაკდონალდი მუშათა მოძრაობისაგან". მეკსტონმა უპასუხა: „მუშათა მოძრაობა მაქსიმალურის მოთმინებით უნდა მოექცეს ყველა თავის მოღვაწეს, მით უმეტეს მაკდონალდსაო". (ადს).

## ახალი შადრევანი

**ბაქო**, 9 ივლისი. ბიბი-ეიბათში ამოხეთქა ახალმა შადრევანმა, 8 მოქმედებს ჭა № 47, რომლის ბურღვა ახლახან დამთავრდა. შადრევანი იძლევა დღეში 800 ტონაზე მეტ ნავთს. ჭის სიღრმე 950 მეტრს უდრის. (ადს)

# მუშების უკმაყოფილება

**ბერლინი**, 8 ივლისი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და კოალიციურ მთავრობაში შემავალი მისი წევრების საქციელი უფრო და უფრო დიდ უკმაყოფილებას იწვევს იმ მუშებში, რომლებიც სოციალ-დემოკრატებს მისდევენ. ეს უკმაყოფილება იხატება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „მემარცხენე" ფრთის ორგანოების მკაცრ კილოში; ეს ორგანოები აკრიტიკებენ პარტიის ხელმძღვანელებისა და მთავრობის სოციალ - დემოკრატ წევრების პოლიტიკას. (ადს).



ვისსელი

შრომის მინისტრი



ჰილფერდინგი

ფინანსთა მინისტრი

# მუშათა ბრძოლა

## სამედიატორო გადაწყვეტილება

**ბერლინი**, 8 ივლისი. სამედიატორო მოსამართლემ ბაუერმა, რომელიც დანიშნა შრომის მინისტრმა—სოციალ-დემოკრატმა ვისელმა, გამოიტანა განაჩენი, ბერლინის ლითონის მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტის გამო. განაჩენი თითქმის არაფერსა სცვლის არსებულ მდგომარეობაში. დაუკმაყოფილებელი დარჩა მელითონეთა მოთხოვნილება 46 სახ. საათიანი სამუშაო კვირის შემოღების შესახებ. (ადს).

## მუშების გამარჯვება

**ბერლინი**, 8 ივლისი. ბერლინის პურის ქარხნების მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა. ხელფასი კვირაში 4 მარკით არის გადიდებული. გაფიცულთა საზოგადო კრებამ გადასწყვიტა მუშაობის განახლება. (ადს).

## მეთამბაქოეთა გაფიცვა დამთავრდა

**ათინა**, 8 ივლისი. ათინის დეპეშათა სააგენტო იუწყება: შრომის კონფედერაციამ გამოაცხადა, რომ დამთავრდა მუშა-მეთამბაქოეთა გაფიცვა. დღეს თავდება მეზღვაურების გაფიცვა. (ადს).

## ფინეთის ტვირთებს ბოიკოტი გამოუცხადეს

**სტოკჰოლმი**, 8 ივლისი. ბოიკოტი, რომელიც დანიის მტვირთავთა კავშირმა გამოუცხადა ფინეთის ტვირთებს, ფინეთის ნავთსადგურების გაფიცულ მუშებთან სოლიდარობის ნიშნად, ძალაში შედის 9 ივლისიდან. შვეციაში და ნორვეგიაში ბოიკოტი უკვე ხორციელდება. სკანდინავიის ქვეყნებში ფინეთიდან მოსულ გემების განტვირთვა არ სწარმოებს. (ადს).

# რადიკალურ და დემოკრატიულ პარტიების კონფერენცია

**ლონდონი**, 8 ივლის. გაიხსნა ევროპის 12 ქვეყნის რადიკალური და დემოკრატიული პარტიების კონფერენცია. მონაწილეთა შორის არიან: ინგლისის ლიბერალური პარტიის ლიდერი ლოიდ ჯორჯი, საფრანგ. რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების წარმომადგენელი დალადიე, გერმანიის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი—გერმანიის იუსტიციის მინისტრი კოხი და სხვ.

ინგლისის თემთა პალატის ლიბერალურმა ფრაქციამ კონფერენციის მონაწილეთა საპატივსაცემოდ გამართა ნადიმი.

# დუმერგის მისალმება

**პარიზი**, 8 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „დამოუკიდებლობის დღის გამო (ჩრ.-ამერ. შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს 1716 წლის 4 ივლისს) პრეზიდენტმა დუმერგმა პრეზიდენტ კულიჯს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: "წარსული საფრანგეთ-ამერიკის მეგობრობის სიმტკიცის თავდებია. ის ამ ერებისათვის ცოცხალ, ნამდვილ ძალას წარმოადგენს და საგრძნობლად შეუწყობს ხელს იმ დიდი საქმის განხორციელებას, რომელიც მზადდება და რომელმაც უნდა განამტკიცოს საერთაშორისო მშვიდობიანობა უფრო ურყევ საფუძველზე".

კულიჯმა უპასუხა დეპეშით, რომელშიაც მადლობას უხდის და აცხადებს: „ურთიერთი სიმპატიის შემაკავშირებელი მტკიცე ძალა ყველაზე უფრო აშკარავდება ეხლა, როცა ორივე ერი ცდილობს საყოველთაო მშვიდობიანობის განხორციელებასო". (ადს)

# ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი

**ბერლინი**, 8 ივლისი. „იუნკერს"-ის ფირმის მფრინავმა რისტიჩმა და ბორტმექანიკოსმა ციმერმანმა, რომლებიც გაფრინდნენ დესაუდან საღამოთი ივლისის 4-ს (მეორე ცდა: ახალი რეკორდის დასამყარებლად გასძლეს ჰაერში 65 საათი და 14 წუთი.

მათ მიერ მიღწეული შედეგი 6 საათით და 45 წუთით სჯობნის მსოფლიო რეკორდს, რომელიც ამას წინად დაამყარეს იტალიელებმა. გაფრენის დროს დაფარულია 8.100 კილომეტრი.

# დემონსტრაცია ჩეხოსლოვაკიაში

**პრაგა**, 8 ივლისი. მიუხედავად „წითელი დღის" აკრძალვისა კრატცაუში, ტანფელდში და ფრიდლანდში ივლისის 6-ს მოეწყო დიდი დემონსტრაციები, რომელნიც პოლიციამ გარეკა. უფრო მცირე დემონსტრაცია გაიმართა რეიხენბერგში. დიდი დემონსტრაციები ჩატარდა ტეპლიცში, ფალკნოვში და ხოდაუში.

# ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად

## რადიო „კრასინი"-დან

**ყინულისმჭრელი „კრასინი**, 9 ივლისი. 8 ივლისს ყინულის მჭრელი „კრადა, ფრენა ორი საათი გაგრძელდა. აფრენის დროს აეროპლანი დაეჯახა ამობურცულ ადგილს და ოდნავ დაზიანდა. მოედანი სასწრაფოდ იქნა გაწმენდილი და აეროპლანი უვნებლად, დაეშვა, ახალ გაფრენას ხელს უშლის ნისლი. მოედანი ხელმეორედ უნდა გაიწმინდოს. (ადს).

**ყინულისმჭრელი „კრასინი"**, 9 ივლისი. 8 ივლისს საბჭოთა ყინულის მჭრელი „კრასინი" იმყოფებოდა 25 საზღვაო მილის მანძილზე ვილიერის ჯგუფისაგან. იმედია, ყინულის მჭრელი მოახერხებს, რომ პირისპირ მიადგეს ჯგუფის ბანაკს. (ადს).

**ყინულის მჭრელი „კრასინ"-ი**, 8 ივლისი. „კრასინ"-ი საბოლოოდ შეჩერდა 10-15 მილის მანძილზე შვიდი კუნძულის ჩრდილოეთით და 22 მილის მანძილზე კარლოსის კუნძულიდან. დაწყებულია მუშაობა აეროპლანის ყინ[illegible]ზე დას[illegible]ობის მოსაწყობად. (ადს)

## რადიო „მალიგინი"-დან

**ყინულის მჭრელი „მალიგინი"**, 9 ივლისი. „მალიგინი" ამტვრევს გზაზე მრავალკილომეტრიან ყინულოვან ველებს და უახლოვდება მე-78 პარალელს. „მალიგინი" მიემართება კარლოსის კუნძულისაკენ.

## ყინულოვან ოკეანეს გამოკვლევა

**ოსლო**, 8 ივლისი, ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ნორვეგიის ჯავშნიანი გემი „ტორდენშელდ"-ი გავიდა კინგსბეიდან ყინულოვან ოკეანეს გამოსაკვლევად კინგსბეის დასავლეთით. გამოკვლევა გაგრძელდება 21 ივლისამდე. (ადს)

## შეუმოწმებელი ხმები

**სტოკჰოლმი**, 8 ივლისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„გაზეთების კორესპონდენტები კინგსბეიდან გადმოგვცემენ ხმებს, რომ ნობილეს ერთ-ერთი თანამგზავრი ვალერის ჯგუფიდან, უფროსი მექანიკოსი ჩეჩიონი, გარდაიცვალა ჯერ კიდევ 5 ივლისს, ე. ი. მანამდე, სანამ შვეციის აეროპლანი ლუნდბორგს წამოიყვანდა. (ადს).

## ვილიერის ჯგუფის მდგომარეობა

**სტოკჰოლმი**, 9 ივლისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „იტალიის" კომანდის შვეციის დამხმარე ექსპედიციის უფროსმა მოხსენება გამოგზავნა ვილიერის ჯგუფის მდგომარეობის შესახებ (ვილიერი იტალიელი ოფიცერია, რომელიც ნობილემ თავის მოადგილედ დასტოვა). ჯგუფის წევრები ფიზიკურად დასუსტებულნი და დაავადებულნი არიან. ჯგუფს 8 თვის სურსათი აქვს დღევანდლამდე ნაპოვნი არ არიან მარიანოს ჯგუფის წევრები, რომლებიც ნობილეს ჯგუფს გამოეყვნენ და დედამიწის საძებნელად წავიდნენ. ექსპედიციის უფროსის აზრით, ეს ჯგუფი ან დაიღუპა, ან მცურავმა ყინულმა წაიღო, მარიანოსა და მის ამხანაგებს სურსათი კიდევ ერთ კვირას ეყოფათ, მარიანოს ჯგუფს იარაღი არა აქვს (ადს).

# პრეზიდენტი დუმერგი საბჭოთა პავილიონში

**პარიზი**, 8 ივლისი. საბინაო მშენებლობის და სოციალური პროგრესის საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა განყოფილება ინახულა საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა. პრეზიდენტი მიიღო საბჭოთა ელჩმა დოვგალევსკიმ. განმარტებებს იძლეოდა რუბაკინი.

# მთლიანი ფრონტის მტრები

**სტოკჰოლმი**, 8 ივლისი. შვეციის მეტყევეთა ყრილობამ უარყო კავშირის ერებროს განყოფილების წინადადება მოლაპარაკების დაწყების შესახებ საბჭოთა მეტყევეების პროფკავშირთან ძმური ხელშეკრულების დადების შესახებ.

# პროტესტი

**სტოკჰოლმი**, 8 ივლისი. შვეციის სატყეო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც კიცხავს შვეციის მთავრობას, რომელმაც საბჭოთა მიწა-ტყის მუშათა კავშირის წარმომადგენლებს უარი უთხრა ვიზის მიცემაზე ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

# პურის კრიზისი პოლონეთში

**ვარშავა**, 8 ივლისი. ოფიციოზ „ეპოკა"-ს ცნობით, პოლონეთის მთავრობას განზრახვა აქვს შემოდგომაზე უცხოეთში შეიძინოს 150.000 ტონა ჭვავი და ხორბალი შინაური ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

# ანტვერპენში გაფიცვა დასრულდა

**პარიზი**, 8 ივლისი. ანტვერპენის ტრანსპორტის მუშების გაფიცვის გამო შესდგა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს—პრემიერმა ჟასპარმა და მწარმოებელთა წარმომადგენლებმა. თათბირის შედეგები არ გამოუქვეყნებიათ.

**პარიზი**, 8 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ანტვერპენის ნავთსადგურის მუშები და მწარმოებლები შეთანხმდნენ. მუშაობა ნავთსადგურში 9 ივლისს განახლდება".

# საქ. პროფსაბჭოს მე-7 პლენუმი

გუშინ საღამოს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა საქ. პროფსაბჭოს მე-7 პლენუმი. პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება;
2. მოხსენება შრომის სასამართლოების საქმიანობის შესახებ და
3. საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გ. ყურულიშვილის მოხსენება პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ.

## ამხ. გ. ყურულიშვილის მოხსენება

—ჩემი მოხსენების მიზანს შეადგენს, — დაიწყო ამხ. ყურულიშვილმა, — პლენუმს დაუხასიათო პროფსაბჭოს მუშაობის გზა, გამოვყო ის დაბრკოლებები და დეფექტები, რომლებიც ხელს გვიშლიდნენ მიმდინარე საქმიანობაში, რომ პლენუმმა შესძლოს მომავალში მუშაობის გასაჯანსაღებლად ახალი ღონისძიების დასახვა, შახტის ისტორიამ დაარწმუნა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, რომ საჭიროა ჩვენს მუშაობაში შეცდომების ძება, საჭიროა კრიტიკის გაძლიერება, საჭიროა დაბრკოლებების გადასალახავათ ახალ-ახალი ღონისძიებების გამომუშავება და კომუნისტური პარტიის იმ დირექტივის სრული 100 პროცენტით გატარება ცხოვრებაში, რომელსაც დაუზოგველ თვითკრიტიკას ვეძახით. თვითკრიტიკის გაცხოველებით ჩვენ შევსძლებთ მასიური მუშაობის გამოცოცხლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვებით დაგვირგვინებას.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს პროფკავშირების როლს თვითკრიტიკის გაძლიერების საქმეში და ეხება მთელ რიგ დეფექტებს პროფკავშირების საქმიანობაში, ჩვენშიაც, ორატორის განცხადებით, ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომლებიც მართალია სუსტად, მაგრამ მაინც ჰგვანან — შახტის ამბებს, ჩვენმა საზოგადოებრიობამ ჯერაც დანამდვილებით არ იცის, თუ რამ გამოიწვია მთელი რიგი მოულოდნელი უარყოფითი მოვლენები, მაგალითად ტყიბულის მაღაროებში. იმ მიზნით, რომ ყველა მნიშვნელოვანი დაბრკოლებები გადავლახოთ და აღმშენებლობის საქმე გავაუმჯობესოთ, საჭიროა მასიური მუშაობის ფართოდ გაშლა.

მომხსენებელი ამტკიცებს, რომ ძალიან ხშირად ჩვენი პროფესიონალური კავშირები შესაფერისად არ ეხმაურებიან მუშათა ფენების მოთხოვნილებებს. მეორეს მხრივ კი საჭიროა განვითარდეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, რაც წარმოუდგენელია ფართო მუშათა მასების მონაწილეობის გარეშე: სწორედ ამ დარგში პროფკავშირები იჩენენ სისუსტეს და საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლას.

შემდეგ მომხსენებელი გადადის პროფკავშირების მუშაობაზე სხვადასხვა მსხვილ საწარმოო ერთეულებში და აღნიშნავს, რომ ბევრ დიდ წარმოებაში, სადაც სანიმუშოდ უნდა იყოს პროფმუშაობა დაყენებული, ადგილი აქვს ე. წ. პროფკავშირული დემოკრატიის პრინციპების დარღვევას, ხელმძღვანელობის სისუსტეს და მთელ რიგ დეფექტებს. ასე მაგალითად მთავარ სახელოსნოებში საურთიერთო დამხმარე სალაროში გაერთიანებულია ყველა მუშების მხოლოდ 2 პროც., ბორჯომის შუშის ქარხანაში ადგილი ჰქონდა საბჭოთა და პროფკავშირული დემოკრატიის უხეშათ გატარებას.

როგორია სოფლად მუშაობის ამოცანები პროფკავშირებისათვის? მომხსენებელი ამბობს, რომ სოფლად ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცება და ჩვენი სოფლის კულტურული გადახალისება დამოკიდებულია პროფკავშირების მიზანშეწონილ და ცოცხალ მუშაობაზე. მიწა - ტყის მუშაკთა კავშირი, განათლების მუშაკთა კავშირი, მედსანშრომის მუშაკები და სხვ. აერთიანებენ სოფლის ყველა კულტურულ ძალებს.

პროფკავშირებმა მიზნად უნდა დაისახონ სოფლის მოსახლეობაში კოლექტივიზაციის პროპაგანდა, სასოფლო - სამეურნეო კომუნების მოწყობა და სხვ. აგრონომი, მასწავლებელი და ექიმი — ამ სამმა ძალამ უნდა გარდაქმნას ჩვენი სოფელი. ეს სამი ძალა უნდა გახდეს საბჭოთა საზოგადოებრიობის მეთაური სოფლად.

კულტმუშაობის დახასიათებისას ამხ. ყურულიშვილი ფართოდ შეჩერდა წრეების საქმიანობაზე და აღნიშნა, რომ წრეების მოწყობა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ამა თუ იმ კავშირის საკუთარი ძალებით, მან დაუშვებლად მიიჩნია წრის ხელმძღვანელების სხვა კავშირებიდან გადმობირება, როგორც ამას, მაგალითად, ადგილი ჰქონდა, ფიზკულტურის წრეების საქმიანობაში, მომავალში საჭიროა წრეებში მუშაობის საქმე დადგეს უფრო საღ ნიადაგზე და უარყოფილი იქნეს ყველა მავნე გადახრები ამ დარგში.

დასასრულ, მომხსენებელი შეჩერდა საწარმოო თათბირების მუშაობაზე, სპეციალისტებს შორის მუშაობის ამოცანებზე, ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხებზე და სატარიფო - საეკონომიო მუშაობაზე.

— ჩვენი მიზანია, — ამთავრებს ამხ. ყურულიშვილი თავის მოხსენებას, — პროფკავშირული საქმიანობა განვავითაროთ მასიურ-ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესებით. ჩვენ უნდა მოვემზადოთ მომავალი ცხოვრებისათვის, პროფკავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ ახალი ძალების დაწინაურებას, რომ მუშათა კლასმა მტკიცეთ დაიცვას ის პოზიცია, რომელიც მან ჩააბარა ოქტომბრის რევოლიუციამ.

პლენუმის მეორე სხდომა დანიშნულია დღეს საღ. 6 საათისათვის.

# საბჭოთა კავშირში

## 168 მილ. მან. მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების დასახმარებლად

**მოსკოვი**, 9 ივლისი. 1928 — 29 წლის საკავშირო მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების დაჩქარების მიზნით, ვიდრე მოხდებოდეს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებს შორის საღერბო და ფასეულობის ბრუნვის გადასახადების ანარიცხების განაწილება, საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების 1928—29 წ. ბიუჯეტების შესადგენად საკავშირო შემოსავლის წყაროებიდან გადაიდოს 168 მილ. მან., აქედან ამიერ - კავკასიისათვის 29 მილ. მან. (ადს).

## ფეხბურთის მატჩი

**მოსკოვი**, 9 ივლისი. მოსკოვის ნაკრები გუნდისა და ქვემო ავსტრიის მუშათა კავშირის ნაკრები გუნდის ფეხბურთის მატჩმა აუარებელი მაყურებელი მიიზიდა. ამხ. ტომსკის სახელობის უდიდესი სტადიონი ხალხით იყო გაჭედილი. მაყურებელთა ნორმალური რიცხვის 12.000 მაგიერ სტადიონზე იყო 17.000 კაცზე მეტი. მატჩი დამთავრდა მოსკოვის სასარგებლოთ 6:1 (ადს)

## ბამბის სათესი მიწების მორწყვის ელექტროფიკაციის პროექტი

**მოსკოვი**, 9 ივლისი. ინჟინერმა პერელმანმა მებამბეობის მთავარ კომიტეტს წარუდგინა ბამბის სათესი მიწების მორწყვის ელექტროფიკაციის პროექტი. ელექტროფიკაციისათვის შეიძლება ელექტროსადგურებისა და აგრეთვე ბამბის საწმენდი ქარხნების მოტორების გამოყენება. პროექტის განხორციელება 12 მილ. მანეთის ეკონომიას მოგვცემს. მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა გაითვალისწინა მორწყვის ელექტროფიკაციის პრობლემის დიდი მნიშვნელობა, და გადასწყვიტა, ინჟინერ პერელმანის მონაწილეობით, მოავლინოს შუა აზიაში სპეციალისტების ექსპედიცია ელექტროფიკაციის პროექტთან დაკავშირებული ყველა საკითხის ადგილობრივ გადასაწყვეტად. (ადს).

## მოზარდები მრეწველობაში

**მოსკოვი**, 9 ივლისი. საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭომ დააწესა მოზარდთა რაოდენობის ახალი ნორმა მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ნორმის თანახმად, ლითონის მრეწველობაში მოზარდთა რიცხვი უდრის კვალიფიციურ მუშების რიცხვის 4—5 სახ. პროცენტს, სამთო მრეწველობაში—2-დან 5 პროცენტამდე. მოზარდთათვის მაქსიმალური პროცენტი დაწესებულია ბოთლების მექანიზაცია გატარებულ წარმოებაში—10 პროცენტი. ელექტრომრეწველობაში, სხვადასხვა დარგის მიხედვით, მოზარდთა რაოდენობა უდრის კვალიფიციური მუშების 2—8 პროც.. წარმოებაში შეიძლება მუშაობდნენ 14—18 წ. მოზარდები, წარმოების პირობების მიხედვით. ახალი კანონი ძალაში შედის 1928 წლის 1 ოქტომბრიდან; იგი უნდა დაამტკიცოს საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა. (ადს).

## ყინულის მჭრელი „სტალინი"

**სევასტოპოლი**, 9 ივლისი. დასრულდა შეკეთება და მომზადება კასპის ზღვაში გასაყვანად ყინულის მჭრელ „სტალინი"-სა მძლავრი ყინულის მჭრელი მიდის ევროპის ირგვლივ. მერე კი მარიის სისტემით და მდინარე ვოლგათი. — კასპიის ზღვაში. ეს პირველი შემთხვევაა დიდი გემის შავი ზღვიდან კასპიის ზღვაში გადაყვანისა.

## პირველი მომგებიანი სესხის ტირაჟი

**ხაბაროვსკი**, 9 ივლისი. დასრულდა პირველი მომგებიანი სესხის ტირაჟი. 25.000 მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგ ობლიგაციებს: № 1977429, სერია 9 და № 1224761, სერია 10. 50.000 მანეთიანი მოგება ჰხვდა № 167473, სერია 2. 10.000 მან. — № 348686, სერია 8.

## რეფრიჟირატორი „ალექსი რიკოვი"

**ლენინგრადი**, 9 ივლისი. ჩრდილოეთის გემთსაშენში დასრულდა გამოცდა მექანიზმებისა და ძრავების საბჭოთა პირველ მაცივარზე „ალექსი რიკოვ"-ზე. მექანიზმები მთელი კვირის განმავლობაში შეუჩერებლად მუშაობდნენ. ამ გემის აგება საბჭოთა გემთშენებლობის ახალი გამარჯვებაა. „ალექსი რიკოვი" გადაზიდავს მსწრაფლ გასაფუჭებელ ტვირთს ლენინგრადსა და დასავლეთ ევროპის ნავთსადგურებს შორის. მაზე მოაწყობენ მგზავრთა კაიუტებს. ამ დღეებში „ალექსი რიკოვი" პირველად გავა ზღვაში.

# პროფ. ზვორიკინის გარდაცვალება

**კიევი**, 9 ივლისი. გარდაიცვალა კიევის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ცნობილი მეცნიერი ზვორიკინი (ადს).

# ავსტრიელი მუშკორები მოსკოვში

**მოსკოვი**, 9 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდნენ ავსტრიის კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „როტე ფანე"-ს რედაქტორი ამხ. ცუკერი და სამი ავსტრიელი მუშკორი. კერბერი —მელითონე-შუტლევორტის ქარხნის მუშკორი; კაპუსკი— ვარიმალოვის ლითონის ქარხნის მუშკორი და დურსტ-მიულერი—მელითონე, ქარხანა „ალპინე მონტანის მუშკორი. მუშკორები მოსკოვში ჩამოვიდნენ „პრავდა"-ს მუშკორთა წრეების მიწვევით.

სადგურის წინ მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელსაც მრავალი რკინის გზელი დაესწრო. მოსკოვის მუშკორების სახელით სტუმრებს მიესალმენ „პრავდა"-სა და „რაბოჩაია მოსკვა"-ს რედაქციების წარმომადგენლები და აღუთქვეს მათ სრული დახმარება საბჭოთა კავშირის მდგომარეობის გაცნობის საქმეში

## დღესასწაული კონსტიტუციის 5 წლის თავზე

**მოსკოვი**, 9 ივლისი. 8 ივლისს ოქტომბრის ველზე გაიმართა გრანდიოზული დღესასწაული კონსტიტუციის ხუთი წლის თავისა და თავდაცვის კვირეულის აღსანიშნავად.

დილის 10 საათზე ოქტომბრის ველი უკვე გაჭედილი იყო ხალხით.

შუადღის 1 საათზე მოსკოვის საბჭოს სახელით ამხ. უხანოვმა გახსნა მიტინგი.

„5 წლის წინათ — სთქვა ამხ. უხანოვმა— საბჭოთა კავშირის მშრომელები გაერთიანდნენ ერთ ძმურ ოჯახად და მას აქეთ საკავშირო კომპარტიის (ბ) დროშის ქვეშ დაუღალავ ბრძოლას აწარმოებენ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად. ამ 5 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. მაგრამ ჩვენ ამას არ უნდა დავჯერდეთ, ვინაიდან ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება გვაქვს დასაძლევი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ სოციალიზმს ვქმნით ჩამორჩენილ ქვეყანაში, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. მთელი ქვეყნის კაპიტალისტები გაბოროტებით გვადევნებენ თვალყურს: ისინი გრძნობენ ჩვენს წარმატებას და მახინაციებს გვიწყობენ, მაგრამ ეს მახინაციები ჩვენ არ გვაშინებს".

ამხ. უხანოვმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში საზღვარ-გარეთის თეთრგვარდიელებს განსაკუთრებული გამოცოცხლება ეტყობათ, და სთქვა:

„მშრომელთა მთლიანობა, რომელსაც უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, სრულ უფლებას გვაძლევს, უთხრათ მათ. „ჩვენ არ გვაშინებს თქვენი მუქარა, თქვენი უძლეური გაბოროტება, არამედ მხოლოდ სიცილს გვგვრის იგი".

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ენუქიძემ.

„5 წლის განმავლობაში — სთქვა ამხ. ენუქიძემ — საბჭოთა კავშირის ყველა ერი საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით მუშაობას ეწევა ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად. დღევანდელი ზეიმი წარმოადგენს ოქტომბრის რევოლიუციის იდეათა გამარჯვებას, ჩვენი დიდი მასწავლებლის ლენინის ანდერძის გამარჯვებას".

კომინტერნის სახელით ფრანგულად სიტყვა წარმოსთქვა კაშენმა, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

„საბჭოთა კავშირი — სთქვა კაშენმა — მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის თვალწინ საქმით ახორციელებს ყველა ერის ძმობას, ახორციელებს ის ქვეყანა, სადაც არ არის არც დაჩაგრული, არც მჩაგვრელი. სადაც ყველა მშრომელი გაერთიანებულია მჭიდრო მეგობრულ ოჯახად. გაუფრთხილდით ამ ერთობას — ამბობს კაშენი — განამტკიცეთ თქვენი კავშირი, ვინაიდან იგი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისათვის. საფრანგეთის მუშათა კლასის სახელით, წითელი პარიზის სახელით პირობას გაძლევთ, რომ საჭირო დროს ჩვენ თქვენთან ვიქნებით".

საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომკავშირის სახელით ამხ. იაროსლავსკი აცხადებს: რაც უნდა ძნელი იყოს მომავალი დაბრკოლებანი შეიარაღებული პროლეტარიატი გადალახავს მათ და მოახერხებს თავის სოციალისტური სამშობლოს დაცვას. მქუხარე ტაში ჰფარავს ამხ. იაროსლავსკის სიტყვებს: „გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ)!

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის სახელით გამოვიდა ამხ. უგლანოვი და სთქვა: კაპიტალისტური გარემოცვის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი 5 წლის განმავლობაში წარმატებით მიიმართება სოციალისტური მშენებლობის გზით, იგი ამაგრებს და ავითარებს თავის ეკონომიურ ძლიერებას.

„მაგრამ ჩვენმა მშვიდობიანმა მუშაობამ — ამბობს ამხ. უგლანოვი—არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ჩვენ გარს გვარტყიან მტრები, რომლებიც მხოლოდ მარჯვე დროს ელიან, რომ აღგავონ პირისაგან ამ ქვეყნისა მუშურ-გლეხური სახელმწიფო. კაპიტალიზმთან მშრომელთა შეიარაღებული შეტაკება აუცილებელია, ამიტომ ჩვენი ამოცანაა, რომ ძალ-ღონე დავიგროვოთ ამ შეტაკებისათვის. ჩვენი ძალა დღითი-დღე იზრდება და კვლავაც გაიზრდება; დღევანდელი დღე, — საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა ერთობის დღე, — თავდები იქნება იმისა, რომ საჭირო დროს ჩვენი მტრები შესაფერ პასუხს მიიღებენ".

თავისი სიტყვა ამხ. უგლანოვმა დაამთავრა, ხარკოველ სტუმრების მისალმებით რასაც დამსწრენი ერთსულოვანი ტაშით შეეგებნენ.

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ - სამხედრო საბჭოს და მოსკოვის სამხედრო ოლქის სახელით მიტინგს მიესალმენ ამხ. ბარანოვი და კუიბიშევი. შემდეგ უკრაინის მუშათა წარმომადგენლებმა ამხ. დუბნომ და სინიცინმა ხარკოველი მუშების სახელით დროშა და დეკლარაცია გადასცეს მოსკოვის საბჭოს პლენუმს, პროფკავშირების მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს და საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტს. დროშა მიიღო ამხ. უხანოვმა. მანვე გამოაქვეყნა მოსკოვის საბჭოს საპასუხო დეკლარაცია.

დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 150.000 კაცმა. (ადს)

## ხარკოვის მუშების დელეგაცია კონსტიტუციის დღესასწაულზე

**მოსკოვი**, 9 ივლისი. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ხუთი წლის თავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა ხარკოვის მუშათა დელეგაცია. რომელიც 600 კაცისაგან შესდგება.

დელეგაციას შეხვდნენ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების, მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის ქალაქის პროფსაბჭოს, საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და სხვა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სადგურის მახლობლად, მოედანზე გაიმართა მიტინგი. პირველად სიტყვით გამოვიდა მოსკოვის საბჭოს მდივანი ამხ. გორდეევი. მოსკოვის ქალაქის პროფსაბჭოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. დულინმა. დელეგაციის სახელით უკრაინულ ენაზე საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ხარკოვის რკინის გზელმა მუშამ ამხ. ზოლოტარიოვმა. შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ხარკოვის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. სოლოვიოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ დელეგაციის გაგზავნის ინიციატორები არიან ხარკოვის წარმოებები და დაწესებულებები (ადს).

**მოსკოვი**, 9 ივლისი. ხარკოვის მუშათა დელეგაციამ ინახულა წითელი არმიის ცენტრალური სახლი, სადაც გაიმართა მიტინგი. მქუხარე ტაში გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ მიტინგზე იმყოფება საფრანგეთის კომპარტიის ბელადი კაშენი, რომელიც ამას წინად გაათავისუფლეს სატუსაღოდან.

„საფრანგეთის კაპიტალისტურ სატუსაღოდან,—სთქვა კაშენმა,—მე მოვხვდი პირველ თავისუფალ ქვეყანაში, სადაც ბატონობს მუშათა კლასი, რომელიც აშენებს სოციალიზმს".

კაშენი უკრაინის თავისუფალ მუშებს ესალმება საფრანგეთის პროლეტარიატის სახელით.

„საფრანგეთის პროლეტარიატი ქედს იხრის თქვენი მიღწევებისა და გამარჯვების წინაშე, —სთქვა კაშენმა,— და, როცა დრო დადგება. ის საქმით დაამტკიცებს თავის სოლიდარობას თქვენთან. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ უკრაინას და მის პროლეტარიატს"!.

კაშენის უკანასკნელ სიტყვებს ფარავს ორკესტრი და „ურას" ძახილი. (ადს).

## ამერიკელი ჟურნალისტი შახტის პროცესის შესახებ

**დონის როსტოვი**, 9 ივლისი. ჩამოვიდა ამერიკული ლიბერალური გაზეთის „მონიტორ"-ის სპეციალური კორესპონდენტი ვილიამ ჩემბერლენი, რომელიც ბოლომდე დაესწრო შახტის პროცესს. ჩემბერლენმა გადასწყვიტა დაათვალიეროს შახტის ოლქის მთელი რიგი მაღაროები, რომ ადგილობრივ გაეცნოს მემაღაროეთა ცხოვრებას.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ჩემბერლენმა განაცხადა: ამერიკის პრესის მნიშვნელოვანი ნაწილი წინედ სწერდა, რომ შახტის პროცესი აგებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოგონილ ბრალდებებზედ. სასამართლომ ცხადად და გადაჭრით გვიჩვენა, რომ ინჟინერების და ტეხნიკოსების კონტრრევოლიუციონური შეთქმულება ნამდვილად არსებობდა. შეთქმულება მოაწყეს მაღაროების ყოფილმა პატრონებმა, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ უცხოეთის ზოგიერთ ორგანიზაციებთან. განაჩენმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა სასამართლო იქ, სადაც შესაძლებელია, საკმაო ჰუმანიზმს იჩენს.

## მაქსიმ გორკი ხარკოვში

**ხარკოვი**, 9 ივლისი. დაარსდა საზოგადოებრივი კომიტეტი, რომელმაც უნდა მოაწყოს მაქსიმ გორკის შეხვედრა. გორკი ხარკოვში 10 ივლისს მოვა.

**კურსკი**, 9 ივლის. ყირიმში მიმავალი გორკი კურსკში გაჩერდა. განსაკუთრებით დაინტერესდა გორკი გამომგონის უფიმცევის მუშაობით. ამჟამად უფიმცევი მუშაობს საკუთარი კონსტრუქციის ქარით მამოძრავებელის აგებაზე.

გორკი სიტყვით გამოვიდა მრავალრიცხოვან მიტინგზე პროფკავშირთა ბაღში.

**ხარკოვი**, 9 ივლისი. 8 ივლისს ჩამოვიდა გორკი. სადგურზე გორკის მიესალმენ განათლების სახ. კომისარიატის, ფაბრიკებისა და პიონერების წარმომადგენლები. საპასუხო სიტყვაში გორკიმ სთქვა:

„მე ვგრძნობ, რომ ყოველივე ის, რაც კეთდება, მტკიცეა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებები გვაქვს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგან ჩვენ საუკუნოებით გვრყვნიდენ. არ შეიძლება 10 წლის განმავლობაში ადამიანის ანგელოზად გარდაქმნა, ხოლო ქვეყნის კი — სამოთხედ. ჩვენ მუშაობის დროს კიდეც შევცდებით, გულიც მოგვივა და გავაკრიტიკებთ კიდეც. საჭიროა მხოლოდ გვახსოვდეს; რომ ჩვენ დიდ საქმეს ვაკეთებთ".

კვირას გორკიმ შემოიარა ხარკოვი და ყურადღებით დაათვალიერა სახელმწიფო მრეწველობის სახლი, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა (ადს).

# პარტიული ცხოვრება

## აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

### კამათი ამხ. ლაკობას მოხსენების გარშემო

**სოხუმი**, 9 ივლისი. ამხ. ლაკობას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ორატორები მიუთითებდენ სამეურნეო და საბჭოთა მუშაობის დეფექტებზე და იმ გარემოებაზე, რომ მაზრის მუშაკები არ აქცევენ ყურადღებას ცენტრის დირექტივების შესრულებას.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ მუშაობა გზატკეცილებზე შესაფერისად ძლიერ ნელი ტემპით სწარმოებს. მოიჯარადრეები სარემონტო მუშაობისათვის ქირავობენ გლეხებს და ექსპლოატაციას უწევენ მათ. ნავთსადგურის სამმართველომ ნავთსადგურის ასაშენებლად ხე-ტყის მასალა შეუკვეთა აფხაზეთის სატყეო ტრესტს და კერძო პირს. აფხაზეთის სატყეო ტრესტმა მასალა ვერ დაამზადა და რომ კერძო პირი არა, ნავთსადგურის შენება შეჩერდებოდა. ბზიბის ელსადგურის სამუშაოებზე დაიხარჯა დიდ-ძალი ფული, ეხლა დაისვა მისი ნაგებობების კოდორში გადატანის აუცილებლობის საკითხი. კოდორის მაზრაში სკოლების დიდი სიმცირეა, არ არიან მასწავლებლები, ღარიბ გლეხების შვილებს არ აქვთ სკოლაში შესვლის შესაძლებლობა. გამოყენებით ბოტანიკის ინსტიტუტში ადგილი ჰქონდა კანონიერი მოთხოვნილებისათვის მუშების დათხოვნის რამდენიმე შემთხვევას. აფხაზეთის სატყეო ტრესტისა და ფინსახკომის მუშაკებს არ ეძლევათ ზედმეტ საათებში მუშაობის ჯილდო. სამეურნეო დაწესებულებები მოსამსახურეებს ღებულობენ შრომის ბირჟის გარეშე. აფხაზეთის კოოპერატიულმა კავშირმა საკონსერვო ფაბრიკისათვის გერმანიიდან გამოიწერა ახალი მანქანები. ამ მანქანებიდან ზოგიერთი ზედმეტი აღმოჩნდა, ხოლო ზოგიერთი კი გზაში დაიმტვრა.

ამხ. ლაკობას მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმმა აღნიშნა, რომ დიდ მიღწევებთან ერთად აფხაზეთის საბჭოთა მშენებლობის სისტემაში ადგილი აქვს მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებებს, შეცდომებსა და გადამახინჯებებს, რომელთა აღმოსაფხვრელად პლენუმმა დასახა გზები.

### რეზოლიუცია ამხ. ამასის მოხსენების გამო

ამხ. ამასის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„პლენუმი საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმს ავალებს — განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თავის ყოველდღიურ მუშაობაში სამეურნეო მუშაობის ძირითად საკითხებს, ამასთანავე პლენუმს საჭიროდ მიაჩნია სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის საფუძვლიანი შემოწმება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ატარებენ ისინი პარტიულ ხაზს და თავიდან იცილებენ დეფექტებს.

პლენუმს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია თანმიმდევრობითი და მოხერხებულ ეკონომიური ბრძოლის წარმოება კულაკის წინააღმდეგ ყველა დარგში, მისი გავლენის წინააღმდეგ ქვედა საფეხურის საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

პლენუმი მთელი პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პარტიული, კომკავშირისა და პროფესიონალური ორგანიზაციების მასიური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობაზე.

ემყარება რა საქართველოს კომპარტის (ბ) ცაკის პლენუმის გადაწყვეტილებას ავტონომიურ ნაციონალურ რესპუბლიკებში საწარმოო ძალების განვითარების შესახებ და აფასებს რა დიდ მნიშვნელობას აფხაზეთის საწარმოო ძალების განვითარების საქმეში ტყვარჩელის ქვანახშირის, ბზიბის ელსადგურის, შავი ზღვის რკინის გზის და ნავთსადგურის აგებას აფხაზეთში, პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს — განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ყოველდღიურ მუშაობაში იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ ოთხ დიდ წამოწყებასთან".

რეზოლიუციის მიღების შემდეგ პლენუმმა დაამთავრა თავისი მუშაობა (ადს).

## ამხ. ქართველიშვილი ოზურგ. მაზრკომის პლენუმზე

**ოზურგეთი**, 9 ივლისი. გუშინ ამხ. ქართველიშვილის თანდასწრებით გაიხსნა სამაზრო კომიტეტის მესამე პლენუმი. მოსმენილ იქნა პრეზიდიუმის მოხსენება (ადს).

## თვითკრიტიკა თბილისის პარტორგანიზაციაში

(ცკკას მიმართვის დამუშავება)

თბილისის ორგანიზაციამ „ცკკას მიმართვა" დაამუშავა უპარტიოებთან ერთად და დიდის აღფრთოვანებით შეხვდა პარტიის მოწოდებას თვითკრიტიკის შესახებ.

პარტიული მასა უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ბიუროკრატიზმისა, პროტექციონიზმისა და კრიტიკის შიშის საკითხებს. კამათში გამოსულთა სიტყვები ადასტურებს, რომ ჩვენს საწარმოებო-დაწესებულებებში მუშებსა და მოსამსახურეებს ერიდებათ თავისი აზრის გამოთქმა, რადგან პარტიიდან გამორიცხვისა ან სამუშაოდან დათხოვნის შიში ჰქონდათ.

ამხ. ძაძუა (ლუდის სახდელი ქარხნის უჯრედი) აღნიშნავდა: „როდესაც მუშები ადმინისტრაციის წინააღმდეგ გამოდიან, მათ სამუშაოდან ხსნიან". „თვითკრიტიკა ისე არ სწარმოებს, როგორც საჭიროა"—ამბობდა ამხ. ნაზარეტიანი „იუმია"-ს უჯრედიდან. „ზოგი ამხანაგი ჩუმად არის იმის გამო, რომ არ ეწყინოს სათანადო პირს, ზოგიერთ კი მიტომ სდუმს, რომ შეიძლება „მოხვდეს" („ზაკოიუზის" უჯრედი).

ამხ. სირბი (ლიტოგრაფიის უჯრედიდან) სჩიოდა: ზოგჯერ იმ ამხანაგს, რომელიც კრიტიკით გამოდის, ეუბნებიან: „შენ ასე ნუ ლაპარაკობ, თორემ ჩვენ შენს გასაჩუმებლად შესაფერ ადგილს გამოვნახავთო".

„ჩვენს ქარხნებში მუშებს ეშინიათ აღნიშნონ ადმინისტრაციის ნაკლი". „როცა მუშები რამე ლაპარაკობენ ადმინისტრაციის შესახებ, ადმინისტრაცია ამაცდრად უყურებს მათ („ზარია ვოსტოკას" სტამბის უჯრედი).

საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ეს მომენტები ჩვენი შემდეგომი მუშაობის დროს, რათა საბოლოოდ აღმოვფხვრათ ასეთი სულიერი განწყობილება, როგორც „ადმინისტრაციაში, რომელიც „ამაცდრად" უყურებს გამკრიტიკებლებს, ისე მუშების ერთ ნაწილში, რომელსაც თავისი აზრის გამოთქმისა „ეშინია".

პროტექციონიზმის შესახებ მოლაპარაკეებმა სხვადასხვა ფაქტი დაასახელეს საწარმოოს ან დაწესებულების ცხოვრებიდან.

ამხ. ბაბუციძემ (მთავარი სახელოსნოების კოლექტივი) სთქვა: „ჩემთან ერთად მუშაობდა ერთი ამხანაგი, რომელმაც გაფლანგა 420 მანეთი. დასჯის მაგიერ მას უკეთესი ადგილი მისცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, ვინაიდან მას კავშირი აქვს პასუხისმგებელ მუშაკებთან, რომლებმაც ის საქმე მიაფუჩეჩეს".

ამხ. აზრუმელაშვილმა დაასახელა ფაქტი მოძრაობის დარგიდან, სადაც მსახურებდა ვინმე ორჯონიკიძის ქალი (ანტისაბჭოთა ელემენტი). ორჯონიკიძის ქალი სამსახურიდან მოხსნეს, მაგრამ ზოგიერთი პარტიელის დაჟინებით, იგი ისევ აღადგინეს.

ამხ. კამინსკიმ (დეპოს კოლექტივიდან) აღნიშნა, რომ ადმინისტრატორმა თოფჩიშვილმა უმართებულოდ დაითხოვა სამუშაოდან ოთხი თანამშრომელი ქალი, რომლებმაც შემდეგ, სალიკვიდაციო ფულით როიალი იყიდეს და ზედ წააწერეს: „სახსოვრად ძვირფას თოფჩიშვილისაგან".

ამხ. გელაშვილმა (შავი ზღვის რკინის გზის გამგეობისა და ტელეგრაფის უჯრედების გაერთიანებული კრება) აღნიშნა, რომ „დაწინაურებულთა ნახევარი გარშემორტყმულია უცხო ელემენტით.

ეს ელემენტი ჰქმნის საქმის გაჭიანურებას. პატარა დაწინაურებული „მაღალთა" ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან. პროტექციონიზმი განვითარებულია ბევრ ჩვენს დაწესებულებაში".

„ტელეგრაფის სადგურზე—სთქვა ამხ. ოზანეზოვმა,—განვითარებულია პროტექციონიზმი. სამსახურში იღებენ უვარგის მუშაკებს; მაგალითად, პროტექციით მიიღეს სირიატენკოს ქალი, რომელმაც არ იცის მუშაობა. იღებენ ლამაზ ქალებს და „დიდებების" პატრონებს. არის ერთ თანამშრომელი ქალი პილიუგინა, რომელიც „დიდებების", მაგალითად, რამზაძის და სხვათა ფავორიტი, არავის არაფრად აგდებს. მას საერთოდ არაფერი ეშინია, თუმცა მის შესახებ ბევრჯელ მიიწოდეს ცნობა, სადაც ჯერ არის. როდესაც მას ჯეროვანი პასუხი მოსთხოვეს, დახმარებისათვის პოზდეევს მიმართა და მიიღო კიდეც ეს დახმარება".

იმავე კრებაზე ამხ. კალიძემ განაცხადა, რომ მას „აქვს 60-დე საპროტექციო ბარათი აუარებელი უფროსისა, აღარ ვიცი, ვის გავუგონო. ყოველის მხრიდან რეკენ, ერთი მოხსნას მოითხოვს, მეორე—მიღებას. პოლიუგინას ავანსზე, უარი უთხრეს, მაგრამ მან პოზდეევისაგან მოიტანა ქაღალდი ზედწარწერით: „მიეცეს".

„არის შემთხვევები, როდესაც დანაშაულობისათვის ერთი ადგილიდან მოხსნილ მუშაკებს პროტექციით ნიშნავენ სხვა, უფრო პასუხსაგებ თანამდებობაზე" (ალმასკომის უჯრედი).

ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას ეხებოდნენ ყველა უჯრედებში და ამტკიცებდნენ ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატების კონკრეტიულ დეფექტებს. მაგალითად, ბეჟაშვილმა მთავარი სახელოსნოების უჯრედში სთქვა: „ქალაქის აღმასკომში ბევრი ბიუროკრატია, რომლებიც მუშაობის დროს სხედან და კითხულობენ გაზეთებსა, წერილებს. მთხოვნელებს კი პასუხს არ აძლევენ და ყურადღებასაც არ აქცევენ".

ამხ. კამინსკიმ დეპოს უჯრედში აღნიშნა, რომ „ინჟ. ტოლსტონოგოვმა რემონტიდან გამოიტანა რემონტ დაუმთავრებელი ვაგონი და გაიმართა რკინის გზის ხაზზე თავისი ცოლითა და შვილით, რომლებიც ემსახურებოდნენ ვაგონის გამცილებლები. სამსახურო ვაგონებში მუშაობენ არასაბჭოთა ელემენტები".

ტრამვაის კოლექტივში ერთმა ამხანაგმა სთქვა: „დაწინაურებული ამხ. თირამაშვილი სალამს არ აძლევს მუშებს; ასეთი დაწინაურებულები უკან უნდა იქნენ გაწვეულნი".

ამხ. ივანოვი, რკინის გზის უჯრედიდან, აღნიშნავს რკინის გზის ქალაქის აღმასკომში: „ფული რომ მქონდეს შესატანი, რამდენიმეჯერმე უნდა მივიდე. ამასთანავე, მუშების განცხადებებს თავის დროზე არ არჩევენ და საერთოდ უყურადღებოთ ტოვებენ".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითკრიტიკამ პარტიული და უპარტიო მასების დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. თვითკრიტიკას, როგორც მუშაობის გამოსწორების ძველ ბოლშევიკურ მეთოდს, დიდის აღტაცებით შეხვდნენ; იგი გამოყენებულ იქნა ყველგან, სადაც კი ვქონდა დაავადებული ადგილები. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში თვითკრიტიკის ლოზუნგი შეცდომით ესმით. მაგალითად, ამხ. პეტუაშვილმა თამბაქოს ქარხნის „პროლეტარის" უჯრედში კამათის დროს სთქვა: „საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკკას მიმართვა 90 პროცენტით გამოუყენებელია ჩვენი ფაბრიკის პირობებში, ვინაიდან ფაბრიკის დირექტორი დაწინაურებული ამხანაგი არის; ის გამოსადეგია მხოლოდ მაღლამდგომ დაწესებულებებში, სადაც არსებობს ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურებაო".

განა შეიძლება, რომ დაწინაურებული მუშა, თუნდაც საუკეთესო სამეურნეო მუშაკი, უზრუნველყოფილი იყოს შეცდომებისაგან? განა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მომართვა, რომელიც მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს და მუშებს, რომ გამოამჟღავნონ ჩვენი სუსტი მხარეები, [illegible] „ფაბრიკის პირობებში", [illegible] რამე შეცდომებს?

პარტია ფიქრობს, რომ თვითკრიტიკა უნდა გამოყენებულ იქნას ყველგან, რათა მშრომელთა შეერთებული ძალ-ღონით მოწესრიგდეს ჩვენი სოციალისტური მშენებლობა.

ზოგიერთი ორატორი აღნიშნავდა, რომ „ზოგი ამხანაგი თვითკრიტიკას იყენებს პირად ნიადაგზე ანგარიშის გასასწორებლად".

კამათში გამოსულები ასახელებდნენ სხვადასხვა დაწინაურებულებს, რომლებიც „გაბიუროკრატდნენ", და აყენებდნენ საკითხს, რომ ასეთი ამხანაგები ისევ წარმოებაზე გადაწვიათ. ზოგი წინადადებას იძლეოდა, რომ დიდხანს არ გაეჩერებიათ დაწინაურებულნი პასუხსაგებ სამუშაოზე.

პარტიულმა მასამ ყურადღება მიაქცია კომუნისტების ყოფა-ცხოვრების საკითხებს. კრებაზე მოითხოვდნენ, რომ მეტი ყურადღება მიექცეოდა კომუნისტების პირად ცხოვრებას, რათა კომუნისტური ეთიკის დაცვით გზით პარტიის წევრები უზრუნველყოფილ იქნენ წვრილ-ბურჟუაზიული მეშჩანობის გამხრწნელი გავლენისაგან.

ი. რუხაძე.

## ალპანის თემის პარტორგანიზაციაში

(ლეჩხუმი)

პირველ ივლისს შესდგა ალპანის თემის პარტ-ორგანიზაციის გაერთიანებული კრება, ხსენებულ სხდომაზე განხილულ იქნა კომკავშირის თემკომის ანგარიში და სხვა საკითხები. სანამ გარჩეულ საკითხების შინაარს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვით საჭიროა — აღვნიშნოთ შემდეგი: როგორც ემჩნევა კომუჯრედის ბიუროს არ უწარმოებია გეგმიანი მუშაობა, როდესაც კრება იხსნება საკითხებს მხოლოდ მაშინ აგროვებდენ.

კომკავშირის თემკომის საანგარიშო მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციას აქვს სუსტი მხარეები, თავის დროზე არ შემოდის საწევრო გადასახადი, მოიკოჭლებს დისციპლინა, თემკომს სრულიად არ უწარმოებია მოჯამაგირეთა და ღარიბთა შორის მუშაობა. მომხსენებელმა გულახდილად განაცხადა, რომ ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა არამც თუ კომკავშირის ხაზით, პარტიის ხაზითაც მოიკოჭლებს, ღარიბთა ჯგუფი ყოფილა შექმნილი საბჭოსთან, მაგრამ არავითარი მუშაობა არ უწარმოებია.

კომკავშირის ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული მუშაობის ახალი ფორმები, სუსტია წერილობითი და ცოცხალი კავშირი ზემდგომ ორგანოებთან, სამაზრკომიდან გამოგზავნილ დირექტივას თემკომი ღებულობს 5 დღის შემდეგ. მაშინ როდესაც დირექტივის შესრულებას მოითხოვენ 3 დღის ვადაში. ასეთი უბრალო საქმის მოუწესრიგებლობა ძლიერ აფერხებს მუშაობას. კრებამ თემკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და პრაქტიკული ღონისძიებების დასამუშავებლად გამოყო 3 კაცისაგან შემდგარი კომისია.

კრებამ მოისმინა აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ალპანის კოოპერატივში შემოღებულია ე. წ. „დატვირთვის" გაცემის სისტემა. მომხმარებელს საჭირო საქონელი ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ წაიღებს მისთვის სრულიად უსარგებლო საქონელსაც.

ეს საკითხი მართლაც, რომ სერიოზულია. ღარიბ გლეხს არ გააჩნია ტყუილა დასაბანდებელი ფული. უამისოდ კი კოოპერატივი მას საქონელს არ აძლევს. ასეთი მდგომარეობა რასაკვირველია უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში.

კრებამ საჭიროდ სცნო ასეთი სისტემა გაუქმდეს ღარიბი გლეხობისათვის და დარჩეს მხოლოდ შეძლებულ მეპაიეების მიმართ.

პ. ფრუიძე.

## კომკავშირის კონფერენცია

(1 ქართ. დივიზია, ქ. გორი)

ივნისის ბოლო რიცხვებში ჩატარდა დივიზიის ა. ლ. კ. კ. კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 85 დელეგატი. კონფერენციამ განიხილა: საქ. კომ. პარტიის მე-8-ე ყრილობის შედეგები, პოლიტ-განყოფილების მუშაობა, მოხსენება დივიზიის მდგომარეობის შესახებ და სხვა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კომ. კავშირის ცკას წარმომადგენელმა ამხ. ბუჯიაშვილმა. მომხსენებელი ვრცლად შეეხო მერვე ყრილობაზე დამუშავებულ საკითხებს, მან განსაკუთრებით ფართოთ გაშუქა თვითკრიტიკისა და კულტურულ რევოლიუციის საკითხები და სთქვა, რომ თვით კრიტიკა უნდა იქნეს მიმართული ჩვენი ქვეყნის ახალი აღმშენებლობის გაძლიერებისათვის.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. დიდიძე (პოლიტ-განყოფილების ინსტრუქტორი). მესამე საკითხზე—ამხ. ქუთათელაძე.

დასასრულ კონფერენციას მიესალმენ არმიის ინსპექტორი ამხ. სედიაკინი და კავკასიის პირველი დივიზიის წარმომადგენელი, რომლებსაც დელეგატები ტაშის ცემით შეხვდნენ.

ს. გეშა.

# თბილისის საბჭოს სექციებში

## სავაჭრო კოოპერატიულ სექციაში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში ამხ. მ. გავაშელის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის სხდომა, რომელზედაც თბილისის ბაზრებისა და კოოპერატიულ წერტილების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ლასკარმა.

მომხსენებელმა სხდომას გააცნო თბილისის ბაზრების გამოკვლევის მასალები და აღნიშნა, რომ თბილისის ზოგიერთი ბაზრები, როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა, კერძო ვაჭრების ხელშია.

ზოგიერთ ბაზრებში სრულებით არ არის გახსნილი კოოპერატიული სავაჭრო. თბილისის ბაზრებს ბოსტნეულით და ხილით ამარაგებს კოოპერატიული ორგანიზაციები, მაგრამ ასაღებენ არა თვითონ ეს ორგანიზაციები, არამედ კერძო ვაჭრების საშუალებით. გარდა ამისა სხვა ხასიათის ვაჭრობასაც კერძო პირები ეწევიან.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო კოოპერატიულ სავაჭროების რაოდენობას რაიონებში. მისი გამოთქმით, კოოპერატიული ორგანიზაციები, როგორიც არის მუშკოოპი, „ზაკტპო", „ვოენტო" და სხვ. უმთავრესად ქალაქის ცენტრს, ხოლო გარე რაიონები სრულიად უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული.

მომხსენებლის საჭიროდ მიაჩნია როგორც ბაზრების, ისე რაიონების მასიური გამოკვლევის ჩატარება და უფრო საფუძვლიანი მასალების დაგროვების შემდეგ სათანადო ზომების მიღება კერძო პირების განსადევნად.

სხდომამ დაადგინა თბილისის ბაზრების შესასწავლად გამოყოს კომისიები ხუთ-ხუთი წევრის შემადგენლობით. რაიონებში გამოკვლევა ჩატარებული იქნება დანარჩენ სექციების დახმარებით და მას ექნება მასიური ხასიათი.

## საფინანსო - სამრეწველო სექციაში

საფინანსო-სამრეწველო სექციის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება 1926-27 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1926-27 წლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შესრულებულია 100,3 პროცენტით, ე. ი. 0,3 პროცენტის გადამეტებით. ხოლო გასავლის ნაწილი 100 პროცენტით.

სხდომაზე რიგს გარეშე მოხსენებით გამოვიდა ამხ. მესხი, რომელმაც განაცხადა, რომ 9 ივლისს თბილისის საბჭოს დადგენილებით ჩატარდა მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში მცხოვრებ არა მშრომელი ელემენტების ბინების შემჭიდროება.

## მუშ-გლეხინის სექციაში

გუშინ საღამოს, თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში შესდგა თბილისის საბჭოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის სხდომა სექციაზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. კილურაძის მოხსენება აღმასკომის რაციონალიზაციის ბიუროს მუშაობის შესახებ.

რაციონალიზაციის ბიურო თბილისის აღმასკომთან დაარსდა 1925 წელს. პირველ ხანებში ბიურო დაქვემდებარებული იყო საკონტროლო განყოფილებაზე, მაგრამ პრაქტიკიდან გამოირკვა, რომ რაციონალიზაციის ბიუროს არსებობა საკონტროლო განყოფილებასთან მიზანშეწონილი არ არის და 1927 წელში რაციონალიზაციის ბიურო გამოყოფილ იქნა დამოუკიდებელ ორგანიზაციათ. ბიუროს ყოველდღიური დადგენილება უთანხმდება სადირექტივო ორგანოებს და თვით იმ განყოფილებათ, რომლებსაც ეხება ესა თუ ის დადგენილება და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება.

ბიუროს ჰყავს მცირე რიცხოვანი შტატი 4 კაცის შემადგენლობით, რომელთა ხელფასი თვიურათ უდრის 690 მანეთს.

ამჟამად ბიურო უმთავრეს ყურადღებას აქცევს ეგრეთწოდებულ „წვრილ საკითხების" მოგვარებას (როგორც მაგ. საქმის წარმოების გამარტივება და სხვ.) ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ ბიურო შეუდგება უფრო რთულ სტრუქტურულ საკითხების განხილვას.

ბიუროს საანგარიშო პერიოდში ჩაუტარებია მთელი რიგი სარაციონალიზაციო მუშაობა (კომუნალური განყოფილების ბუხჰალტერიის დეცენტრალიზაცია, საორგანიზაციო განყ. ინსტრუქტორების მუშაობის აღრიცხვა, უძრავ ქონებათა სამმართველოს რამოდენიმე განყოფილების გაერთიანება და სხ.). ჩატარებულ მუშაობის შედეგათ საბჭოს მიუღია ეკონომია რამოდენიმე ათასი მანეთის რაოდენობით.

მიმდინარე წლის იანვრამდე რაციონალიზაცია ჩატარდა უმთავრესათ შტატების შემცირების ხარჯზე, რამაც გამოიღო 25.000 მან. ეკონომია. იანვრის შემდეგ მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს არა შტატის შემცირებას, არამედ თვით საქმის რაციონალიზაციას

## კომუნალური სექცია

კომუნალურ სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბირიუკოვის მოხსენება ელექტრო - ნაგებობათა სამმართველოს საქმიანობის შესახებ, მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა სამმართველოს მუშაობა მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში.

ელექტრო - ნაგებობათა სამმართველოს მთავარი დანიშნულებაა ზაჰესის ენერგიის განაწილება ქალაქ თბილისის და მის მიდამოების ფარგლებში. ამასთან ერთად სამმართველო აწარმოებს სამშენებლო მუშაობას ახალი ხაზების გასაყვანად და ძველ აბონენტების ახალი ქსელისათვის შესაერთებლად.

ზაჰესის ამუშავების შემდეგ აბონენტების რიცხვი სწრაფად გაიზარდა და მათი რაოდენობა ამჟამად 22000 აღწევს.

მიმდინარე წლის პირველ 7 თვის განმავლობაში თბილისში დაიხარჯა 8 მილიონამდე კილოუატი საათი ელექტრო ენერგია. მათ შორის: ბინებში — 2.140.000 კილოუატი, დაწესებულებებში — 1.647.000, სავაჭრო წარმოებებში 673.000, ქუჩების განათებაზე — 1.431.000.

ამავე ხნის განმავლობაში თბილისის მრეწველობამ დახარჯა — 3.280.000 კილოუატ საათი ენერგია.

ახლო მომავალში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თითქმის ყველა წარმოებები გადავლენ ზაჰესის ენერგიის მოხმარებაზე.

ზაჰესის ენერგიის მოხმარების შემდგომ ზრდა დამოკიდებულია ელექტრონის ენერგიის ნორმალურ ტარიფის გამომუშავებაზე. ამ მხრივ უკვე არის ნაბიჯი გადადგმული: სამმართველომ შეიმუშავა ტარიფის ძირითადი საფუძვლები და ახლო მომავალში ახალი ტარიფის პროექტი წარედგინება თბილისის საბჭოს დასამტკიცებლად.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სამმართველოს ცალკე განყოფილებების საქმიანობას. საანგარიშო პერიოდში სამმართველოს შემოსავალი უდრის 1.288.000 მანეთს, გასავალი — 1.512.000 მან. სამმართველომ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები შემოსავლის გასადიდებლათ. ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ ამჟამად სამმართველოს ყოველდღიური შემოსავალი 1800 მანეთს შეადგენს. მაშინ, როცა წინეთ მხოლოდ 850 მანეთს უდრიდა.

ბოლოს მომხსენებელმა სექციას გააცნო სამმართველოს მომავალი მუშაობის გეგმა.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ სექციამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც დამაკმაყოფილებლად ჩათვლილია სამმართველოს მუშაობა და გამომუშავდა პრაქტიკული ღონისძიებები მომავალ საქმიანობის გასაფართოებლად.

# საბჭოთა საქართველო

## წერილები

### გაგვიხსენით სკოლა

(წერილი სვანეთიდან)

უკანასკნელ წლებში ზემო-სვანეთში დიდად გაუმჯობესდა სწავლა-განათლების საქმე. თუ კი წინად მასწავლებელს უხდებოდა კარ და კარ სიარული და თხოვნა მუდარით ბავშვების შეგროვება, ეხლა სულ სხვა სურათს ვხედავთ: მშობლებს თვით მოჰყავთ თავისი ბავშვები და ეხვეწებიან, რომ ისინი სკოლის გარეთ არ იქნენ დატოვებული.

ადგილობრივი ხელისუფლებაც მზრუნველობით ეპყრობა სწავლა განათლების საკითხებს, ხსნის მიყრუებულ სოფლებში სკოლებს, მაგრამ სამწუხაროდ ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა შტატის გადიდებას: ზოგიერთ სკოლებში მხოლოდ ერთი მასწავლებელია, რომელსაც 3—4 ჯგუფთან უხდება მეცადინეობა.

სვანეთში არსებობს გლეხთა ახალგაზრდობის ორი სკოლა. ამ სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე კარგად არის დაყენებული, მაგრამ მარტო ორი მასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებებს.

საჭიროა კიდევ ერთი სამეურნეო სკოლის გახსნა. უმჯობესი იქნება სკოლა გაიხსნას ხაიშის რაიონში. რადგან ეს კუთხე მოწყვეტილია სვანეთის დანარჩენ ნაწილებს. აქ სკოლის მუშაობას ხელს შეუწყობს აგრეთვე ის, რომ კლიმატიური პირობები უფრო გამოსადეგია მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის, აქ შეიძლება განვითარდეს მევენახეობა მებაღეობა, მებოსტნეობა, ბამბის კულტურა და სხვა.

ს. ხაიშში შენდება ახალი შენობა 4 წლედისათვის. საჭიროა ამ შენობის ცოტა გადიდება, რომ შიგ ორივე სკოლა თავისუფლად მოეწყოს.

**ხაიშელი.**

### ვებრძვით ლოთობას

(ხაშური)

ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ქალ. ხაშურში კვირა-პარასკეობით აკრძალულ იქნა მაგარი სასმელების გაყიდვა.

ეს დადგენილება გამოწვეულია იმით, რომ წინად სოფლიდან ჩამოსული ღარიბი გლეხები გაჰყიდდენ ჩამოტანილ ნაწარმოებს და იმის მაგივრად, რომ ოჯახისთვის შეეძინათ რაიმე, ფულს სამიკიტნოებში სტოვებდენ. მთვრალი გლეხები ხშირად ღამე მიდიოდნენ სოფლებში, მოსდიოდათ ჩხუბი და სხვა.

გარდა ამისა მუშა მოსამსახურეების დიდი ნაწილი ჯამაგირის აღებისას პირველად სამიკიტნოებში მიეშურებოდა, რომ იქ დაეხარჯა ჯამაგირის 30 პროცენტი მაინც.

ხაშურის ალმასკომის დადგენილება გადატანილ იქნა ქალაქის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. ა.-წ. 30 ივნისს ქალ. საბჭომ მოიწონა ალმასკომის წინადადება და ერთხმად დაადგინა, რომ სასტიკად იქნეს აკრძალული მაგარი სასმელებით ვაჭრობა, როგორც კვირა პარასკეობით, ისე ჯამაგირების დარიგების დღეებში.

**ა. ტ.**

### კედლის გაზეთი „სინათლე“-ს 3 წლ. თავი

(საგარეჯო, თბილისის მაზრა)

სამი წლის წინად 18 ივნისს საგარეჯოში საძირკველი ჩაეყარა გლეხკორთა ორგანიზაციას და გამოვიდა კედლის გაზეთ „სინათლის“ პირველი ნომერი. დიდი შრომა იყო საჭირო, რომ ეს გაზეთი სისტემატიურად გამოცემულიყო, მაგრამ სარედაქციო კოლეგიამ ყოველი დაბრკოლება გადალახა და დღევანდლამდე მოიყვანა გაზეთის გამოცემა. „სინათლე“ ყოველკვირეული ორგანოა. მასში საკმაოდ შუქდება სოფლის ჭირ-ვარამი.

პირველად გაზეთში, მხოლოდ ორიოდე გლეხკორი თანამშრომლობდა, ეხლა კი მის ვარშემო დარაზმულია 80-მდე კორესპონდენტი. „სინათლემ“ თავისი ნაყოფიერი მუშაობით უდიდესი ნდობა დაიმსახურა გლეხობაში. კედლის გაზეთს „სინათლეს“ ფორმატი, და მხატვრული მხარე დამაკმაყოფილებელია. გაზეთს ამჟამად აქვს შემდეგი განყოფილებები: სოფლის ყოფა-ცხოვრება, პოლიტ-განათლება, პარტიული ცხოვრება, კომკავშირი და „ხუმარა“. ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამეურნეო განყოფილებას

გაზეთი იმდენად პოპულიარულია, რომ მის წასაკითხად კვირაობით იმართება გლეხების გრძელი რიგი. 18 ივნისს—„სინათლის“ 3 წლის თავის აღსანიშნავად საგარეჯოს სახალხო თეატრში მოეწყობა საღამო და კედლის გაზეთების გამოფენა. ამ დღესვე ჩატარდება გლეხკორების მორიგი ყრილობა.

**გარსიაშვილი.**

### ელ სადგური ფუჭდება

(ს. ყვარელი, თელავის მაზრა)

1923 წელს აქ საძირკველი ჩაეყარა ჰიდროელექტრო სადგურს. სადგური ააშენეს მდინარე დურუჯზე, რომელიც თავის სიგიჟით განთქმულია მთელ კახეთში.

სამწუხაროდ ერთი წელიც არ უმუშავია ჩვენს სადგურს, იგი გაჩერდა. ამჟამად სადგურს ერთი ტურბინი აკლია, რომელიც ალბად არც ისე ძვირი დაჯდება, მაგრამ მის შეძენაზე არავინ ფიქრობს.

დღესასწაულის დროს ელსადგურში ტრაქტორისტი მუშაობს. ამ უკანასკნელს ელექტრო - სადგურის არაფერი ესმის და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მთლად გადასწვას ყველაფერი.

მთელი მოწყობილობა უპატრონოთ არის მიტოვებული, გამვლელ-გამომვლელები იპარავენ მანქანების ნაწილებს, თემ-ალმასკომს კი აზრადაც არ მოსდის დაიცვას ხალხის ქონება.

**კიპწი.**

### დავიცვათ ნორჩი ტყე

(ყაზბეგი)

შარშან ს. ყაზბეგის ახლო მინდორზე დაითესა ტყე. პირველად ეს ადგილი შემოღობილი იყო, მაგრამ ადგილობრივი ალმასკომისა და მოსახლეობის უყურადღებობის წყალობით პირუტყვებმა მაინც დაიწყო შიგ სიარული. ნორჩი ტყე განადგურდა.

წელს მაზრის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით ისევ დარგულ იქნა რამდენიმე ასეული ხე. მაგრამ თუ მალე არ შემოიღობა ეს ადგილი საქონელი ამ ტყესაც გაანადგურებს.

**ელგუჯა.**

### პროვინციის ქრონიკა

— **უმიწაწყლო გლეხებმა** სოფ. საქობოში (სიღნაღის მაზრა) დააარსეს კოლექტივი, რომელსაც გადაეცა მიწები სახელმწიფო ფონდიდან.

— **საყინულე ქარხანა.** ფოთის ალმასკომმა მოაწყო ყინულის დასამზადებელი ქარხანა.

— **აბანო.** ზუგდიდში დამთავრდა აბანოს მოწყობა.

— **ინვალიდთა კლუბი.** ახალციხეში გაიხსნა ინვალიდთა კლუბი.

— **ხილის სახმობი ქარხანა.** ახალქალაქში ამუშავდა ხილის სახმობი ქარხანა.

— **ახალი საავადმყოფო.** ჟინვალში (დუშეთის მაზრ.) შენდება ახალი საავადმყოფო.

— **ბარიტის წისქვილი.** ქუთაისში დამთავრდა ბარიტის ახალი წისქვილის მოწყობა.

— **ლიმონის და ფორთოხლის მოსაშენებლად** სოფ. ქარიატში (ზუგდიდის მაზრა) დაარსდა ახალი კოლექტივი. კოლექტივს აქვს 30 ქცევა მიწა.

— **საექიმო რაზმი.** დუშეთის მაზრაში ამჟამად მუშაობს ქალის სნეულებათა წინააღმდეგ მებრძოლი საექიმო რაზმი. რომელიც ღარიბებს მცხოვრებლებს უფასო საექიმო დახმარებას უწევს.

— **ჯიშიან ღორების მოსაშენებლად.** ზუგდიდში დაარსდა სპეციალური სადგური.

# ა.-კ. ცაკში

### ამხ. გენკინის განთავისუფლება

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით. ამხ. გენკინი პარტიულ სამუშაოზე გაწვევის გამო განთავისუფლებულია ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილის მოვალეობისაგან.

### გაზეთების გამომცემლობათა საოპერაციო წელი

ა.-კ. ცაკის დადგენილებით გაზეთების გამომცემლობათა საოპერაციო წელი ამიერ-კავკასიაში დაიწყება 1 იანვარს და დამთავრდება 31 დეკემბერს.

### პენსიის გადიდება

საკავშირო ცაკის მიერ 1927 წლის ოქტომბერში გამოშვებულ მანიფესტის თანახმად გადიდებული უნდა იქნეს პენსიონერებზე გასაცემი წლიური თანხა.

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმ. კომიტეტებს პენსიების გადიდების დროს პირველ რიგში და უმთავრესი ყურადღება მიაქციონ სამოქალაქო ომის ინვალიდებს.

### საიჯარო გადასახადი

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს გადასინჯონ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის იჯარით გასაცემ შენობების და მიწის ნაკვეთების საიჯარო ტარიფი—მისი მაქსიმალურად შემცირების მიზნით.

ახალი ნიხრი შემოღებული უნდა იქნეს არა უგვიანეს ა.-წ. 1-ლ ოქტომბრისა.

# საქ. სახკომსაბჭოში

### სამხრეთ - ოსეთის სახ. მეურნეობის გადაყვანა სახ. ბიუჯეტზე

სამხრეთ-ოსეთის ცაკ-ის შუამდგომლობის თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაყვანა სახელმწიფო ბიუჯეტზე 1928/29 წლიდან, რისთვისაც საქართველოს ს. მ. უ. ს. საკონტროლო ციფრები გადიდებული უნდა იქნეს 12.000 მან. რაოდენობით. ეს დადგენილება უნდა დაამტკიცოს ა/კ. სახკომსაბჭომ.

### ქ. დუშეთის ბიუჯეტის გადიდება

ფინსახკომის მოხსენების თანახმად ქ. დუშეთის დამატებითი ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 8.500 მან. რაოდენობით.

### ამხ. მაღრაძის დანიშვნა

ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს უფროსად დაინიშნა ამხ. ე. მაღრაძე.

### სოფლის ღარიბი მოსახლეობის ფონდი

სახკომსაბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარისტანის სახკომსაბჭოს, სამხრეთ-ოსეთის ცაკ-ს და ყველა სამაზრო ალმასკომს სოფლის ღარიბი მოსახლეობის ფონდის გაძლიერება გაითვალისწინონ მომავალი 1928/29 წ. ბიუჯეტით.

### სამხრეთ-ოსეთის მთავარი სასამართლო

სახკომსაბჭომ მოიწონა პროექტი დადგენილებისა სამხრეთ-ოსეთის მთავარი სასამართლოს დებულების შესახებ

პროექტი დასამტკიცებლად გადაეცა ს. ს. ცაკ-ს.

# მუშათა ცხოვრება

### რა უშლის ხელს თვითღირებულების გაიაფებას

(მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა)

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის ინჟენერ ავალიანის და ზოგი ჩვენი ამხანაგების აზრით, ჩვენი ქარხნის მდგომარეობა უიმედოა, რადგან ქარხანა თითო სკამს ჰყიდის 6 მან. იმ დროს, როდესაც 7 მან. და 80 კაპ. უჯდება. სპეცების აზრით ამაზე ნაკლებად ქარხანა სკამებს ვერ დაამზადებს. მაგრამ თუ გადავავლებთ თვალს ქარხნის საქმიანობას 1927 წლის მარტიდან საბიუჯეტო წლამდე, ვნახავთ, რომ ასეთი შეხედულება ქარხნის ნაწარმოებზე, არ არის სწორი:

თვითღირებულება თანდათანობით იაფდება და შემდეგში უფრო გაიაფდება თუ სატყეო ტრესტი აჭარაში გაუწევს საწარმოო თათბირების დადგენილებებს და ქარხანას დროზე მიაწოდებს საჭირო ხელსაწყო იარაღებს.

გარდა ამისა თვითღირებულების სიძვირე გამოწვეული იყო იმით, რომ ქარხანა დაუმთავრებელი იქნა გაშვებული მუშაობაში. თვითღირებულების გაიაფებას, ხელს უშლიდა აგრეთვე მასალის მოუწესრიგებლობა: ქარხანას სჭირდება წიფლის მორები სკამისათვის. ამის მოწოდება კი ტრესტმა ვერ შესძლო, რის გამო თვეში 10—15 დღე ქარხნებში შეწყვეტილი იყო მუშაობა. 350 კაცი კი ხელფასს ღებულობდა.

ეს რასაკვირველია სკამის თვით-ღირებულებას აძვირებდა.

ეხლა ეს ნაკლი ნაწილობრივ მოგვარებულია. დღემდე ქარხნის ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული. ჩატარდა მარტო საწყობის ინვენტარიზაცია, სადაც აღმოჩნდა, 24,000 მ. საქონლის ნაკლებობა და 35,000 მან. მეტი საქონელი სრულებით ჩაუწერელი. ქარხნის შტატი 400 კაცს აღემატებოდა. ეხლა არის 328 კაცი. საჭიროა კიდევ შემცირება მუშა-მოსამსახურეების და ნამდვილი მშრომელი და დაწინაურებული კადრის შექმნა.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ტრესტი ადგილობრივ მუშაკების მითითებებს არ აქცევს ყურადღებას. გამოიგონებენ რაიმეს ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები, რომელსაც სექსპერტო კომისია ამტკიცებს და რომელსაც წელიწადში 14—15 ათასი მანეთის ეკონომია მოაქვს. ეს გამოგონება პრაქტიკულად ხორციელდება ადგილებზე, მაგრამ შემდეგ იკარგება გადასაკეთებელი დაზგები. ასეთი ბედი ეწია დაზგის მუშების ამხ. ქ. ცინცაძის და ტაგანაშვილის გამოგონებებს. არ შეიძლება ასეთი დიდი საქმის ასე უყურადღებოთ მიტოვება.

ასეთია მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის მდგომარეობა; მოაგვარეთ ნედლი მასალის მოწოდების საქმე, თავის დროზე მოაწოდეთ ქარხნის დამხმარე მასალა, შეაკეთეთ სახარშაო, სახმობი და საწყობი, მისწოდეთ მუშებს თავის დროზე ჯამაგირი, გასწმინდეთ ბიუროკრატიული ცრუ სპეცებისაგან და ქარხანა თავის ნაწარმოების თვით-ღირებულებას საგრძნობლად გააიაფებს.

**ჟ. ბარამიძე.**

### ზარმაცების კურსები

(წერილი ქუთაისიდან)

მოძრაობის დარგის პირველ განყოფილების კანტორის მოხელე თედო გძელიძე, ცნობილი ამით და თანამდებობისთვის შეუფერებელი პიროვნებაა. მის შესახებ იყო აღძრული შუამდგომლობა ადმინისტრაციის წინაშე, რათა გძელიძე მოეხსნათ სამსახურიდან, მაგრამ ადმინისტრაციამ სხვანაირად შეაფასა კაცი მან კანტორის მოხელე ალ. ქათამაძე გადაიყვანა სად. ჭალადიდში სადგურის უფროსის თანაშემწედ მასცეს გადასაყვანი ფულიც, მაგრამ მას შემდეგ უკვე თვე შესრულდა და ქათამაძე კი ისევ ქუთაისშია. მიზეზი აღმოჩნდა ის, რომ თედო გძელიძე როგორც უვარგისი და უცოდინარი, უნდა მოემზადებინა კანტორის მოხელეთ.

ამრიგად ადმინისტრაციამ სრულიად უნაყოფოდ გადაყარა გადასაყვანი ფული და ვერც გძელიძე მოამზადა კანტორის მოხელეთ; გადაყვანილი კაცი მთელი თვე ტყუილა ღებულობს ხელფასს, მის მაგიერ კი მუშაობს ვინმე კურსანტი. რომელიც ოთახის ფულის გარდა, მივლინების ჯილდოსაც ღებულობს მოქ. თ. გძელიძეც თავისუფლად დასეირნობს და ღებულობს ჯამაგირს.

დროა ასეთ გულუხვობას ბოლო მოეღოს.

**ეკ—დი.**

### ვიწვევთ სხვებსაც

მე-5-ე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა მუშკოოპის გამგეობის წარმომადგენლის ამხ. სეხნიაშვილის მოხსენება კოოპერაციის საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო კრებას კოოპერაციის დღის მნიშვნელობა და აღნიშნა საბჭოთა კავშირის და კერძოთ საქართველოს მთელი რიგი მიღწევები.

მომხსენებლის სიტყვით კოოპერაციის წევრთა რიცხვი და მისი საბრუნავი თანხა თანდათან იზრდება. მაგრამ კოოპერაცია ვერ შეჰხერხება ამაზე. საჭიროა როგორც წევრთა რიცხვის, ისე საბრუნავი თანხის უფრო სწრაფი ზრდა. ამ მიზნით კოოპერაციის რწმუნებულთა მე-13-ე ყრილობამ დაადგინა ჩატარდეს კამპანია წევრთა შორის გამოძახების. საპაიო თანხებისა გადიდების და ანაბარების კოოპერატიულ ბანკში შეტანის შესახებ. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებით კოოპერაცია გააფართოებს მუშა-მოსამსახურეების გრძელ-ვადიან სესხს გაცემას და გააუმჯობესებს კოოპერაციის მდგომარეობასაც.

მოხსენების შემდეგ კოოპერატივის წევრებმა მომხსენებელს მისცეს ფრიად საყურადღებო შეკითხვები, რაზედაც ამხ. სეხნიაშვილმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მუშებმა აღნიშნავდნენ კოოპერაციის მიღწევებს და ამავე დროს მუშკოოპის გამგეობას მიუთითებდნენ ზოგიერთ ნაკლზე.

კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლის ძალით, რადგან 253 მუშა-მოსამსახურედან კოოპერატივის წევრებათ ითვლება მხოლოდ 137 კაცი, პირველ აგვისტომდე ყველა მუშა. მოსამსახურე ჩარიცხული უნდა იქნეს კოოპერატ. წევრებად და გადახდილი უნდა იქნეს 15 მ. პაი. 1-ლ იანვრისათვის კი საპაიო ანარიცხები უნდა ავიდეს ოც მანეთამდე. გარდა ამისა კრებამ დაადგინა ყველა თავისუფალი თანხები შეტანილი იქნეს კოოპერატიულ ბანკში.

დასასრულ კრებამ გადასწყვიტა გამოიწვიოს პოლიგრაფტრესტის ყველა სტამბის მუშა-მოსამსახურეები.

**დამსწრე ასოთ-ამწყობი.**

### უთავბოლო ხარჯები

(ქუთაისი)

ჯერ კიდევ 1926 წელს დაიწყო ქუთაისის რკინის გზის დეპოში მაზუთის საქაჩავ ბუტკის აგება. შენობა ამოიყვანეს ერთ არშინზე და მიატოვეს. შეიქნა კომისიების სირბილი, პროტოკოლების ტრიალი და ჩოჩქოლი.

ყოველი კომისია თითო ქვას ამატებდა. თუ რამე კარგად გაკეთდა, სწორედ ამ კომისიების „ქველ-მოქმედების“ წყალობით, როგორც იქნა შენობა ძლივს ავიდა 6 ნახ. არშ. სალიანდაგო დარგის მესამე უბნის უფროსმა მოიწვია თავისი მეგობარი მოიჯარადრეებ და საგანგებოდ შეუკვეთა მაზუთის ქვაბი. მოთავდა საქმე. ქვაბი აიტანეს კიდეც, მაგრამ დახეთ უბედურობას, ქვაბი პატარა გამოდგა, ხაშურიდან მოიტანეს მეორე ქვაბი და გადასწყვიტეს რათა ორივე მაგისათვის ყოფილიყო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ქვაბები უვარგისი გამოდგა, ამიტომ ჩამოიღეს და მიწ დორში დაყარეს უპატრონოდ.

ამგვარად ქვაბებში მიცემული 600—700 მანეთი, უნაყოფოდ დაიკარგა.

დაშალეს საქაჩი მილები, გაამზადეს ახალზე, მაგრამ აქაც უბედურობა; მაზუთის მისაღებად ორთქლმავალი ვერ მიდგა, შენობა დაბალი აღმოჩნდა, საჭირო შეიქნა ქვაბის ხელმეორედ აღება და ერთი არშინის სიმაღლის მომატება.

გაამზადეს აგრეთვე ხე-ტყის მასალა ქვაბის, კედლების შემოსაკრავად. მაგრამ შესაძენი კრედიტი აღარ იყო. მერე, რამოდენიმე კომისიამ, უარყო ხის კედლები და დამზადებული მასალა გააფუჭა. ამანაც საგრძნობი ზარალი მიაყენა რკინის გზას.

ამგვარად ხსენებულმა ბუტკა, რომელმაც მოიწვია ამდენი უთავბოლო ხარჯები. დღესაც მოთავებულია. თუ პროფკავშირმა არ მიიღო ზომები და არ მოსთხოვა პასუხი დაუდევარ ტეხნიკოსებს, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის მის დამთავრებამდე.

**ეკალვარდი.**

### კულტგასართობი თუ ტყავგასაძრობი

თბილისის მუშა-მოსამსახურეები შრომის შემდეგ კლუბებისაკენ მიეშურება კულტურულ საზრდოს მისაღებად. ამ მხრივ ჩვენმა კულტ-დაწესებულებებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ და სათანადო მიღწევებიც აქვთ. რკინის გზელების, საბჭოთა მუშაკების და ც. მ. კლუბები ამის საუკეთესო მაგალითს იძლევიან. ამასთან ერთად აქვს ადგილი დიდი სამახინჯესაც, რასაც სათანადო ორგანოებმა უნდა მიაქციონ ყურადღება.

ჯერ იყო და შარშან, თუ რამე უარყოფითი მოვლენას ჰქონდა ადგილი თბილისში ეს ხდებოდა ბაღ „არტოში“ (დებოში, დაჭრა, აზარტული სათამაშოები და სხვა.) რამდენი ოჯახი ატირებულა ამ ბაღით. წელს ბაღი აიღო მიწად-მოქმედების კომისარიატის რომელიღაც განყოფილებამ და მიჰყო ხელი მის გამშვენებას და გაკეთებას. სახელიც შეუცვალეს, „ეოკე—კლუბი“ უწოდეს. ერთი შეხედვით გეგონებათ აქ სულ სხვა სული დატრიალდება. ეგონა ახვედრებულა აქ ნამდვილი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და მით უმეტეს გაფართოების შემდეგ მშრომელთ მიეცემა საშუალება ბაღში დასვენებისა, მაგრამ არავითარ ცვლილებას, გარდა სახელწოდების შეცვლისა და შესავალ კედლებზედ ცხენების ჯირითის სხვადასხვა მომენტების დახატვისა. ადგილი არა აქვს.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 60 კ. თუ გსურთ უყუროთ კონცერტს ან იუმორისტულ გასართობებს, ამისათვის. ცალკე უნდა გადაიხადოთ 50 კაპ. ბაღი მართლაც რომ მშვენიერია, წელს ბაღის ახლად შემოერთებულა ბაღის ნაწილი, მშვენიერად მორთულია, ეს ერთი შეხედვით, მაგრამ შინაარსი? შინაარსი იგივეა, რაც ცნობილ „არტომ“ დასტოვა. შესვლითანავე გესმით ლოტოს ნომრების მაძახებლის ნერვიული ღრიალი, ხედავთ კარტებში გაფაციცებულ მაცქერალ მოთამაშეებს. პეტიშო“-ს შემოხვევია ხალხი და ხარბად მისცქერიან, თუ (სად გაჩერდება ფერადი ცხენები. შემდეგ ყოველ კუთხეში ლატარიები, ყოველგან ფულის მანქანები, ისე, რომ შიგ შესული უცოდველი კაცი, იქიდან აუცილებლად ცოდვილიანი გამოვა, რაგინდ თავდაჭერილი არ იყოს იგი. მოდი და ნუ იფიქრებს კაცი თამაშს. 60 მან. მოგებით, ვის არ უნდა ეხლა 60 მან. ვინ იტყვის მასზედ უარს.

ეს მგონი საკმარისია, დანარჩენზე დაინტერესებულმა დაწესებულებებმა ილაპარაკონ. კლუბი უნდა ემსახურებოდეს მშრომელთა მასას და არ უნდა წარმოადგენდეს ტყავის გამძრობ ბურჟუაზიულ სააზარტო გასართობს.

**ს. ლომერსონი.**

### მუშკორთა წერილებიდან

**მოგვეცით მუშა - ვაგონი.** წინად ტრამვაის მუშებისათვის დილით უშვებდნენ სპეციალურ ვაგონებს. დღეს კი ეს ვაგონები აღარ არსებობს. მის მაგიერ დირექციამ გამოუშვა რამოდენიმე ვაგონი ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშების გადასაზიდათ, რაც ვერ აკმაყოფილებს მუშების რიცხვს. ტრამვაის დირექციამ, დაუნიშნოს ტრამვაის მუშებს სპეციალური ვაგონი.

**ტრამვაელი დურგალი.**

**გაგვიხსენით კოოპერატივი.** ჭავჭავაძისა და [illegible] მახლობელ ქუჩებში არც ერთი კოოპერატიული სავაჭრო არ არის. მუშკოოპმა, გახსნა ამ რაიონში ერთი კოოპერატივი.

**ობოლი ვალიკო.**

**სამსახურში არშიყობს.** შრომის ბირჟის მეოთხე სექციის რეგისტრატორი ქალი ოლია ხოტაევი მთელ სამსახურის დროს ანდომებს არშიყობას და ჩურჩულ-კურკურს. მიუვა თუ არა რომელიმე ნაცნობი, ხოტაევი ქალი გამოჰყრის გარეთ უმუშევარ ახალგაზრდებს და მთელი საათი განმავლობაში აქვს კერძო ხასიათის საუბარი.

**ერთი უმუშევარი.**

**კოოპერატივი გაფლანგეს.** თბ. მე-104-ე შრომის სკოლის მოწაფეებმა საკუთარი საშუალებებით გახსნეს წიგნების პატარა კოოპერატივი, რომელსაც უკანასკნელ ხანებში განაგებდა ვინმე ქ. ბეგიაშვილი. ამ ბეგიაშვილმა აღნიშნული კოოპერატივი ისე განადგურა, რომ მისი კვალიც აღარ დასტოვა. სკოლის გამგე უნდა მოსთხოვოს მოქ. ბეგიაშვილს პასუხი.

**გ. ფილიშვილი.**

**პროფსკოლის გამოშვება.** 3 ივლისს მაუდის ქარხნის ადგილკომა მოაწყო პროფსკოლის გამოშვება. გამოშვებული იქნა სულ 14 კაცი. გამოცდებიდან აღმოჩნდა, რომ სკოლის მოწაფეებს, გავლილი საგნებიდან 100 პროც. შეთვისებული აქვთ.

**ალ. თხინვალელი.**

# რადიოლოგთა და რენტგენოლოგთა საერთაშორისო კონგრესი

### (საუბარი პროფ. გ. ლამბარაშვილთან)

23 ივლისს სტოკჰოლმში გაიხსნება რადიოლოგთა და რენტგენოლოგთა მე-2 საერთაშორისო კონგრესი.

ამ კონგრესზე საბჭოთა კავშირიდან იგზავნება 4 წარმომადგენელი—აკადემიკოსი იოფე (მოსკოვი) პროფ. ნემიონოვი (ლენინგრადი), ექ. ხარზარდარიანი (ხარკოვი) და პროფ. გ. ლამბარაშვილი (თბილისი).

პროფ. ლამბარაშვილი მიწვეულია როგორც კონგრესის წევრი და ამავე დროს როგორც თავმჯდომარე კონგრესთან არსებულ იმ სექციისა, რომელიც იკვლევს რადიუმით და რენტგენის სხივებით ხორცმეტების მკურნალობის საკითხს.

კონგრესთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში პროფ. გ. ლამბარაშვილმა შემდეგი განაცხადა:

რადიოლოგთა და რენტგელოგთა მე-2 საერთაშორისო კონგრესის დღის წესრიგში დასმულ საკითხებს შორის საინტერესოა ხორცმეტის და კიბოს წამლობის საკითხი და საერთოდ ყველა სნეულებების შესახებ დიაგნოზის დასმა რენტგენის სხივების საშუალებით.

ამ კონგრესზე მე წავიკითხავ სპეციალურ მოხსენებას საშვილოსნოს კიბოს მკურნალობის შესახებ.

ჩემ მოხსენებაში მე დავიცავ იმ აზრს, რომ საშვილოსნოს კიბოთი დაავადებულს უნდა გაუკეთდეს რადიკალური ოპერაცია და დამატებით გაეწიოს მკურნალობა რენტგენის და რადიუმის საშუალებით, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დაგვიანების გამო რადიკალური ოპერაცია შეუძლებელია, კიბოს მკურნალობა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ რადიუმის და რენტგენის სხივების საშუალებით.

ჩემს პრაქტიკაში ამ უკანასკნელი მეთოდით მე მივაღწიე სასურველ შედეგებს. 1914 წლიდან, როცა მოსკოვში პირველმა მე დავიწყე კიბოს მკურნალობა რადიუმის საშუალებით, დღემდე ვუწამლე 600-ზე მეტ ავადმყოფს, რომელთაც საშვილოსნო დაავადებული ქონდათ კიბოთი და არც ოპერაცია შეიძლებოდა.

რადიუმი აგრეთვე განსაკუთრებულ შედეგებს იძლევა კანის კიბოთი დაავადებულთა მკურნალობაში.

ჩემს პრაქტიკაში იმ ავადმყოფთა 90 პროცენტი, რომელთაც ქონდათ კანის კიბო, სავსებით განიკურნენ რადიუმის საშუალებით.

კონგრესი განიხილავს აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოების უმაღლეს სასწავლებლებში რადიოლოგიის და რენტგენოლოგიის, მის სავალდებულო სწავლების შემოღების საკითხს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლებში უკვე დაარსებულია რადიოლოგიის და რენტგენოლოგიის კათედრები.

# ახალი მუშაკები მუშურ-გლეხურ მილიციას

— წესრიგისა და მოქალაქის უფლებათა დამცველმა ორგანომ, როგორიცაა მილიცია, ზედმიწევნით უნდა იცოდეს თუ როგორ წესრიგზეა ლაპარაკი და რა უფლებებით სარგებლობს ესა თუ ის მოქალაქე. სახელმწიფოებრივი ქონების დამცველს კარგათ უნდა ჰქონდეს შეგნებული თუ ვის საკეთილდღეოდ დგას ის სადარაჯოზე. კონტრაბანდის და ბანდიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი შესაფერისად უნდა იცნობდეს ბრძოლის ყველა საშუალებებს, დაბოლოს ომის დროს ფრონტის შიგნით მყოფ ძალების ხელმძღვანელმა, როგორიცაა მილიცია, აუცილებლად უნდა იცოდეს მშვიდობიანობის მდგომარეობიდან სრულ სამხედრო მდგომარეობაში გადასვლის ყველა გზები და საშუალებანი. ამისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ეს ყველაფერი მხედველობაში და გახსნა რესპუბლიკის მილიციის უფროსთა შემადგენლობის სკოლა, რომლის მიზანია კვალიფიციურ მუშაკთა მომზადება მუშურ-გლეხური მილიციისათვის.

სკოლა არსებობს 1925 წლიდან და ამ ხნის განმავლობაში მან იგივე ცვლილებები განიცადა, რაც საერთო პარტიულმა და უმაღლეს პარტიულმა სასწავლებლებმა. პირველად ის იყო სამთვიანი კურსი. შემდეგ რვათვიანი და ეხლა კი ორწლიანი, რომლის პირველი გამოშვებაც დანიშნულია დღეს, 10 ივლისს. უკანასკნელი წლის განმავლობაში სკოლამ დასძლია თითქმის ყველა სიძნელენი, როგორც ორგანიზაციული, ისე სწავლების დაყენების საქმეში და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ორწლიანი კურსის პირველი გამოშვება გაამართლებს ხელისუფლების იმედებს. კურსანტების ენერგიული მუშაობა განსაკუთრებით უკანასკნელი წლის განმავლობაში და გამოცდების შედეგები საკმაო საფუძველს იძლევა ამისათვის.

**ი. ტაბიძე.**

# კულაკები სოფლად და ჩვენი ამოცანები

ამას წინად ერთ კვირა დღეს დავათვალიერეთ ჩვეულებრივ ქალაქის ბაზარი, გვინდოდა გაგვეგო, თუ რა სახის სურსათია სოფლიდან შემოსული გასასყიდათ.

ბაზარზე ემჩნევა დიდი სისაწყლე,—არის მხოლოდ ხორბალი, ქერი, სიმინდი, ქერ-ჭრელი, აგრეთვე წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელიც მხოლოდ მცირე რაოდენობით. პურეულობა და სიმინდი სულ იქნებოდა ფქვილადაც და ხორბლადაც ათასი ან ათას ასი ფუთის რაოდენობით. ღირებულება: პურის ხორბალი— 5 მან. და 80 კაპ. , ფ., ქერი—4 მან., ფ., სიმინდი—3 მან. და 70 კაპ., ქერ-ჭრელი კი—4 მან. და 50 კაპ.

ვინ არის მყიდველი და გამყიდველი?

პურით გატენილი ოთხ-ხუთი ფარდაგის ტომარა გასუქებულ მუშა-საქონელით ჩამოუტანია კულაკს გასასყიდათ. წურბელას უხარია ასეთი დიდი ფასები, როგორც მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელი, იგი ერთი წუთითაც არ ფიქრობს, რასაკვირველია, რომ მის მეზობელ ღარიბ გლეხს თავის წვრილშვილის საკვები შემოაკლდა და იძულებულია მუშა-საქონელიც კი გაჰყიდოს, რომ ახალ მოსავლამდის თავი გაიტანოს, კულაკი პირიქით, ცდილობს სულ მუქთად ჩაიგდოს ხელში მისი საქონელი და თუ მოახერხა სულიც ჩაიგდოს ხელში, მონათ გაიხადოს ერთი წლით მაინც მეზობელი ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხი.

ეს გარემოება ერთხელ კიდევ ნათელს ჰყოფს აუცილებელ და მტკიცე კავშირის საჭიროებას: მოჯამაგირის, ღარიბ და საშუალო გლეხობის, რომ გაერთიანებულ ფრონტით ებრძოლონ მათ კლასიურ მტერს — სოფლის წურბელას.

როგორ შეიძლება ვებრძოლოთ კულაკს და რანაირ ფორმებით?

1) უნდა გავხდეთ ყველა კოოპერატივის წევრი;

2) უნდა გავაერთიანოთ ღარიბი და საშუალო გლეხი მსხვილ კოლექტივებში;

3) ჩამოვაყალიბოთ სერიოზული და მაგარი სასოფლო-სამანქანო ამხანაგობები, სადაც არ უნდა მივიკაროთ კულაკი;

4) შევქმნათ წვრილფეხა და მსხვილფეხა მესაქონლეობათა ამხანაგობები; გამოვიყენოთ ჩვენი რევოლიუციონური კანონი და კულაკის არც ერთი ფეხის - დადგმა მამული არ დავტოვით დაუბეგრავი.

კულაკი ტყვილა კი არ იბრძვის ზემოთ დასახელებულ ახალ ცხოვრების ფორმების საწინააღმდეგოდ. კულაკმა და მევახშემ უფრო კარგა შეიგნო, რომ მისი ბატონობის მომსპობი არის მხოლოდ აღნიშნული ფორმები მომავალი ახალი ცხოვრების გარდაქმნისა, ამიტომ ღარიბმა და საშუალო გლეხობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაინდონ სოფლის წურბელა, კულაკი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამოუცხადონ მას. ერთი წუთითაც არ უნდა გაუშვათ სოფლის კულაკის საშიშროება მხედველობიდან. ვამუშაოთ გზებზედ, ვისარგებლოთ თვითდაბეგვრის კანონით, არავითარ შემთხვევაში ჩვენი სახელმწიფო დოვლათით არ გავამაგროთ ის, არ ვასესხოთ არასფერი ჩვენი საკრედიტო ამხანაგობიდან, რითაც ხშირად სარგებლობს კულაკი.

ხოლო პურის კრიზისის თავიდან ასაცილებლად, ან შესარბილებლად საჭიროა, რომ გორის მაზრის ხელისუფლებამ მომავალ წელს მოიმარაგოს 50,000 ფუთი ხორბალი, აგრეთვე გორის გლეხკომმა—20,000 და ბოლოს საკრედიტო ამხანაგობებმა და სოფლის კავშირმა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ერთი მხრით გლეხობის შეკავშირებას და მეორეს მხრივ—ააშენოს ორი დიდი წისქვილი გორის მაზრაში—1) გომში და 2) ტირიფონის ველზედ.

გორის მაზრაში სულ არის—35,000 მეურნეობა; მათ შორის რვა პროც. კულაკური მეურნეობა, ესე იგი — 2.800 მეურნეობა იმ დროს, როცა ჩვენი სოფლის სოციალისტური სექტორი აერთიანებს სულ—160 *) ცალკე მეურნეობას. ეს გარემოება გვავალებს აუცილებლად მოვაწყოთ მსხვილი კოლექტივები და არტელები. რათა კულაკის წონა და მნიშვნელობა სოფლად არარათ ვაქციოთ. მეორეს მხრივ არ მოვისვენოთ, სანამ ჩვენს გაერთიანებულ მეურნეობას კოლექტივების სახით არ გადავაქცევთ საჩვენებელ და სამაგალითო მეურნეობებათ.

აქამდის გორის მაზრაში არის საჩვენებელი მინდვრები და ნაკვეთები კერძო მეურნეობაში, რომლებსაც აქვთ კარგი შედეგები. იმ დროს, როცა გარჩეული თესლით მწკრივად დათესილმა ერთმა დესეტინამ—98 ფუთი მოსავალი მოგვცა, ჩვეულებრივ ნამუშევარმა ერთმა დესეტინამ კი მის გვერდზე მოგვცა—54 ფუთი. ასეთი სამაგალითო მუშაობამ დაარწმუნა გლეხობა, რომ კულტურულად მიწის მოვლამ მეტი ნაყოფი მოგვცა,— ვიდრე ჩვეულებრივმა. გლეხობა თუ კი ხელს შეუწყობ და მისცემ რჩევა-დარიგებას, დიდის სიამოვნებით გისმენს და ასრულებს აგრონომის დარიგებას. აგრონომის მუშაობა სოფლად თხოულობს დიდ ენერგიას (ასეთი აგრონომები კი სამწუხაროდ ცოტა გვყავს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მხარეთ-შესწავლას და სტატისტიკას. ყველა ის ნაკვეთები, რომელიც საჩვენებლად არის დამუშავებული, საჭიროა ადგილობრივი სტატისტიკური განყოფილებებმა გამოაკვლიონ. შემოდგომის თესვისათვის მზათ უნდა ვიყოთ როგორც კარგი ხორბლით, აგრეთვე მანქანებით. ასეთი მანქანები კი მაზრაში ჯერ ცოტა მოიპოვება. მაგ.: სამაზრო პუნქტების განკარგულებაში არის::

რკინის ფარცხი—50 ც., კულტივატორი— 25; სათესი მანქანა — 50: სათიბი მანქანა—30; სამკალი მანქანა —15; სალეწი—3; სარცხევი—50; და ტრაქტორი 21 ცალი.

ეს ზღვაში წვეთია, საჭიროა ზრუნვა მომავლისათვის, მაზრის ბიუჯეტმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

თუ ჩვენ მემინდვრეობა არ განვავითარეთ, არ დავაყენეთ ის სათანადო სიმაღლეზე, მუდამ სხვისი შემყურე დავრჩებით, კულაკებისაგან დამოკიდებული შევიქნებით და იგივე მდგომარეობა დარჩება გორის ბაზარზე, რომელზეც ზევით ვამბობდით.

**ვასო ქურდაძე.**

---

*) ამ რიცხვში არ შედის სამომხმარებლო და საკრედიტო კოოპერატივებში გაერთიანებული გლეხობა.

# ბამბის ქსოვილები საქართველოსათვის

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ბამბის ქსოვილების საბაზრო მოთხოვნილება 1928—29 წლისათვის განსაზღვრა — 50,015,000 მეტრით, ანუ 770 ვაგონით, როგორც შარშან. შეცვლილია მხოლოდ მოხმარების ნორმა თბილისისათვის: სულზე 28 მეტრის ნაცვლად წლიურად, ნავარაუდევია 33 მეტრი.

ამასთან, ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა გაითვალისწინა მრეწველობის შეზღუდული შესაძლებლობანი და ბამბის ქსოვილების აუცილებელი საჭიროება მოსახლეობისათვის. მეაბრეშუმეობის, მებამბეობის და ჩაის კულტურის, ნედლეულის რაიონების მოთხოვნილება ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა 106 ვაგონით განსაზღვრა, ტანისამოსის მრეწველობისა და სახელმწიფო ბიუჯეტიანი ორგანიზაციების მოთხოვნილება — 20 ვაგონით.

# სამხრეთ-ოსეთში

### პროფესორი ბუში ცხინვალში

ცხინვალში ჩავიდა ცნობილი ბოტანიკოსი ბუში. პროფესორი ბუში სრულიად საკავშირო სამეცნიერო აკადემიის მინდობილობით გამოიკვლევს სამხრეთ-ოსეთის მთიანი ადგილების ველებს მათი ფაუნის შესასწავლად.

პროფესორი მიემგზავრება მთის იმ რაიონში, რომელიც წონის ტბასთან მდებარეობს.

### მოაგარაკეთა ჩამოსვლა ჯავაში

ჯავას მნიშვნელობა, როგორც კურორტისა, წლითი წლობით მატულობს. იგი სამხრეთ-ოსეთის ერთ-ერთ თვალწარმტაც ადგილს წარმოადგენს. მთის რბილი ჰავა, სამკურნალო წყლები და შედარებით მოხერხებული მიმოსვლა ცენტრთან მრავალ მოაგარაკეს იზიდავს აქეთკენ.

წელს განსაკუთრებით დიდძალი მოაგარაკე მოაწყდა ჯავას, სადაც ამჟამად ბინის კრიზისია.

# პარკის დამზადება

ქუთაისის მესამე საგრენაჟო სადგურმა დაასრულა მეაბრეშუმეთაგან პარკის ჩაბარება. მიღებულია 18.000 კილომდე პარკი. მოსავალი საშუალოზე უკეთესია. თითო კოლოფ თესლზე მეაბრეშუმეებმა საშუალოდ 3 ნახ. ფუთი პარკი წარმოადგინეს.

მიკროსკოპიული ანალიზით აღმოჩნდა, რომ აბრეშუმის ჭია წარსულ წელთან შედარებით ნაკლებად დასნეულდა. ამჟამად საგრენაჟო სადგური ამთავრებს პარკის დახარისხებას. სადგურზე სამასამდე ქალი მუშაობს.

# შრომის პირობების გაუმჯობესება

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ინსპექცია ამჟამად იმუშავებს შრომის დაცვის 5 წლიან გეგმას.

უკვე შედგენილია 5 წლიანი გეგმა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმოებებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

ივლისის ბოლო რიცხვებში ასეთივე გეგმის შედგენა დამთავრდება ადგილობრივ ხასიათის მრეწველობის, კოოპერაციის და სხვადასხვა უწყებებისათვის.

გეგმის მიხედვით მრეწველობა-წარმოებებში პირველ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შრომის პირობების გაუმჯობესებას ჯანმრთელობისათვის მავნე დარგებში. გეგმა ითვალისწინებს შრომის პირობების გაუმჯობესების უმთავრეს ღონისძიებებს. წვრილი ხასიათის ღონისძიებები გატარდება გეგმის გარეშე, შრომის ინსპექციის მიმდინარე მეთვალყურეობის წესით.

საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭოს წარმოებებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად შედგენილი გეგმით 1928—29 წლიდან 1932—33 წლამდე მიღებული იქნება შემდეგი ღონისძიებები:

სახ. მეურ. უმ. საბჭოს ლითონის ტრესტის მექანიკურ ქარხანაში, 26 კომუნარის სახელობის და თუჯის სატკეპ ქარხნებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად უახლოეს 5 წლის განმავლობაში დახარჯავს 137.000 მან., ტყავ-ტრესტი კი ტყავის ქარხანა № 1, ფეხსაცმელების ფაბრიკაში და ქეჩის ფაბრიკაში იმავე მიზნით დახარჯავს 196.810 მანეთს; თამბაქოს ტრესტი თავის ქარხნებში შრომის პირობებს გასაუმჯობესებლად დახარჯავს—157.050 მან. საფეიქრო ტრესტი—92.210 მან., აბრეშუმის ტრესტი—116.051 მან., პოლიგრაფ ტრესტი—86.595 მანეთს, სატყეო ტრესტი 5. 291.450 მან., სამთო ტრესტი 92.220 მან., სულ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმოებებში შრომის დაცვაზე დაიხარჯება 1.186.126 მან.

აქედან ტეხნიკურ უშიშროებაზე (ბრძოლა უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ) დაიხარჯება 46.880 მან., წარმოებებში ჰაერის გაწმენდაზე—889.085 მან., დამხმარე დადგმულობათა მოსაწყობად —258.265 მან. და სხვადასხვა ღონისძიებებზე—411.745 მ.

შრომის დაცვის კაპიტალური ხარჯები, როგორც სახ. მეურ. უმ. საბჭოს და ისე სხვა უწყებების 5 წლიან პერსპექტიულ გეგმებში და ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი იქნება ცალკე მუხლად.

შრომის დაცვის გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოებს.

# ხალიჩების წარმოება ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიაში სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო ამ ჟამად აწარმოებს ხალიჩების მონოგრაფიულ გამოკვლევას ამიერ-კავკასიაში.

გამოკვლევა, რომელიც 27 წლის წინად იყო ჩატარებული კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის მიერ, მხოლოდ ნაწილობრივ ამოწურავდა შინამრეწველობის ამ დარგის მდგომარეობას. მაშინდელი გამოკვლევა შეეხო მხოლოდ ყუბის და ალაგეზის რაიონებს. სოციალურ-ეკონომიურმა ცვლილებებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამიერ-კავკასიაში, გავლენა მოახდინა ხალიჩების წარმოების ხასიათზე.

ა.-კ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს გამოკვლევა ეხება ხალიჩების წარმოების ყველა ძირითად რაიონებს: ყუბის, შემახის, ბაქოს, ყარაბახის, ყაზახის, განჯის, დღლიჯანის, ბორჩალოს და სხვა რაიონებს. გამოკვლევა სწარმოებს საექსპედიციო გზით, რაც საშუალებას იძლევა გამოკვლეული იქნეს არა მარტო ხალიჩების წარმოების განვითარების ხასიათი, და მისი ეკონომიკა, არამედ გამოირკვეული იქნეს საჭირო ღონისძიებანი ხალიჩების წარმოების გასაფართოვებლად. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ნედლეულის საკითხს, და აგრეთვე ხალიჩების წარმოების ტეხნიკურ რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

თბილისში დაბრუნდა საგამოკვლევო მუშაობის ხელმძღვანელი ამხ. ისაევი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

აპრილიდან დღემდე გამოკვლეულია ყუბის ოლქის, ქურდისტანის, ზანგეზურის და ბორჩალოს მაზრები და მთიანი ყარაბახი. მომთაბარეთა მოძრაობის გამოკვლევა ამჟამად შეწყვეტილია შემოდგომამდე. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ხალიჩების წარმოება, რომელიც ერთბაშად დაეცა სამოქ. ომის წლებში, ზოგიერთ რაიონებში საკმაოდ სწრაფად ვითარდება, ზოგ რაიონებში კი აღდგენითი პროცესი ვერ მიმდინარეობს საჭირო ტემპით. ხალიჩების წარმოების დაცემის მთავარი მიზეზი უნდა ეძებოთ ნედლი მასალის ფასების ზრდაში და ნედლეულის მარაგის მნიშვნელოვანად შემცირებაში.

# არამშრომელ ელემენტთა ბინების შემჭიდროება

თბილისის საბჭომ თავის გუშინდელ სხდომაზე დაადგინა — ჩატარებული იქნეს მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში მცხოვრებ არამშრომელი ელემენტების ბინების შემჭიდროება.

ამ მიზნით საბჭომ დაადგინა გამოყოს 30 მუშათა კომისია, რომელთაც დავალებული ექნებათ მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების გამოკვლევა, მათში მცხოვრებ არამშრომელი ელემენტების ბინების შემჭიდროების მიზნით.

ჩამორთმეულ ბინებიდან შემდგარი საბინაო ფონდი გადაეცემა სამრეწ ლო პროფესიონალურ კავშირებს, მლებიც თავისუფალ ბინებს გადას მენ ცუდ ბინაში მცხოვრებ და ნაო მუშებს.

განზრახულია პირველად ამ მიზ გამოკვლეულ იქნას 500 უფრო დ სახლი.

აღნიშნული სამუშაო უნდა თავრდეს ორი თვის განმავლობაში.

# შრომის ეკონომიკის საკავშირო თათბირი

ამას წინად მოსკოვში დასრულდა მოკავშირე რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებთან არსებულ შრომის ეკონომიკის განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც საქართველოდან გაგზავნილი იყო ამხ. ნ. ეირანოვი.

ამხ. ეირანოვის გადმოცემით, ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული მრეწველობისათვის საჭირო კვალიფიციური მუშახელის მომზადების საკითხს.

ყრილობაზე მოსმენილმა მოხსენებებმა და გამართულმა კამათმა ცხადყო რომ საჭირო არის მოხდეს პროფტეხნიკური განათლების რეორგანიზაცია, რადგან პროფტეხნიკური განათლების თანამედროვე სისტემა ვერ აკმაყოფილებს მრეწველობის მოთხოვნილებებს, რომელიც ყოველდღიურად იზრდება.

თათბირმა საკავშირო ს. მ. უ. ს. მიანდო პროფტეხნიკური განათლების რეორგანიზაციის გეგმის შედგენა და აგრეთვე შეთანხმება შესაფერ ორგანოებთან, რათა ყველა უმაღლესი, საშუალო და დაბალი ტეხნიკური და პროფესიონალური სასწავლებლები გადავიდეს რესპუბლიკანურ ს. მ. საბჭოების განკარგულებაში.

სასწავლებლის ახალი სამოსწავლ პროგრამების დამუშავებისას მხედ ლობაში უნდა იქნეს მიღებული მ წველობის სხვადასხვა დარგების ს როებანი და სწავლის დროს განხრ შემოღებაც ამ საჭიროებებთან უ იყოს დაკავშირებული. გარდა ამ საჭიროთაა ცნობილი, რომ ახალ ს წავლებელთა გახსნის საქმე შეთა მებული იქნეს მრეწველობის პერსპ ტიულ გეგმებთან.

მეორე ძირითადი საკითხი, რომე ზედაც მსჯელობა იქონია თათბირ —ეს არის 7 საათის სამუშაო დღ გადასვლა. ყრილობამ გამოიტანა დ დგენილება, რომ 7 საათის სამუშ დღეზე გადასვლა არ მოხდეს არსა თუ, წინასწარ არ იქნება შესწავლი ის შედეგები, რაც მოჰყვება სამუშ დროის შემცირებას. 7 საათის სამუშ დღეზე გადასვლა უნდა მოხდეს ი რომ წარმოების პროდუქციის რაოდ ნობაზე, პროდუქციის ღირსებაზე გაიაფებაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს.

# უშიშროების ტეხნიკის გამოკვლევა

### ა.-კ. სამთო მრეწველობაში

საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მთავარმა სამთო-ტეხნიკურმა ინსპექტორმა ამხ. ბილენკომ გამოიკვლია უშიშროების ტეხნიკის მდგომარეობა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სამთო მრეწველობაში.

გუშინ ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატში მოსმენილ იქნა ამხ. ბილენკოს მოხსენება მის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ბილენკომ განაცხადა:

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი მოკავშირე რესპუბლიკების წინაშე აყენებს საკითხს სპეციალური ინსპექციის მუშაობის გაძლიერების შესახებ მრეწველობის ყველაზე უფრო ხიფათიან დარგებში. პირველ რიგში საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა ყურადღება მიაქცია სამთო-ტეხნიკურ ინსპექციის მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას.

ა.-კ. სამთო მრეწველობის გამოკვლევის მიზანი იყო შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების და სამეურნეო წარმოებების ყურადღების შეჩერება მეთვალყურეობის გაძლიერების საკითხებზე. გამოკვლევის შედეგები ამტკიცებენ, რომ სამთო-მადნო მუშების შრომის დაცვა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

სამთო სამუშაოების უშიშროებისათვის მეთვალყურეობის გაწევა უკანასკნელ ხანებში გადაცემული აქვს შრომის სახალხო კომისარიატს. უნდა ითქვას, რომ მეთვალყურეობა გაძლიერდა, მაგრამ ამ დარგში საჭირო ღონისძიებების გატარების ტემპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება მუშაობის საშიშ ხასიათს.

საქართველოს სამთო მრეწველობაში ჩა ლია საქართველოს სამრეწველო პროლეტა ატის 25 პროცენტი და მათზე მოდის მთე სამრეწველო ტრავმატიზმის 65 პროცენ სომხეთში მრეწველობაში ჩაბმულია პროლ ტარიატის 24 პროცენტი, რომელზედაც მოდ სამრეწველო ტრავმატიზმის 66 პროცენტი.

ზოგიერთ წარმოებებში ტეხნიკური უშ როების მხრივ ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთე რომ „წვრილმანებს“, რომლებიც ახასიათებ ხშირად ორგანოების უყურადღებობას შ მის დაცვის საკითხებისადმი.

საქართველოში უშიშროების ტეხნიკის მდ მარეობა განსაკუთრებით არადამაკმაყოფ ლებელია ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღარო ში.

სპეციალური ინსპექტორების მუშაობას ა გილებზე ხშირად დააფერხებს სამეურნეო ო განოების უყურადღებობა, ხშირად კი მ მიერ ფარული წინააღმდეგობის გაწევა ინ სპექტორის მუშაობისათვის. ზანგეზურ იყო შემთხვევა, როდესაც წარმოებამ უა უთხრა სამთო-ტეხნიკურ ინსპექტორს სატრ ნსპორტო საშუალებების მიწოდებაზე და ინ სპექტორი იძულებული იყო ათი ვერსი ფე გაევლო, რომ გამოეკვლია ერთი უბედურ შემთხვევა.

ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს ხელ მძღვანელობის გაძლიერებას რესპუბლიკებ შრომის სახალხო კომისარიატების მხრიდან ს მთო-ტეხნიკურ ინსპექტორების მუშაობისა ვის. აუცილებელია, აგრეთვე სამთო-მადნო მ შათა კავშირის ქვედა საფეხურის ორგანო ბის მუშაობის გაძლიერება შრომის დაცვ დარგში და მეტი კონტაქტის დამყარება ორგანოებსა და შრომის ინსპექციის შორის.

# თათბირი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე

გუშინ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში შედგა საგეგმო კომისიის გაფართოებული თათბირი, რომელზედაც მოწვეული იყვნენ თბილისში მომუშავე სპეციალისტი ექიმები, პროფესორები და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანსახკომების წარმომადგენლები.

თათბირის გახსნისას. საქართველოს ჯანსახკომის წარმომადგენელმა ამხ. ი. ფრანგულიანმა განმარტა თათბირის მოწვევის მიზნები და აღნიშნა, რომ თათბირის ძირითად ამოცანას შეადგენს გაეცნოს ავტონომიურ რესპუბლიკებში ჯანმრთელობის დასაცავად წარმოებულ მუშაობას.

აფხაზეთში ჯანმრთელობის საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა აფხაზეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. ვ. ანჩაბაძემ. მომხსენებელმა მოიყვანა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი სამკურნალო დაწესებულებაა გახსნილი მთელ აფხაზეთში, რამდენია ექიმი, როგორია ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ფინანსიური მდგომარ ბა და სხვა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამჟამად ა ხაზეთში ითვლება 180.000 მცხოვრები. ექ თა რიცხვი კი აღწევს 81-ს. ექიმის თანაშე წეების—73. ამგვარად თითო ექიმზე მოდ 5.111 მცხოვრები.

მომავალი მუშაობის გეგმაში აფხაზეთ ჯანსახკომს შეტანილი აქვს შემდეგი სამუშ ოები: სამკურნალო ქსელის მოწყობა ტყვარ ჩელის რაიონში, სოხუმის საქალაქო პოლ კლინიკასთან ფიზიო-ტერაპევტიული განყ ფილების გახსნა, სულით ავადმყოფთა სამკუ ნალოს გაფართოება, ამბულატორიებისა საექიმო პუნქტების ქსელის გაფართოება სხვა.

ამხ. ანჩაბაძის მოხსენების გარშემო პრაქ კული წინადადებების დამუშავება მიენდო მისიას, რომელიც თავის დასკვნას წარუდგე თათბირის შემდეგ სხდომას.

# მკითხველთა წერილებიდან

### მეტი ყურადღება დაფნის ფოთლის კულტურას

როგორც ვიცით, ომამდე დაფნის ფოთლის კულტურას საქართველოს ზოგიერთ რაიონებში დიდი წარმატება ეტყობოდა. მენშევიკების დროს კი, როცა დაფნის ფოთოლს დაეკეტა ბაზარი, ამ მცენარის კულტურა ჩვენში მეტად დაეცა. მაგრამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მას კვლავ დიდი წარმატება დაეტყო. მისი შემდგომი განვითარება დამოკიდებულია დაფნის ფოთლის ბაზრის კიდევ უფრო გაფართოება-მოწესრიგებაზე.

ამ საკითხს ეხება თავის წერილში ამხ. ი. მ—ძე, რომელიც ამბობს:

„ვაჭრობის მომწესრიგებელ ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დაფნის ფოთლის დამზადება-გასაღების საქმეს. საბჭოთა კავშირის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს დაფნის ფოთოლზე. მიმდინარე სეზონში მარტო თბილისისა და ბათომის ბირჟებში გატარებულია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გატანილი 95 ვაგონი საქართველოს დაფნის ფოთოლი, რომელიც შეფასებულია 113.600 მანეთად.

მიუხედავად იმისა, რომ დაფნის ფოთოლი მიმდინარე წლის გაზაფხულზე 30 მანეთამდე ღირდა, ფასი ამ საქონელზე მაინც დაბალია. ის ვერ აკმაყოფილებს იმ ხარჯებსაც კი, რომელსაც იწვევს დაფნის ფოთლის მოყვანა. თუ ფასმა არ მოიმატა, შესაძლებელია, რომ დაფნის მეურნეობის განვითარება საფრთხეში ჩავარდეს.

გარდა ამისა, დაფნის ფოთლის ფასზე ცუდ გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ ფოთოლი სუფთად ნაკრეფი არაა, მას ბლომად ახლავს წვრილი შტოები და ჩხირები, რაიც შემსყიდველ ორგანიზაციების დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ფოთლის დამზადება არ უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს, საჭიროა მოეწყოს სამშრობი [illegible], რომ ფოთოლი ჩრდილში შრებოდეს და არ კარგავდეს მზეზე ფერსა და სურნელობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობის გამარტივება-გაიაფებას.

**უცხო ენების სწავლების მნიშვნელობა**

ამხ. მ. ჩინჩალაძე ეხება ჩვენს სკოლებში უცხო ენების სწავლების საკითხს და სწერს:

„უცხო ენების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამეცნიერო ასპარეზზე მომუშავეთათვის, ისე საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობით დაინტერესებულ პირებისათვისაც. ჩვენთვის აუცილებელია უცხოეთის ენების შესწავლა იმისათვისაც, რომ სოციალისტურ აღმშენებლობის დროს ნათელი წარმოდგენა გვქონდეს სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმში ამ საკითხის განსახილველად გაიმართა სპეციალური საღამო. საღამოზე დამსწრე ავტორიტეტულ პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწენი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ლოზუნგი „უცხო ენები მასაში“ იმდენადვე აქტუალურია, როგორც ლოზუნგი „ტეხნიკა მასაში“. საგულისხმო სიტყვა წარმოსთქვა პროფ. ოსადჩიმ. მან სთქ ჩვენ ვაწარმოებთ გეგმიან მუშაობას მიდიოდარო სოციალიზმისაკენ ინდუსტრი ლიზაციისა და ტეხნიკის დაპყრობის ს ვალებით. ერთ-ერთი ძლიერ იარაღს წინსვლაში წარმოადგენს უცხო ენებ ცოდნა.

ამავე კრებაზე გამოითქვა მწუხარებ რომ მშრომელი მასები უცხო ენების შ თვისების დიდ სურვილს იჩენენ, მაგრ ამ საკითხს არ ექცევა სათანადო ყურა ღება. ეს ნაწილობრივათ იმითაც აიხსნება, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით გავრცელ ბულია ისეთი ყალბი შეხედულება, თი ქოს უცხო ენების შესწავლა ფუფუნება სახალხო განათლების ორგანოებმა მ მავალ სასწავლო წლიდან მეტი ყურ დღება უნდა მიაქციონ უცხო ენებ სწავლებას“.

**მოსამზადებელი ჯგუფების შესახებ**

ამხ. ვ. მგალობლიშვილი თავის წე რილში „მოსამზადებელ ჯგუფებ შესახებ“ ეხება საყურადღებო და გ დაუდებელ საკითხს. ეს არის ცხრ წლედ დამთავრებულ ახალგაზრდო ბის მომზადება უმაღლეს სასწავლ ბელში შესასვლელად.

„არავითარი საიდუმლოებას არ წარ მოადგენს, სწერს ის, რომ ჩვენი ცხრ წლედები ხშირად ვერ აკმაყოფილებენ პროგრამას, რომელიც გავლილი უნ ქონდეს ახალგაზრდას, თუ მას სურს სწ ვლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებ ლში. ასეთი ახალგაზრდობისათვის არს ბობს ე. წ. მოსამზადებელი ჯგუფებ რომლებსაც ხსნიან სათანადო ორგანი და კერძო პირებიც. თუ რამდენიმე ამა თლიან ეს ჯგუფები თავიანთ დანიშნ ლებას, ამისათვის საკმარისია მოვიყვ ნოთ რამდენიმე მაგალითი ქუთაისის ნამდვილიდან.

წარსულ წელში აქ იყო განათლებ სახალხო კომისარიატისა და კერძო პირ ბის მიერ მოწყობილი მოსამზადებე ჯგუფები. წელს ასეთი ჯგუფების გახს აკრძალულია, განსაკუთრებით კერ ჯგუფების. მაგრამ ამან საქმეს არ უშვე კერძო პირებმა იშოვნეს საშველი. მ მოსწავლეები ახალ რიგებს. დაიწყეს მს ფეთა ცალკე საგნებში „მომზადება“ ასეთი „ცალ-ცალკე მომზადება ფაქტ რად ჯგუფებათ გადაიქცა.

მთავარი აქ ისაა, რომ ამ ჯგუფებში ზადება შეძლებულ წრიდან გამოს ლი ახალგაზრდობა. მუშათა, პარტიუ და კომკავშირული მასა მომზადების შვალებას მოკლებულია, რადგან ამ თ ხის გადება, რომელიც ჯგუფებში სწავ სათვისაა დაწესებული (25-30 მ.) მას შეუძლია.

თავისთავად ცხადია, რომ ახალგაზრდ ბის ამნაირი „მომზადებით“, ჩვენ კიდ უფრო ვართულებთ უმაღლეს სასწავლ ბელთა გამუშურების და კომუნიზაცი ამოცანას. თუ გვინდა, რომ ეს ასე ხდებოდეს, კერძო ჯგუფები სასწრაფო უნდა დაიხუროს. მათი ადგილი დაიჭიროს განსახკომის მიერ მოწყობ ჯგუფებმა“.

საკითხი იმდენად საშურია, რომ საჭიროა მისი დაუყოვნებლივ მოგვ რება.

# ხანძარი ზუგდიდში

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ზუგდიდი,** 8 ივლისი. რვა ივლისს ნაშუადღევის ორ საათზე ცეცხლი გაუჩნდა ორ სართულიან შენობას, რომელშიც მოთავსებულია პროკურატურა, სამაზრო და საუბნო სასამართლო და დანარჩენი სამოსამართლო ორგანოები. ხანძარი განსაკუთრებით ემუქრება ქალაქის ცენტრალურ ნაწილს. გამოწვეულია ცეცხლის მქრობელი რაზმები სენაკიდან და სამტრედიიდან.

—:—

**ზუგდიდი,** 9 ივლისი. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული ენერგიული ზომების წყალობით და მცხოვრებთა დახმარებით ცეცხლი ჩაქრობილ იქნა საღამოს ხუთ საათზე. დამწვარია სამოსამართლო დაწესებულებების შენობა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ცეცხლის ქრობის დროს მსუბუქად დაშავდა 4 კაცი, მათ შორის: მილიციის უფროსი **როგავა**, ინფორმპუნქტის უფროსის თანაშემწე **ჭაჭია** და მექანიკოსი **ჯანაშია**. ხანძრის გაჩენის მიზეზს არკვევს სპეციალურად გამოყოფილი კომისია. ირკვევა ზარალიც.

—:—

ჩვენს თანამშრომელს შინაგან საქმეთა კომისარიატში შემდეგი აცნობეს: როგორც ზუგდიდის მილიციის უფროსის დეპეშიდან სჩანს, ცეცხლი სამი საათის შემდეგ ჩაუქრიათ ადგილობრივი ძალებით. დამწვარია მხოლოდ ის შენობა, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა. სხვა შენობები დაიცვეს ხანძრისგან. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ხანძრის ქრობის დროს მსუბუქად დაშავდა ოთხი მოქალაქე. ზარალი ირკვევა.

# საგეგმო კომისიაში

## საიმპორტო კონტინგენტის განაწილება

საქ. საგეგმო კომისიაში გაირჩა საკითხი კომუნალურ მეურნეობის საიმპორტო კონტინგენტის მაზრებს შორის განაწილების შესახებ. საგეგმო კომისიამ საქართველოს წილი კომუნალურ მეურ. საჭიროებისათვის—107.200 მან. და ფერადი ლითონების კონტინენტი 40.000 მანეთი გაანაწილა ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის მიერ წარმოდგენილ პროექტის მიხედვით. კომუნალურ მეურნეობის საჭიროებისათვის ქუთაისის აღმასკომს მიეცემა 5.675 მანეთი, თელავს—1.525 მ. ხოლო თბილისის—89.700 მანეთი. ელექტრო საჭიროებისათვის ფოთის აღმასკომს მიეცემა 4.150 მან. ბორჯომის მინერალური წყლების სამართველოს 600 მანეთი. თბილისის აღმასკომს 550 მან. საამშენებლო საწარმოთა მოსაწყობად თბილისის აღმასკომი მიიღებს 5.000 მანეთს.

# გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის განყოფილების დაარსება

ადგილობრ. სამთო-გეოლოგიურ გამოკვლევების და გამოყენებითი მინერალოგიის დარგში მომუშავეთა ჯგუფის ინიციატივით თბილისში არსდება ლენინგრადის გამოყენებითი მინერალოგიის და მეტალურგიის ინსტიტუტის განყოფილება.

განყოფილების დაარსების მიზანია—მინერალური ნედლეულობის ტეხნიკურად შესწავლა ამიერ-კავკასიაში ლითონის მრეწველობას შექმნასთან დაკავშირებით; ეს მრეწველობა დაყრდნობილი იქნება ტყიბულის ქვა-ნახშირზე და კოკსზე, ჭიათურის მარგანეცზე და დაშკესანის რკინის მადანზე.

ახალ განყოფილებას თავის ბაზად ექნება საქართველოს საგამოკვლევო დაწესებულებანი: სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიური ლაბორატორია. საქართველოს ს.მ.უ.ს. ცენტრალური ლაბორატორია და სხვა. განყოფილების გახსნა თბილისში უკვე შეთანხმებულია ლენინგრადის გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის დირექტორთან, საქართველოს ს.მ.უ. საბჭომ კი თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გამოცემული იქნეს დადგენილება ამ განყოფილების დაუყოვნებლივ გახსნისა, მისი დებულების დამტკიცებისა და 15.000 მანეთის გადადების შესახებ, რაც უნდა მოხმარდეს განყოფილებას გახსნას და მოწყობას.

ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით ახალი განყოფილების შენახვა დაჯდება 32.604 მანეთი. განყოფილება სამსახურს გაუწევს, უმთავრესად, სამთო-ქიმიურ მრეწველობას და საამშენებლო საქმეს.

# მოტო-გადარბენა

## მოსკოვი—ტფილისი—მოსკოვი

საზოგადოება „ავტოდორის" ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმი აწყობს პირველ საკავშირო გამოსაცდელ მოტო-გადარბენას შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი—სერპუხოვი—ტულა—ჩერნი—ორიოლი—კურსკი—ბელგოროდი—ხარკოვი—იზიუმი—შტერიოვკა—როსტოვი—კუშჩევკა—ტიხორეცკაია—კავკასკაია—არმავირი—ნევინომისკაია—პიატიგორსკი—მოზდოკი—კავკავი—ფასანაური და თბილისი; მოტოციკლეტები ამავე მარშრუტით დაბრუნდებიან მოსკოვში.

ამიერ-კავკასიის „ავტოდორის" პრეზიდიუმში და ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოში მიღებულ ცნობების თანახმად, გადარბენა დაიწყება 22 ივლისს. მოტოციკლეტები თბილისში ჩამოვლენ 13 დღის შემდეგ. თბილისში გადარბენის მონაწილენი დაისვენებენ ორ დღეს და ისევ გაემგზავრებიან მოსკოვში. მთელი გადარბენა გასტანს ერთი თვე.

გადარბენის მიზანია გამოარკვიოს მოტოციკლეტების ის ტიპები და მარკები, რომლებიც შესაფერისი იქნება საბჭოთა კავშირში მუშაობისათვის. გადარბენის შედეგების მიხედვით, შესაძლებელი იქნება საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი იქნეს უფრო რაციონალური კონსტრუქციის მოტოციკლეტები და მანქანების ცალკე ნაწილები.

დღეს, 10 ივლისს, გზათა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგება ა.-კ. „ავტოდორი"-ს და პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც არჩეულ იქნება გადარბენისათვის ხელისშემწყობი ადგილობრივი კომიტეტი. გარდა ამისა, თათბირზე განხილული იქნება ყველა ის პრაქტიკული საკითხები, რომელიც შეეხება გადარბენაში მონაწილეთა შეხვედრას, მათთვის ბინას აღმოჩენას, მანქანების შეკეთებას და მოტოციკლეტების მომარაგებას სათბობი მასალით.

გადარბენაში მონაწილეების თბილისში ყოფნის დროს განზრახულია ერთი კილომეტრას ფნის დროს განზრახულია მოეწყოს მოტო-შეჯიბრება სისწრაფეში ერთი კილომეტრის მანძილზე.

# სასამართლო

## უდანაშაულო მსხვერპლი

გიორგი შუბლაძე 1923 წელში უკვე აღრიცხვაზე იყო აყვანილი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე ელემენტი.

მოგეხსენებათ, არის ჩვენში დარჩენილი ისეთი ხალხი, რომელთაც შრომა და ჯაფა მაინც და მაინც არ იზიდავს, ისე, უზრუნველად უყვართ „იოლად" წასვლა.

შუბლაძე „მაუზერისტი" კაცი იყო და მასთან როდი შეიძლებოდა დალაპარაკება უბრალოდ, უსათუოდ ლაპარაკი უნდა ყოფილიყო ვინმეს გაძარცვაზე.

მას თავისი ამხანაგებიც ჰყავდა და ამხანაგებთან ერთად გააკეთა საქმე, რომლითაც „უპროტექციოთ" მიღებულ იქნა გამასწორებელ სახლში რამდენიმე წლით.

გავიდა დრო. შუბლაძემ დაასრულა „სამკურნალო" კურსი, რომელსაც მასზე ოდნავადაც არ უმოქმედნია.

სამწუხაროდ. ოჯახსაც მოეკიდა შუბლაძე და შეირთო ცოლად ისეთი ქალი, რომელსაც კეთილშობილება და ალალი გული არ აერთებდა ასეთ გაწუწკებულ პიროვნებასთან.

უსიამოვნება ცოლ-ქმარს შორის წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ შუბლაძე თავის სახლში თავს უყრიდა საეჭვო ელემენტებს, რომლებიც ბჭობდენ მხოლოდ და მარტო ვისიმე გაძარცვაზე და ადგენდენ გეგმას თავდასხმის შესახებ.

ერთ დღეს ცოლმა, გამოსულმა მოთმინებიდან, მიახალა ასეთი სიტყვები თავის ქმარს შუბლაძეს:

— თუ შესწყვეტ ასეთ საეჭვო პირების მაღებას ჩემს სახლში—ვიცხოვრებ შენთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენ შენთვის, მე ჩემთვის!

ცოლის ასეთი გაკადნიერება საკმარისი იყო იმისათვის, რომ შუბლაძეს „ღირსეული" პატივი ეცა ნინოსათვის.

ჩაიგდო ხელში და სცემა უმოწყალოდ.

ქალმა, დამცირებულმა ასეთი საქციელით, საბოლოოდ გადასწყვიტა ქმართან განშორება და კიდეც მოიყვანა ეს სისრულეში.

დაიკარგა უგზო-უკვლოდ. არც კი აცნობა თავისი მისამართი.

შუბლაძეს განშორების შემდეგ „შეუყვარდა" თავისი ყოფილი ცოლი და დაიწყო იმისი ძებნა.

როცა მის კვალს მიაგნო, ასეთი უსტარი უძღვნა სატრფოს:—ორივეთ დაგკლავ, თუ სადმე ხელში ჩაგიგდე! არ იფიქრო, რომ დაგზოგავ! თუ შენი სურვილით არ დაბრუნებულ ხარ სახლში, შემდეგ მე ვიცი. შენი მშობლები მძევლებად მყავს! ამოვჟლეტავ სულ ყველას".

ქალს კი ისე შეეზავრდა შუბლაძე, რომ სიკვდილს ამჯობინებდა მასთან ცხოვრებას. არც კი უპასუხა ამ მუქარაზე.

შუბლაძემ მუქარა „პირნათლად" შეასრულა.

4 ივნისს ჩაუსაფრდა ნინოს დედას შუბლაძე. გავარდა რევოლვერი სამჯერ და „დაუძინებელი მტერი"—სიდედრი დაეცა საბჭოთა მოედანზე უსულოთ.

შუბლაძის „საქმენი საგმირონი" უკვე გამოიძია სამაზრო სასამართლოს გამომძიებელმა ამხ. **თულაშვილმა**.

ახლო მომავალში დაიწყება შუბლაძის გასამართლება.

ვერ.

# ქრონიკა

## ქატოსა და კოპტონის შემოზიდვა

საქონლის საკვებად და მიწის გასანოყიერებლად საჭირო კოპტონისა და ქატოს შემოზიდვის საკითხის გამოსარკვევად მიწათმოქმედების კომისარიატში მოწვეული იყო თათბირი სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისაგან. თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ საქართველოში შემოზიდული იქნეს 500.000 ფ. ქატო და 470,000 ფ. კოპტონი.

ეკონომიურმა საბჭომ განიხილა ხსენებული საკითხი და დაადგინა ეცნობოს ა.-კ. სახკომსაბჭოს, რომ 1928-29 წლ. საქართველოსათვის საჭირო იქნება საქონლის საკვებად და მიწის გასანოყიერებლად 500.000 ფ. ქატო და 500.000 ფ. კოპტონი. ქატოს შემოზიდვა დაევალოს „საპონ - ზეთს", ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს და საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას, ხოლო კოპტონის შემოზიდვა პურის შემომზიდავ ორგანიზაციებს.

## თბილისის აღმასკომში

◆ **ავიაქიმის საზოგადოებას** თბილისის აღმასკომმა დახმარების სახით გადასცა 300 მანეთი.

◆ **სახელმწიფო პურის ფონდის დასაარსებ**ლად თბილისის აღმასკომმა გადასდო 68.000 მანეთი.

◆ **ქუჩის გაუქმება.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა დაიხუროს არმაკუნის შესახვევი.

◆ **ადგილობრივ მრეწველობის** განყოფილებას მუშაობის გასაფართოებლად გადაეცა 200 ათასი მანეთი.

◆ **ღარიბ წითელ არმიელთა ოჯახების** დასახმარებლად აღმასკომმა გადასდო 1000 მანეთი.

◆ **ხანძართან ბრძოლის** გაძლიერების მიზნით აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს საკვამლე მილების მწმენდავთა მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები.

◆ **ახალი სახლი.** აღმასკომმა დაადგინა ქორესის ქუჩაზე აგოს ახალი 3 სართულიანი სახლი.

◆ **საბავშვო ბაგა.** ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა ყარაიაში მოაწყოს საბავშვო ბაგა.

## პროფსაბჭოში

— **რემედასის სასარგებლოდ.** პროფსაბჭომ მუშათა კლუბებს დაავალა რემედასის სასარგებლოდ მოაწყონ თითო საღამო.

— **ექსკურსია.** პროფსაბჭოს კულტგანყოფილება 16 ივლისს აწყობს ექსკურსიას მდ. ვოლგაზე.

— **კონფერენცია.** პროფსაბჭოს სატარიფო განყოფილება 12 ივლისს საღ. 6 ს. იწვევს ადგილკომების სარევიზიო კომისიების წევრთა საქალაქო კონფერენციას.

— **შრომის დაცვის და სოცდაზღვევის მუზეუმთან** საამშენებლო განყოფილების დასაარსებლად ამშენებელთა კავშირმა გადასდო 600 მანეთი.

— **შრომის გმირები.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ვიბორგინს, ვარდოსანიძეს, გრიქუროვს, კოვალსკის და როხლინს მიანიჭოს შრომის გმირის სახელწოდება.

## სხვადასხვა

◆ „**ბავშვთა მეგობრების**" საზოგადოების მეოთხე საქალაქო კონფერენცია შესდგება 12 ივლისს საღამოს 6 საათზე აღმასკომის წითელ დარბაზში.

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მოთავსებულ ცნობაში—გლეხების მოწყობის შესახებ ახალ მიწებზე, შეიპარა შეცდომა:

**სწერია:** პრეზიდიუმის დადგენილებით თვითეულ ოჯახს ახალ მიწებზე დასასახლებლად **დახმარების სახით მიეცემა 100 მანეთი; უნდა იყოს:** პრეზიდიუმის დადგენილებით თვითეულ ოჯახს **სესხად მიეცემა 800 მან.**

# ვის ჩამოერთმევა სახლები

**მიხ. ომიაძეს** (ფომინის ქ. 19), **კრიხელს** (ბეწვეულის ჩიხი № 5), **ბუთხუზს და ულენტს** (ბატარეის და ორჯონიკიძის ქ. № 18—67), **ერასტი კერესელიძეს** (სურპ-სარქისის ქ. № 33), **ტაგიევს** (ფაბრიკის შეს. № 12), **მ. ალავერდოვს** (ფაბრიკის ჩიხი № 3), **ხიზანოვს** (ნორაშენის ქ. № 4), **სიმხო ბერიძეს** (ოდაშენის ქ. № 5), **მამედ კიში-ოღლის** (სურპ-სარქისის ქ. № 25), **იუსუპოვს** (სუმბათაშვილის ქ. № 7-1), **ტრეგულოვს** (ტაგი-ზადეს ქ. № 45), **ზორხაპ-ზადეს** (ტაგი-ზადეს ქ. № 19), **პიშტაკს** (ახპატის შეს. № 6), **დოლმაზოვებს** (ახპატის შეს. № 21), **აგაველოვს** (ნახშირის ჩიხი № 10), **ბეგთაბეგოვს** (პუშკინის ქ. № 13/22), **ნიკოლოზ, სოლომონ და სხვ. გოქაძეებს** (ბოქორიშვილის ქ. № 38), **სარიბეგოვს** (მცირიშვილის ქ. № 8), **ხოჯაევს და სხვ.** (მერკვილაძის და ბელგიის ქ. № 6/5) **მარქაროვს** (მინკვიცევის ქ. № 10), **ნალბანდიანს** (ზასულიჩის ქ. № 35/3), **ვ. ნებურიძეს** (ზასულიჩის ქ. № 30), **არისტაკესიანცს** (ზასულიჩის ქ. № 42), **ეგანოვს** (ზასულიჩის ქ. № 45), **ილია და გიორგი ხუციშვილებს** (პლეხანოვის პრ. № 19), **დიანოს გვანცალაძეს** (ალვანის ქ. № 1), **ვლასოვს** (ნეკრასოვის ქ. № 12/9), **ტერ-ბარსეგოვს** (აზიზბეკოვის ქ. № 11/9) **იოსებ თულაშვილს** (ზასულიჩის ქ. № 19), **ლავროვსკის** (მერკვილაძის ქ. № 3), **ვარნაზოვებს** (საბჭოთა ქ. № 62), **საროკინს** (კახეთის ქ. № 46), **სიმონ კალანტაროვს** (მაიდანის შეს. № 3/21), **ბახიგაშევს** (ზასულიჩის ქ. № 15/5), **გიორგი და მარიამ ნარიაშვილებს** (საბჭოთა ქ. № 64), **ანა ვართანოვს** (სურამის ქ. № 9), **ბახჩიანს** (ოსკანის ჩიხი № 3), **გორდელაძეს** (ბატარეის ქ. № 20), **კონსტ. უნგიაძეს** (გომელის ქ. № 60), **არუთინოვს** (1 მაისის შეს. № 5), **ანისანიანს** (აკოპოვის ქ. № 3), **ვასილ ჭავჭანიძეს** (ყვირილის ქ. № 14), **დავით და შალვა ბარბაქაძეებს** (სურამის ქ. № 5), **შუაქრიშვილს** (არსენალის ქ. № 21), **ლაფიაშვილს** (გოგოლის ქ. № 64), **ანტოშვილს** (1 მაისის შეს. № 1) **ლუკიანოვს** (გოგოლის ქ. № 20), **კასუმ შარიფოვს** (ტაგი-ზადეს ქ. № 12/5), **დასმიშვილს** (აკოპოვის ქ. და ჭალაუბნის შეს. № 1/12), **კარახანოვს** (ტაგი-ზადეს ქ. № 65), **სიმონ ბერიაშვილს** (დელიჟანის შეს. № 6), **პარემუზოვს** (ნორაშენის შეს. № 2), **ანტონოვს** (ნორაშენის შეს. № 8), **ნასყიდოვს** (რიჟინაშვილის ქ. № 6), **ვართაზარიანცს** (კომუნალური ქ. № 79), **სუმბაძეს** (არსენალის ქ. № 33), **ისმაილოვს** (კომუნალური შეს. № 8), **წერეთელს და დეკანოსიძეს** (სურამის ქ. № 3), **კრიხელს** (სომხის ბაზარი № 49), **ტ. დრობიშოვს** (ამატუნის ქ. № 38), **ხალათოვს** (გლეხის ქ. № 4), **სოხიევს** (ყვირილის ქ. № 4), **იოსებაშვილს** (გლეხის ქ. № 10), **კიარიზოვს** (კომუნალური ქ. № 91), **აბაჯანოვს** (ჰაზირას ქ. № 18), **ჯანიბეგოვს** (არქივის ქ. № 8), **ტერ-ასატუროვს** (პუშკინის ქ. 11/16), **ტერ-ოსკანოვს** (ჰაზირას ქ. № 14), **დავრიშვილს** (ჰაზირას და გლეხის ქ. № 26/14), **ს. კაზარაშვილს** (შოვის ქ. № 4), **გამაზოვს** (მუკუზანის შეს. № 5), **თეიმურაზხანს** (ხოჯევანქის ქ. № 5), **ხუბაროვს** (ნატახტარის ქ. № 20), **მურადოვს** (მახათის ქ. № 5), **თაიროვს** (ალაზნის შეს. № 5), **ავეტისოვს** (ჩეხოვის ქ. № 33/42), **აკოფოვს** (მეტეხის შეს. № 15), **გრიქუროვს** (ბატარეის ქ. № 14) **პაატოვს** (ლენინაშენის და კალინინის ქ. № 8/46) **ველიხოვებს** (სურამის ქ. № 7), **სიმონიანცს** (მესხიშვილის ქ. № 31), **ასლამაზოვს** (ჟელიაბოვის ქ. № 15), **დემუროვს** (გლეხის ქ. № 6), **კუკუჯანოვს** (პუშკინის ქ. № 25), **დატებოვს** (ჟელიაბოვის ქ. № 28), **ტოგონიძეს** (ბაქრაძის შეს. № 2), **ანა საფაროვას** (ბანოვის ქ. № 20), **კოლუაშვილს** (წილკანის ქ. № 9), **ტერ-ასატუროვს** (ჟელიაბოვის ქ. № 20), **ოგანოვს** (ჟელიაბოვის ქ. № 24), **მესხს** (ლენინის ქ. № 21), **მამისთვალოვს** (გლეხის ქ. № 9/5), **ნეგეფტოვს** (ტაგი-ზადეს ქ. № 63), **კორინთელს** (ლენინის ქ. № 33), **ბეჟანაშვილს** და **ზარდიაშვილს** (ლენინის ქ. № 17).

# შემთხვევები

## მძარცველები

6 ივლისს საღამოს 8 საათზე კოჯორიდან წავკისისაკენ მიდიოდა 23 მეფურგონე. კოჯრიდან კილომეტრ-ნახევარის დაშორებით მათ თავს დაესხა ორი ბოროტმოქმედი, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ნაგანის სისტემის რევოლვერებით. ბოროტმოქმედებმა მეფურგონეებს წაართვეს 433 მანეთი და გაიქცნენ. ერთ-ერთმა მეფურგონემ ბოროტმოქმედებს ესროლა რევოლვერი და ერთი მათგანი დასჭრა. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ. კვლევა-ძიება სწარმოებს.

## ქურდობა.

—გაქურდეს წყნეთის ქუჩაზე არსებულ დისპანსერის საწყობი. ეჭვით დაპატიმრებულია გიორგი ბენიას ძე ჩხიკვიშვილი და ბ. ჩხიკვიშვილი (მცხოვრები წყნეთის ქ., № 2); — გაქურდეს ბარბარე იოსების ასული გულუას ბინა (თეატრის შესახ., № 18), წაღებულია 35 მან. ნივთები;—კვირას დღის 4 საათზე მოქ. ვლადიმერ სამსონისძე ებრაელიძის ბინიდან მოიპარეს 100 მან. ნივთები;—ალმას ტოგონის ასულ ბაღდასაროვის ბინიდან (ნახშირის ქ., № 4) მოიპარეს 52 მან. ნივთები;—გაქურდეს თამარ ალექსის ასულ გველაძის ბინა (ზაკვინის ქ., № 9). მოქ. ნერსეს ერამიანცის სავაჭროდან (ამაღლების ქ., № 8) ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 40 მან. საქონელი,—ეკატერინე ეგნატეს ასულ კოშლიევის ბინიდან (პლეხანოვის ქ., № 72) მოიპარეს—45 მან. ნივთები;—გრიგოლ იასონისძე დალაქიშვილის ბინიდან (კამოს ქუჩა, № 72), ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 160 მან. ნივთები;—გაქურდეს კოტე იოსების ძე ლეჟავას ბინა (ერისთავის ქ., № 14). მოპარულია 112 მან. ნივთები; ივანე თომასძე გეგეჭკორის ბინიდან (ჩერქეზიშვილის ქ., № 119) ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 190 მან. ნივთები.

# რკინის გზებზე

## მთავარ სახელოსნოების გადაყვანა დამოუკიდებელ ბიუჯეტზე

ამ დღეებში ა.-კ. რკ. გზ. საგეგმო-საკონტროლო განყოფილებაში შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი თბილისის მთავარ სახელოსნოების გადაყვანის შესახებ დამოუკიდებელ ბიუჯეტზე. ასეთ ბიუჯეტზე საბჭოთა კავშირში გადაყვანილია რამოდენიმე სახელოსნო და მათ შორის როსტოვის რკ. გზ. სახელოსნოც, რომელიც განსაკუთრებულ წარმატებით მუშაობს ასეთი რეორგანიზაციის შემდეგ. ამიტომ თათბირმა დაადგინა შეისწავლოს როსტოვის მთავარ სახელოსნოების გამოცდილება და გამოიყენოს იგი თბილისის მთავარ სახელოსნოების დამოუკიდებელ ბიუჯეტზე გადაყვანის დროს.

ამ მიზნით, თათბირის დადგენილებით, როსტოვში იგზავნება კომისია—ინჟ. გულიანის, ინჟ. კორიუტინის, ბუხჰალტერ ცუკანოვისა და სანაძის შემადგენლობით.

## დაჯახება

8 ივლისს სად. ნავთლუღში მანევრების დროს შემადგენელმა პაპიაშვილმა აღმოაჩინა დამსხვრეული დრეზინა.

ადგილზე გაიგზავნა სპეციალური კომისია, რომელიც იკვლევს დრეზინის დამსხვრევის მიზეზებს.

## ლიანდაგიდან გადავარდნა

8 ივლისს ალავერდ-სანაინს შუა ლიანდაგს ასცდა მატარებელი № 3-ის ერთი ვაგონი, რომელმაც შპალებზე გაიარა 250 მეტრი მანძილი.

შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებლები. სწარმოებს ლიანდაგის გაწმენდა, რის შემდეგ გზა დაიკეტება ლიანდაგის გამოსაცვლელად. ამ შემთხვევის გამო მატარებელი № 4 შეჩერებულია კარაკლისში, № 9 ალავერდში და №№ 10 და 16 სანაინში.

# ჭადრაკი

## ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

### მეცამეტე ტური

**მაკაგონოვი—ილინ-ჟენევსკი.** მაესტროების ერთმანეთთან შეხვედრა თითქმის უბრძოლველად ჩატარდა. დებიუტში მაკაგონოვმა მიაღწია მცირეოდენ უპირატესობას, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმაო პარტიის მოგებისათვის მე-30-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი შეთანხმდენ თამაში დამთავრებიათ ყაიმით.

**გოგლიძე—აბრამიანი** (ლაზიერის პაიკების დებიუტი). შუა თამაშში გოგლიძე ფიქრობდა, რომ მოწინააღმდეგე მოკლე როქს გააკეთებდა, რის იმედითაც თავისი ლაზიერი მოაქცია იმ ფრონტზე. აბრამიანმა როქი გააკეთა გრძელ მხარეზე ამის გამო პოზიციები შეიცვალა. მოსალოდნელი იერიშის თავიდან აცილების მიზნით, გოგლიძემ გასცვალა ლაზიერი, რამაც პარტია მიიყვანა საყაიმო მდგომარეობამდე. მოწინააღმდეგენი შეთანხმდენ ყაიმზე.

**სოროკინი-იმენიტოვი.** (ინდიური). დებიუტიდანვე სოროკინი ძლიერ იერიშზე გადადიოდა, მაგრამ ვერ აღწევდა შედეგს. იმენიტოვი კარგად იცავდა თავს და საშუალებას არ აძლევდა თეთრებს შეესრულებინა მისი პოზიცია. პარტია დამთავრდა ყაიმით.

**ბადაი—ებრალიძე—**(ისპანიური) ებრალიძემ გააკეთა პროვოკაციული სვლა, რათა თეთრებს აეღო პაიკი, ბადაიმ მართლაც აიყვანა პაიკი და დაკარგა ხარისხი. შემდეგში ებრალიძემ ვერ მოახერხა თავისი უპირატესობის გამოყენება, რასაც შედეგად მოჰყვა პარტიის ყაიმით დამთავრება.

**როსტოვცევი—ავეტისოვი.** პარტია მოიგო როსტოვცევმა. იმის მაგიერ, რომ ავეტისოვს გაეთამაშებინა საყაიმო ვარიანტი, მან მოწინააღმდეგეს დაუყენა ლაზიერი, დაჰკარგა ის და დანებდა.

**სმოროდსკი-მატეოსიანი.** თეთრებმა დებიუტშივე სახიფათო მდგომარეობა შეუქმნა მატეოსიანს, შებოჭა ყველა მისი ფიგურები და გადავიდა შეტევაზე. მე-19-ე სვლაზე სმოროდსკიმ მოიგო ერთი ფიგურა, რომლის შემდეგ მოწინააღმდეგე იძულებული გახდა დანებებულიყო.

**ტალვიკი—კარჩიკიანი.** ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ტალვიკმა პარტია მოიგო ენდშპილში.

**ტოტევიანი—მალუნცევი.** მე-29-ე სვლაზე ტოტევიანი დანებდა მალუნცევს.

მეცამეტე ტურის შემდეგ ჩემპიონატის მდგომარეობა ასეთია: ილინ-ჟენევსკი+10 ნახ. გოგლიძე და მაკაგონოვი+10 როსტოვცევი+8 ნახ., სმოროდსკი +8, აბრამიანი+7 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, ებრალიძე+7 ნახ., სოროკინი+6. და სხ.

### უკანასკნელი ტური

დღეს, შესდგება ჩემპიონატის უკანასკნელი ტური. თამაშობენ: **სოროკინი—მაკაგონოვი, ილინ-ჟენევსკი—სმოროდსკი, გოგლიძე—მალუნცევი, ებრალიძე—ავეტისოვი, როსტოვცევი—მატეოსიანი, ტალვიკი — აბრამიანი.**

ვ. გოგლიძე.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## მიკრო ფოტოგრაფია

ამერიკელმა ბიოლოგმა პილსბიურიმ, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია მუშაობს მიკრო-ფოტოგრაფიის დარგში (მიკრო-ფოტოგრაფია—მიკროსკოპიულად პატარა საგნების ფოტოგრაფია) დაამზადა კინემატოგრაფიული აპარატი, რომელიც შესაძლებლად ხდის იმ რთულ პროცესების აღბეჭდას კინემატოგრაფიულ ლენტზე, რომელთაც ადგილი აქვს ცოცხალ უჯრედში. ამ აპარატის საშუალებით პილსბიურიმ შესძლო ისეთი პროცესების გადაღება, რომლებიც ადამიანის დღემდე ეპარებოდა: უჯრედის დაყოფა, მცენარეთა განაყოფიერების პროცესი, მტვრიანას გაჩენა და სხვა.

პილსბიურის აპარატი წარმოადგენს კინემატოგრაფისა და მძლავრი მიკროსკოპის შეერთებას. ამ აპარატის დამზადების დროს პილსბიურის მოუხდა დაძლევა მთელი რიგ სიძნელეების. ასეთი სიძნელეს წარმოადგენს მაგალითად ის გარემოება, რომ ზოგიერთი სასიცოცხლო პროცესები მეტად ნელა მიმდინარეობენ, ზოგიერთებს კი ძლიერ მცირე დრო ესაჭიროება. პილსბიურის აპარატი ისეა მოწყობილი, რომ გადაღების სისწრაფე იცვლება ძლიერ ფართო ფარგლებში: 30 სურათიდან წამში ერთი სურათის გადაღებამდე მთელი კვირის განმავლობაში. გადაღების ასეთი ნელი სისწრაფით პილსბიური სარგებლობს ისეთი პროცესების გადაღებით, როგორიც არის მცენარის თესლის განვითარება. 3—4 თვის განმავლობაში პილსბიურიმ გადაიღო რამოდენიმე ათასი სურათი, რომელთა ჩვენებას 10—15 წუთი უნდა. მეორე ტეხნიკური სიძნელე მდგომარეობდა იმაში, რომ მიკრო-ფოტოგრაფია მოითხოვს მიკროსკოპის ობიექტივის მძლავრ განათებას, დიდი სინათლე კი დამღუპველ გავლენას ახდენს სასიცოცხლო პროცესებზე. პილსბიურიმ ეს დაბრკოლება აიცილა იმით, რომ ობიექტივების გასანათებლად გამოიყენა სპექტრის „ბნელი" სხივები: წითელი და უხილავი ინფრა-წითელი სხივები.

# რადიო-გადაცემა

## სამშაბათი, 10 ივლისი

დღეს, 10 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი განმარტება—ქართულ ენაზე.

საგლეხო რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

მცენარეთა მავნებელთან ბრძოლა—მოხს. ქართულ ენაზე.

ამუნდსენი და ნობილე—მოხს. ქართულ ენაზე.

როგორ უნდა ვაწარმოოთ სამხედრო-სასროლო მუშაობა ავიაქიმის უჯრედებში.

ზღვით მკურნალობით სარგებლობა—მოხს. რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია. — გაზ. „პროლეტარი"—სომხ. ენაზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

# იურიდიული რჩევა-დახმარება

### გულნაზას
### კითხვა:

აქვს თუ არა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა ადგილკომს უფლება, მომხსნას ადგილიდან იმატომ, რომ მე ვცხოვრობ მამასთან, რომელსაც არჩევნების დროს ჩამორთვა ხმა?

### პასუხი

შრომის კანონთა კოდექსის 49 მუხ. თანახმად პროფკავშირს აქვს უფლება მოხსნას არასასურველი მუშა-მოსამსახურე, ადგილიდან. მაგრამ ეს უნდა მოხდეს კავშირის ცენტრალური ორგანოს დადგენილებით და არა ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებით, რომელსაც შრომის კან. კოდ. 161 მუხ. თანახმად არ აქვს მინიჭებული ასეთი უფლება. ამის გამო ადგილკომის მოთხოვნა თქვენი მოხსნის შესახებ, თუ ეს მოთხოვნა კავშირის ცენტრალურ ორგანოს დადგენილებაზე არ არის დამყარებული, დაწესებულებისათვის სავალდებულო არ არის და ამ საფუძვლით თქვენი ადგილიდან დათხოვნა იქნება უკანონო.

### კავშირის წევრს № 65.1472
### კითხვა:

ვიქირავე ბინა ექვსი თვით და ვიხდიდი თვეში 40 მან. მე სამსახურში გადაველი ფოთში. ცოლი დარჩა ბინაზე, მაგრამ ავადმყოფობის გამო დროებით სოხუმშია. ბინაში ცხოვრობს ნათესავი სტუდენტი, ვიხდი ქირას ჩემი ჯამაგირის მიხედვით. შეუძლია თუ არა სახლის პატრონს გამომასახლოს?

### პასუხი:

თუ თქვენი ცოლი ბინაზე დარჩა და ამჟამად დროებით არის სოხუმში ავადმყოფობის გამო, სასამართლოს შეუძლია თქვენი მეუღლის ბინაში არ ყოფნის მიზეზი აღიაროს კანონიერად და არ იცნოს ბინა დატოვებულად. ნიხრით განსაზღვრულ ქირაზე მეტის მოთხოვნის უფლება სახლის პატრონს არ აქვს.

### ოლღა ტატიშვილისას
### კითხვა:

ჩემი ქმარი მსახურობდა რკინის გზაზე. გარდაიცვალა 1921 წლის დეკემბერში, მაშინ მე ვმართე დამზღვევ სალაროს პენსიის თაობაზე. მაგრამ მაშინ მიცვნეს შრომის უნარმქონედ. ამჟამად მე—52 წლისა ვარ და დასუსტებულიც ვარ ფიზიკურად. შემიძლია თუ არა მივიღო პენსია?

რადგან თქვენ შრომის უნარმოკლებული გახდით თქვენი ქმრის გარდაცვალების დღიდან ერთი წლის შემდეგ პენსიაზე ეხლა უფლება აღარ გაქვთ.

### ალექსანდრე კიკვაძის
### კითხვა:

მე როგორც ინვალიდი, ვიმყოფები უფროსი ძმის კმაყოფაზე,. ვარ ავადმყოფი. ვითხოვე სანატორიუმში გაგზავნა, მაგრამ უარი მითხრეს, როგორც არა მოსამსახურეს და წლოვანს. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო სანატორიუმში გაგზავნა?

### პასუხი:

სანატორიუმებში ადგილები განსაზღვრულია. განსაზღვრული რაოდენობის ადგილები ნაწილდება კავშირებს შორის. პერსონალურად კავშირები ასახელებენ სანატორიუმში გასაგზავნ პირებს: თქვენი გაგზავნა სანატორიუმში შეუძლია მხოლოდ იმ კავშირს, რომელშიაც თქვენი ძმა ირიცხება.

### ვანო, რაფიელ და პარმენ გოგიბერიძეებს
### კითხვა:

გვაქვს ერთი დესიატინა მიწა. ჩვენ გვერდში მეზობელს აქვს ორასი კვად. საჟენი მიწა. მეზობელმა სახალხო სასამართლოში უჩივლა ჩვენს მამას, რომელიც დიდი ხანია ჩვენგან გაყოფილია, ჩვენს ადგილზე გზის გახსნის შესახებ. სასამართლომ ჩვენს დაუბარებლად გაარჩია საქმე და მომჩივანს გაუხსნა გზა ჩვენს ადგილზე. შეგვიძლია თუ არა ვსთხოვოთ სახალხო სასამართლოს, აღგვიდგინოს ვადა საკასაციო საჩივრის შესატანად.

### პასუხი:

თუ საქმეში არ ყოფილხართ თქვენ მოხსენებული და საქმეში სჩანს მარტო მამა თქვენი გადაწყვეტილებაც მამა თქვენის სახელზე იქნება გამოტანილი. ასეთი გადაწყვეტილება ვერ გატარდება ცხოვრებაში იმ მიწის შესახებ, რაც თქვენს უფლებაშია, რადგან თქვენს წინააღმდეგ გადაწყვეტილება არ არსებობს. მაგრამ ვინაიდან გადაწყვეტილება მაინც არსებობს თქვენ მფლობელობაში მყოფი მიწის შესახებ, თქვენ შეგიძლიათ აღძრათ სარჩელი თქვენი მამისა და თქვენი მეზობლის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ეს სარჩელი უნდა შეიტანოთ იმავე სასამართლოში, რომელმაც გზის შესახებ გამოიტანა გადაწყვეტილება. სარჩელის წარდგენისთანავე უნდა აღძრათ შუამდგომლობა, რათა სარჩელი უზრუნველყოფილი იქნეს გზის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით. თუ სარჩელის აღძვრამდი შეუდგა სასამართლოს აღმასრულებელი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას, თქვენ შეგიძლიათ განუცხადოთ მას, რომ მიწა, რომელზედაც გახსნილია გზა, თქვენ მფლობელობაშია, და თუ აღსრულება არ შეაჩერა, გაასაჩივროთ მისი მოქმედება, რადგან გადაწყვეტილება გამოტანილია თქვენი მამის წინააღმდეგ და თქვენ ეს გადაწყვეტილება ვერ შეგეხებათ. ამასთანავე უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ რაკი მიწა, სადაც გზა უნდა გავიდეს. სოფელში მდებარეობს, გზის გახსნის საკითხი არ შეეხება სახალხო სასამართლოს. ეს საკითხი საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში უნდა გარჩეულიყო. რის გამო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეგიძლიათ შეიტანოთ საჩივარი ზედამხედველობის წესით რესპუბლიკის პროკურორის სახელზედ.

# შრომის ბირჟაში

## მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 10 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ:

**გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** დავით შერვაშიძე, გიორგი ჩაგუნაშვილი, ელისო ბოლქვაძე, ანასტასია გაბაშვილი, მარიამ ქიქოძე, აკაკი ბერიშვილ, ბაბილინა კანდელაკი, გიორგი კორინოვი, ოლღა ჟარნაძე, ელისაბედ რამიშვილი, ოლღა გამყრელიძე. ნინო ნინოშვილი, სევერიანე დოლიძე, იოსებ კენჭალოვა, ვახტანგ კომაშვილი, რაფიელ ინანიძე, ივანე ნიკურაძე, სიმონ სალუქვაძე, მ. ცანავა, ილია კიკალიშვილი, პავლე ხარაძე, ნინო ხონელიძე, სერგო ქარცივაძე, მაკრინე კილასონია—კაჭარავასი, გიორგი რამიშვილი, [illegible], დავით სიხარულიძე, ევგენია [illegible], ოლღა რატკო, ფეოდოსი რამიშვილი, ნინო კარაბეგოვა, ფილიპე რამიშვილი, ონიფანტე ნებიერიძე, შუშანიკა კობალაძე, ვერა ბესელია, დარია ჭყონია, ელენე კიკალიშვილი, ელისაბედ რუსიაშვილი, მადლენა ანდღულაძე, ტატიანა რამიშვილი, პროკოფი ვადაჭკორია, ელისაბედ ჯარიაშვილი, ევა ჩხეიძე, თამარ კოსტავა, ნინო ინასარიძე, მარიამ სარაჯიშვილი, ნიკოლოზ ბადრიძე, ირაკლი კერესელიძე და ალექსი გვაზავა.

**საგარანტიო სექციიდან:** იაკობ ასპაროვი და ანნა ომიროვა, კარაპეტ გალუსტოვი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფოს მიერ სტუდენტ-სტიპენდიანტ-ების შესანახად გაწეულ ხარჯის ანაზღაურების თაობაზე 1927 წლის თებერვლის 28-ის თარიღით გამოცემულ დადგენილების მე-7 მუხლის შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სტუდენტ-სტიპენდიანტების შესანახად სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ" 1927 წლის თებერვლის 28-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (საქართველოს ს. ს. რესპუბ. კან. კრებ. 1927 წ. № 2, მუხ. 37) მე-7 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„შენიშვნა: ყოფ. სტიპენდიანტს, რომელიც სავალდებულო სამსახურის აღსრულებაზე უარს იტყვის ან ამ სამსახურის აღსრულებას თავს აარიდებს,—გადახდება ყველა ხარჯი, რაც სახელმწიფომ გასწია მისი შენახვისა და სწავლებისათვის სასწავლებელში, გადახდევინებული თანხა შედის სასტიპენდიო ფონდში. ამას გარდა, აღნიშნული სტიპენდიატი მიეცემა პასუხისგებაში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით".

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მმართველის მოადგილე—**ს. სტეფანოვი.**

თბილისი-სასახლე.

## დადგენილება № 9

### საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატისა 20 ივნისი 1928 წ.

წარმოება-დაწესებულებების მიერ სამუშაოზე მიღებულ და დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეებზე სტატისტიკური ბარათის ს. ს. ს. რ. შრომსახკომისათვის წარდგენის წესის შესახებ

ს. ს. ს. რ. შრომსახკომის 1926 წ. 18 მაისის № 18 დადგენილების „წარმოება-დაწესებულებების მიერ სამუშაოზე მიღებულ მუშა-მოსამსახურეებზე სტატბარათის ს. ს. ს. რ. შრომსახკომისათვის წარდგენის შესახებ"—შესაცვლელად, საქარ. შრომის სახ. კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ქ. თბილისში ამასთანავე დართული ახალი ფორმის ბარათი № 4, რომელშიც შეივსება წარმოება-დაწესებულების მიერ კვარტალის განმავლობაში სამუშაოზე მიღებულ და დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეები.

2. ყოველ კვარტალურად საანგარიშო კვარტალის შემდეგი თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისა, ქვემოდ ჩამოთვლილი წარმოება-დაწესებულებანი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ უმოკლოდ ს. ს. ს. რ. შრომსახკომში სტატისტიკური ბარათი ფორმა № 4. კვარტალის განმავლობაში სამუშაოზე მიღებულ და დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთა შესახებ.

3. ბარათის წარმოდგენა სავალდებულოა:

ა) სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადო და კერძო წარმოება-დაწესებულებათათვის, სადაც დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთ, რიცხვი შეადგენს:

1) სავაჭრო დაწესებულებებში—არა ნაკლებ 25 კაცისა.

2) სხვა წარმოება-დაწესებულებებში—არა ნაკლებ 50 კაცისა.

ბ) ქვემოდ ჩამოთვლილ სახელმწიფო და საზოგადო წარმოება-დაწესებულებებისათვის, მიუხედავად მათში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვისა:

1) სახალხო კომისარიატების (ა. ჭ. ფ. ს. რ. და ს. ს. ს. რ.) სამმართველოები და მათი სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი დამოუკიდებელი ნაწილები.

2) ქ. თბილისის აღმასკომი და მისი განყოფილებები.

3) უზენაესი სასამართლო და პროკურატურა.

4) რკინის გზის, სახელმწიფო გემოსვლის და ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოები,

5) ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები.

6) ტელეფონის სადგურები.

7) ბანკების რესპუბლიკანური და ადგილობრივი კანტორები და მათი განყოფილებები.

8) სახელმწიფო დაზღვევის ანგარიში

9) სოციალური დაზღვევის სრულიად საქართველოს კომიტეტი

10) სინდიკატების, ტრესტების, კომბინატების და სახელმწიფო ვაჭრობის გამგეობანი.

11) ა. კ. პროფსაბჭო და საქ. პროფსაბჭო.

3) იჯარის წესით წარმოებულ საამშენებლო სამუშაოებზე ბარათს ფ. № 4 ადგენს და მჭირავებელი (საამშენებლო კანტორა, კოოპერატივი და სხ.) მიუხედავად იმისა მუშაობა სწარმოებს საწარმოს ან დაწესებულების ფარგლებში თუ არა.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როდესაც საამშენებლო სამუშაოს აწარმოებს თვით წარმოება, სამუშაოზე მიღებულთა ცნობები შეიტანება ფორმა № 4-ს ბარათში საერთო წესით.

4. ბარათის ფ. № 4 შრომის სახ.კომისარიატში წარმოუდგენლობისათვის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელნი მიეცემიან პასუხისგებაში რესპუბლიკაში მომქმედ კანონმდებლობის მიხედვით. თანაბარი სახით მიეცემიან პასუხისგებაში იმ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელნი, რომელნიც წარუდგენენ შრომსახკომს არა სწორად შევსებულ ფორმა №4—ბარათს და არ მიიღებენ ზომებს მის შესასწორებლად.

საქ. შრომის სახკომის მოადგილე **ი. ჭელიძე.**

შრომის ბაზრის გან. გამგე **ჯაბადარი.**

---

გულდათუთქულნი მშობლები ლიუბოვ და აკაკი კინწურეიშვილები, ძმები ბორისი, გლები და ოლეგი, ბიძები გრიშა და პაშუ ცხაკაიები აუწყებენ ნათესავებთ და მეგობრებს, რომ 9 ივლისს დილის 4 საათზე გარდაიცვალა პირველთა საყვარელი ქალიშვილი, მეორეთა დაი და მესამეთა დისწული

**პატარა ემმა (მუსოსი)**

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ლენინის ქ. № 3, ოთხშაბათს 11 ივლისს 4 საათ. (შ)

---

მწუხარებით მგლოვიარენი: მარიამ იმნაიშვილისა შვილებით, ვერა ტოკვისა ქმრითა და შვილებით და ნინა შაქრიშვილი შვილებით, ბიქტორ და აკაკი კობალაძე ცოლით გულჩინათი მწვავე გრძნობით აუწყებენ ახლობელთა და ნათესავთ, რომ მძიმე სნეულების შემდეგ, მათ დაკარგეს საყვარელი და ალერსიანი ბიცოლა, დაუვიწყარი

**ესმა ანტონის ასული კობალაძე**

გამოსვენება სამშაბათს, 10 ივლისს, საღ. 5 საათზე, ლენინის ქ. № 60 (ყოფ. წითელი ჯვრის შენობა). დაკრძალვა—ახალ ვერის სასაფლაოზე. (ე)

---

შვილები: ესე, სანდრო და მიშა; რძლები: ნიურა, სიდონია და აგრაფინა; შვილიშვილები: კაკუნია, ბარდღუნია, ფილიპე, ლიდი და ნუნუ მწუხარებით აუწყებენ მეგობართ, ამხანაგთ, ახლობელთა და ნაცნობთ—პირველნი ტკბილი დედის, მეორენი დაუვიწყარ დედამთილის, ხოლო მესამენი საყვარელ ბებიკოს

**ესმა ანტონის ასული კობალაძის**

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება—სამშაბათს, 10 ივლისს, საღ. 5 საათზე, ლენინის ქ. № 60 (ყოფ. წითელი ჯვრის შენობა). დაკრძალვა—ვერის ახალ სასაფლაოზე. (ე)

მუშათა ახალი კლუბი
დღეს, 10 ივლისს,
**დიდი სიმფონიური კონცერტი**
სახალხო არტისტის ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობ. და გ. ვენაძის მონაწილეობ.
პროგრამაში: ზაქ. ფალიაშვილი, ბალანჩივაძე, ვ. დოლიძე, კილაძე და ი. ტუსკია
დასაწყისი საღამოს 9 საათზე წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
შემოღებულია სტუდენტ. და მოწაფეთა ბილეთები
ბაღში არის კინოც სიმფ. კონცერტის ბილეთი კინოსათვის გამოდგება
ხვალ, 11 ივლისს, კონცერტი საბჭ. და სავაჭ. მუშაკ. კლუბში.
15 ივლისს დირიჟორ ხეიფეცის პირველი გასტროლი. ნ. 1376

სახკინმრეწვის კინოები

| | | |
|---|---|---|
| განთიადი | იშვიათი სურათი | ნარვალები |
| საზაფხულო ეთერი | საუკეთესო სურათი ამ სეზონში | სისხლიანი წარღვნა (მაბული) |
| საზაფხულო დარბაზი | მე-2 კვირა | ბულატ ბატირ არაჩვეულებრივი წარმატება! |
| საზაფხულო პალასი | უცხოეთის მხატვრული სურათი | კლოდ დიუვალი |
| მინიონი | უკანასკნელი დღე 1 და 2 სერია ერთად | ზღვის გმირი |
| პროლეტარი ავლაბარი | იშვიათი სურათი | დონ დიეგო და პელაგეია |

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი „გადატეხილი ზამბახი და „ნინიშ" 0—33

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფებთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

კინო
დარბაზი
ამ დღეებში
ლილიან გიშ
(სურათ „ორი ობოლი" და „ცხოვრების ჩანჩქერის" გმირი)
და
რიჩარდ ბარტელმეს
(სურათ „ვირგინიის ფოსტაზე თავდასხმის" გმირი)
მხატვრულ სურათში
გადატეხილი ზამბახი
ნ. 1380

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება
აცხადებს
რომ 1925 და 26 წ. წ. გამოცემული სასანიტარო რვეულები თბილისის აღმასკომის მიერ გაუქმებულია. მათ მაგიერ
ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შექმნილ უნდა იქნეს ახალი სახის შევსებული სასანიტარო რვეულები,
რომელსაც სცემს ამჟამად ჯანმრთელობის განყოფილება საზ—ბა „წერა-კითხვა"-ს მეშვეობით.
სასანიტარო რვეულების შეძენა, თანახმად თბილისის აღმასკომის დადგენილებისა № 85 § 50 სავალდებულოა ყველა სახლის პატრონებისა, ქარვასლებისა, ბაქებისა და ყოველგვარ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სახელოსნოებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა, წარმოებათა და კოოპერატივებისათვის.
თბ. ჯანმრთელობის განყოფილება.
საზ—ბა „წერა-კითხვა" ზემოდასახელებულ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოდ აცხადებს, რომ სასანიტარო რვეულების გაყიდვა დაიწყება ამა თვის 11 რიცხვიდან ყველა სამილიციო უბნებში და თვით „წერა-კითხვა"-ში (თავისუფლების მოედანი, ქარვასლა) დილის 9-დან დღის 2 საათამდე. რვეული ღირება 1 მან. 50 კაპ.
„წერა-კითხვა".
ნ. 1372 2—2

სენაკის მაზრაღმასკომი
ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ,
რომ ა. წ. 1 ივლისიდან
აგარაკ ლებარდეში
გაიხსნება საავარაკო სეზონი, რაც გაგრძელდება 1 სექტემბრამდე. აგარაკ ლებარდეს ჰავა და რკინოვანი წყალი სპეციალისტების დასკვნით მკურნალობს:
1. ტუბერკულიოზს (ჭლექს) 1-ლ და მე-2 სტადიაში;
2. მალიარიას თანამომდევნო სისხლნაკლოვანებით;
3. კუჭ-ნაწლავების ავადმყოფობას.
აგარაკში მოწყობილია სახლები 1000-მდე კაცისათვის და კარავები საჭირო რაოდენობით. უზრუნველყოფილია სურსათ-სანოვაგის მიწოდება ხელმისაწდომ ფასებში, მოქმედებს ფურნე, საყასბო და სასადილო.
აგარაკში მოწყობილია საექიმო პუნქტი 2 ექიმით და აფთიაკი.
საბინაო და სამიმოსვლო ფასები:
1. ოთახი 4—კაცისათვის—32 მან. მთელს სეზონში;
2. კარავი 4— „ —20 „
3. მგზავრობა ქ. ახალ-სენაკიდან და დ. აბაშიდან აგარაკამდე ავტომობილით და ცხენით ან დილიჟანით და ცხენით 15—17 მანეთამდე გზა ტალერიდან 13 კილომეტრის მანძილზე გაყვანილია ახლად 2 მეტრის სიგანით, ხოლო დანარჩენი შეკეთებულია ჩვეულებრივი ცხენით მიმოსვლისათვის.
ნ. 1378 სენაკის მაზრაღმასკომი.

შორაპნის მაზრაში
გაზეთ „კომუნისტი"-ს კონტრაგენტათ
1 ივნისიდან დანიშნულია
ვასილ ჯალაღანია
სააგენტო აქვს ქ. ჭიათურაში
3—1 მთ. კანტორა.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღ 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10
13—1

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კონტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—2

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ
მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 13

**დაკარგა:** ა. ლ. ქ. ტ. წიგნაკი № 68787, პროფკავშირის წიგნაკი, პირადობის მოწმობა, საექიმო პუნქტიდან გაცემული მოწმობა და ამ.-კ. კომ. უნივერსიტეტის მიერ გაცემული ნამსახურობის მოწმობა ნიკა გიგოს-ძე ხუციშვილის სახელზე, ჩ. გ. 2962

**დაკარგა:** მეტრიკული ამონაწერი № 1526 თამარ მიხეილის ასულის დამბრუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2963

**დაკარგა:** დაზღვევის წიგნაკი № 119 გაცემული მაუდის ქარხნიდან არჩილ ხორგუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2965

**დაკარგა:** საამშენებლო კავშირიდან მიღებული საარიცხვო საწევრო წიგნაკი № 14 | 17897 ერვანდა გიორგის-ძე მურაზოვის სახელზე, ჩ. გ. 2967

**დაკარგა:** სურსათ - გემოვნების კავშირის წიგნაკი № 5550 იპოლიტე ოქრ. რთველაძის სახელზე, ჩ. გ. 2964

**დაკარგა:** განქორწინების მოწმობა, მიღებული ბაქოს მმაჩიდან მარიამ ციცვიძეს სახელზე, ჩ. გ. 2968

**დაკარგა:** მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 408 მოსე კალანდარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2963

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.